პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

[illegible] გაზეთი

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, ქამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76
მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 18—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34;
ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დაწესებულებისათვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 18—80
ექსპედიციის 6—48.

დღიური

- გაიხსნა მემაღაროეთა სადელეგატო კონფერენცია.
- ჰამბურგში დოკერებმა გაფიცვა გამოაცხადეს.
- კოვნოში ლიტოველები თავს დაესხნენ პოლონელების პროცესიას.
- სპარსეთის მეჯლისმა ნდობა გამოუცხადა ახალ კაბინეტს.
- ჩინეთის ქალაქის სი-ჩუანის მცხოვრებნი მოითხოვენ ინგლისელების გაძევებას ჩინეთიდან.

ხუთშაბათი, 30 სექტემბერი 1926 წ. | ყოველდღიური გაზეთი | ფასი 5 კაპ. № 222 (1767)

ორგვარი ხელშეკრულებანი

ბურჟუაზიულ ევროპაში დღეს ძალთა გადაჯგუფება ხდება. ამის საუკეთესო დამამტკიცებელია ის ურიცხვი ხელშეკრულებები, რომლებსაც ცალკე სახელმწიფოები ერთმანეთ შორის სდებენ. არავინ იფიქროს, რომ ეს ხელშეკრულებები ქვეყნად მშვიდობიანობის დამყარებას, ხალხთა შორის ნორმალური ურთიერთობის განმტკიცებას ემსახურებოდენ. სწორედ პირიქით.

ბურჟუაზიულ ევროპას ინტერესთა გარდაუვალი წინააღმდეგობანი ღრღნიან. იმპერიალიზმის პირობებში მათი შერიგება შეუძლებელია. ზოგი ძველი ნაძარცვის შენარჩუნებას ცდილობს, ზოგი კიდევ ახალ ტერიტორიების დაპყრობას და სხვა ხალხთა დამონებას. ამ მიზნით ერთი ქვეყანა უკავშირდება მეორეს, რომ საერთო ძალ-ღონით განახორციელონ თავიანთი იმპერიალისტური ზრახვები. ამ ნიადაგზე წარმოშობილი ხელშეკრულებები, რა თქმა უნდა, დიდ საშიშროებას ქმნიან კაცობრიობის მშვიდობიანობისათვის და ახალი მსოფლიო ხოცვა-ჟლეტის წინამორბედნი არიან.

მაგრამ არის სულ სხვა ხასიათის ხელშეკრულებები, რომელთა ერთად-ერთი მიზანია მართლა მსოფლიო მშვიდობიანობის ჩამოგდება სახელმწიფოთა და ხალხთა შორის. მათ ურთიერთ დამოკიდებულებაში მეზობლური თანამშრომლობის პრინციპის განხორციელება. როგორც ვიცით, ასეთ ხელშეკრულებათა დადების ინიციატორად საბჭოთა კავშირი გამოდის. ჩვენ გვაქვს დადებული საგარანტიო ხელშეკრულებები გერმანიასთან, ოსმალეთთან, ავღანისტანთან. ნეიტრალიტეტი, ურთიერთ თავდაუსხმელობა, სადაო საკითხების მშვიდობიანი გზით გადაჭრა,—ასეთია ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. არა ბლოკი თუ კოალიცია სხვა სახელმწიფოთა წინააღმდეგ, არამედ ნამდვილად მეგობრული ურთიერთობის დამყარება ერთმანეთ შორის და ამ გზით საერთაშორისო მშვიდობიანობის საქმის წინ წაწევა—ასეთია საბჭოთა ხელისუფლების საერთაშორისო პოლიტიკის საფუძველი, რომელმაც გამოხატულება ჰპოვა ხსენებულ ხელშეკრულებებშიაც.

დღეს ჩვენ უკვე გვაქვს რიცხვით მეოთხე ასეთი ხელშეკრულება, რომელიც დაიდვა **ლიტვასთან** მოსკოვში გუშინ წინ 28 სექტემბერს.

ლიტვა ჩვენი დასავლეთით მდებარე პატარა სახელმწიფოა, სულ 52.000 კვადრატ. კილომეტრის ტერიტორიით, ორმილიონიანი მოსახლეობით. ზედმეტია იმის თქმა, რომ ასეთ ქვეყანას რომელიმე „დიდი" ბურჟუაზიული სახელმწიფო არ დაელაპარაკება, როგორც სწორი-სწორს. ლიტვა მისთვის მხოლოდ ექსპლოატაციის ობიექტი შეიძლება იყოს. აი, მაგალითად, პილსუდსკის პოლონეთი მას გადაყლაპვას უპირებს და ამისათვის გაძლიერებულად „მუშაობს", „ნიადაგს" ამზადებს.

საბჭოთა მთავრობა კი, ცხადია, მოწადინებულია ყველასთან, „დიდი" ქვეყანა იქნება ის თუ „პატარა", განამტკიცოს მეგობრული დამოკიდებულება. მისთვის ამ შემთხვევაში არ არსებობს „პატარა" და „დიდი", ყოველი ერი და სახელმწიფო სავსებით თანასწორია. ამ თანასწორობის და ერთმანეთის უფლებების თანაბრად ცნობის საფუძველზე ჩვენმა მთავრობამ დასდო ნეიტრალიტეტის ხელშეკრულება პატარა ლიტვასთანაც.

ჩვენ წარმოდგენილი გვაქვს, რომ ეს ხელშეკრულება „ჭკუაში არ დაუჯდებათ" ზოგიერთ ელემენტებს. არ იქნება გასაკვირალი, თუ ამის გამო საბჭოთა კავშირს აგრესიულ მიზნებს მიაწერენ, როგორც ამას ჰქონდა ადგილი ზევით ჩამოთვლილ ქვეყნებთან მეგობრობის ხელშეკრულების დადების დროს. ეს განსაკუთრებით მოსალოდნელია პოლონეთის დღევანდელ მესვეურების მხრით.

მაგრამ თუ ასეთი ხმაური ასტყდა, ეს ერთხელ კიდევ ნათელს მოფენს პილსუდსკების და მათ მსგავსთა იმპერიალისტურ ზრახვებს. როგორც ხსენებულ ხელშეკრულებაში, ისე მის დადების გამო ორივე მხარეთა წარმომადგენლების მიერ წარმოთქმულ სიტყვებში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ხელშეკრულება არ არის მიმართული რომელიმე სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ. ეს ისედაც ცხადია. განა მტკიცება უნდა, რომ საბჭოთა მთავრობა მხოლოდ მშვიდობიანობის უზრუნველყოფას ცდილობს იმ თავითვე. ეხლა დადებული ხელშეკრულება, შეიცავს რა მის ხელმომწერთა შორის ნეიტრალიტეტის დაცვისა და ურთიერთ თავდაუსხმელობის ვალდებულებას, ამით კიდევ ერთ აგურს მატებს საერთაშორისო მშვიდობიანობის შენობას, რომელსაც ასე თავგამოდებით აგებს დასაწყისიდანვე საბჭოთა ხელისუფლება.

და თუ ამას ვინმე „დანაშაულობად" ჩაგვითვლის, ჩვენი „დანაშაული" მხოლოდ ის არის, რომ ასეთი ნაბიჯებით ხელს ვუშლით იმპერიალისტებს მათი ბნელი გეგმების განხორციელებაში, გეგმების, რომელნიც მიმართული არიან საბჭოთა კავშირისა და მცირე ხალხების დამონებისაკენ. და რომ ასეთი გეგმები არსებობენ, ეს, სხვათა შორის, სჩანს იქიდანაც, რომ დასავლეთით ჩვენი მოსაზღვრე სხვა ქვეყნები (პოლონეთი, ლატვია, ესტონია, ფინეთი) დაჟინებით უარს აცხადებენ საბჭოთა კავშირთან ნეიტრალიტეტის ხელშეკრულების დადებაზე, მიუხედავათ ჩვენი მხრით არა ერთხელ გადადგმულ სათანადო ნაბიჯისა ამ მიმართულებით. სამაგიეროთ ისინი ცდილობენ თვითონ შეკრან ერთიანი ანტისაბჭოთა ფრონტი. ამის ნათელსაყოფად რად ღირს მარტო პოლონეთ-რუმინეთის ხელშეკრულება, რომელიც ამას წინედ გამოქვეყნდა!

აშკარაა, რომ ასეთი პოლიტიკით ყველაზე მეტად თვითონ ეს ქვეყნები აგებენ, მათში მძვინვარე ეკონომიური კრიზისის ერთი უმთავრესი მიზეზი საბჭოთა კავშირთან ნორმალურ ურთიერთობის დაუმყარებლობაა. ისინი მსხვერპლი ხდებიან თავიანთი პოლიტიკური სიბეცის და ინგლისის, რომელიც ცდილობს ეს ქვეყნები ბრმა იარაღად გამოიყენოს საბჭოეთის წინააღმდეგ. მაგრამ ამ სახელმწიფოთა მშრომელი მასსა თანდათან სწორდება წელში და ის უფრო მეტი დაჟინებით მოითხოვს ჩვენთან შეთანხმებას. გონიერი ბურჟუაზიული წრეებიც ამის მომხრე არიან. ბოლოს და ბოლოს, ცხადია, რომ ეს სახელმწიფოები იძულებული გახდებიან არსებითი რევიზია უყონ თავიანთ ახლანდელ პოლიტიკას საბჭოთა კავშირის მიმართ და ეძიონ გზები მასთან დაახლოვებისათვის. ამ მხრივ ისინი უნდა ჩააფიქროს ლიტვა-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებამაც.

საქონლის თვითღირებულების შემცირება

(„პრავდა"-ს მოწინავე წერილი)

1926-27 წლის საკონტროლო ციფრები ითვალისწინებენ სამრეწველო საქონლის თვითღირებულების დაკლებას 2—3 %-ით 1925-26 წელთან შედარებით, რომელშიაც როგორც ცნობილია, თვითღირებულების დონე არა თუ ყოფილა თითქმის ყოველთვის სტაბილური, არამედ მთელ რიგ სამრეწველო დარგებში ზრდის ტენდენციას იჩენდა. ამგვარად, თვითღირებულების მრუდე დიამიკაში გვხვდება მნიშვნელოვანი გარდატეხის ფაქტის აღნიშვნა. თვითღირებულების განუწყვეტელი შემცირება, რომელიც ორი წლის განმავლობაში ხდებოდა წარმოების უმთავრეს დარგებში, 30-დან 40 %-ს შეადგენდა, 1925-26 წელში შეიცვალა სტაბილური მდგომარეობით და მეტად უმნიშვნელო შემცირების (2-3%) პერსპექტივით მომავალ სამეურნეო წელში. რასაკვირველია, სავსებით ცხადია, რომ თვითღირებულების ასეთი ენერგიული შემცირება 1923-25 წლებში უპირველესად ყოვლისა გამოწვეული იყო წარმოებათა მეტად დიდი დატვირთვით ამ წლების განმავლობაში. ამასთანავე, ნაღდი ძირითადი კაპიტალის უდიდესი მასის წარმოებაში დაბანდების პროცესს თან სდევდა მუშათა კლასის უდიდესი ენერგიის ამოქმედება შრომის ნაყოფიერების აწევისათვის ბრძოლაში. ამ მიღწევათა საფუძველზე თვითღირებულების შემცირების დარგში გამაგრდა ფულის სისტემა და განმტკიცდა ჩვენი დამოკიდებულება გლეხობასთან.

მაგრამ განა შეგვიძლია ჩვენ თვითღირებულების მიღწეული დონე ვსცნოთ დამაკმაყოფილებლად და ისეთად, რომელიც შეეფერება სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ინტერესებს? არა. ეს დონე ჯერ კიდევ დიდად რჩება უკან ომამდე არსებულ დონეს და სრულიად ვერ უძლებს მსოფლიო დონესთან დაპირისპირებას. თვითღირებულების მაღალი დონე უდიდეს დაბრკოლებებს ქმნის მთელი სახალხო მეურნეობისათვის, გავლენას ახდენს სხვადასხვა კლასების მდგომარეობაზე და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ფასებზე. იგივე განსაზღვრავს გლეხობის დამოკიდებულებას ჩვენი სამეურნეო უნარისადმი და მის დამოკიდებულებას საგარეო ვაჭრობის მონოპოლიისადმი. მრეწველობის შემდგომი განვითარებაც არ შეიძლება წარმატებით იქმნას განხორციელებული მნიშვნელოვან დონემდე, თუ მიღწეული არ იქნება წარმოების ხარჯების შემცირება და თვითღირებულების გაიაფება.

როგორია ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტის გზები? ჩვენმა მრეწველობამ ამ წელში მიაღწია იქამდე, რომ ამოიწურა ძირითადი კაპიტალი, სავსებით დატვირთა მომქმედი წარმოებანი, რამაც, სხვათა შორის, გამოიწვია თვითღირებულების ერთგვარი ზრდა, გაცვეთილი იარაღების მუშაობაში გამოყენება და არაკვალიფიციური კადრების ჩაბმა წარმოებაში. ამიტომ თვითღირებულების დინამიკა ამ წელში დამოკიდებული იქნება, ისეთი ფაქტორების გარდა, როგორიცაა ნედლეულის ფასები, რკინის-გზის ტარიფები და სხვა, აგრეთვე უმთავრესად იმაზედაც, რომ მივაღწევთ თუ არა ჩვენ წარმატებას საწარმოო პროცესის რაციონალიზაციაში და სამეურნეო საქმიანობის მეთოდების და ღირსების გაუმჯობესებაში.

სახალხო მეურნეობის საერთო მდგომარეობა მომავალ წელში. ინდუსტრიალიზაციის საქმისათვის მაქსიმუმ თანხების გამოყოფის აუცილებლობა და სასოფლო-სამეურნეო ფასების სიმტკიცის უზრუნველყოფა,—ყოველივე ეს ავალებს სამეურნეო ორგანიზაციებს, რომ საკონტროლო ციფრებით დასახული თვითღირებულების შემცირების საზღვარი მხოლოდ მინიმალურად იქმნას ცნობილი. აუცილებელია სავსებით ნათლად იქმნას გამოაშკარავებული ყველა ის ფაქტორები, რომელნიც ხელს შეუწყობენ თვითღირებულების შემცირებას. ამას პირველ რიგში ეკუთვნის მუშათა ფართო მასებისა და სპეციალისტ სამეურნეო მუშაკების ჩაბმა იმ ბრძოლაში, რომელიც სწარმოებს ყველა ნაკლთა აცილებისა, სამრეწველო მეურნეობის მოწესრიგებისა, ნედლეულის, მასალებისა და სათბობის უკეთესად გამოყენებისა, ზედნადები ხარჯების შემცირებისა, გაფართოებული შტატების შემოკლებისათვის და სხვა. უმთავრესი როლი ამ საკითხების გამოკვლევის დროს საწარმოო თათბირებსა და კონფერენციებს უნდა მიეკუთვნოს. მათ უნდა იკისრონ შრომის დისციპლინის ყოველმხრივი განმტკიცების ინიციატივა და ამ დისციპლინის ნიადაგზე აღზარდონ ათი ათასობით ახალი მუშები. აუცილებელია ყოველმხრივ იქმნას გაშუქებული პრესასა და კედლის გაზეთებში თვითღირებულების მაღალი დონის და ერთნაირი დარგების წარმოების ხარჯების დაუშვებელი განსხვავების მიზეზები, წარმოების გაიაფების პრაქტიკული წინადადებანი. სავსებით სწორია კუიბიშევის სამეურნეო ორგანოებისადმი დაგზავნილი ცირკულიარი, რომ ცალკე წარმოებათა მუშაობა ფასდება და შეფასებული იქნება არა მარტო პროდუქციის რაოდენობითა და ხარისხით, არამედ მიღწევებითაც წარმოების გაიაფების დარგში.

ეკონომიურად დაბალი ღირსებისა და პოლიტიკურად მავნე თეორიებს საბითუმო ფასების გადიდების შესახებ, პარტიამ უნდა დაუპირდაპიროს წარმოების ხარჯების შემცირების მტკიცე და შეურყეველი კურსი, რომელიც საცალო ფასების შემდგომი შემცირების საწინდარია. ეს ამოცანა, რასაკვირველია, „რამდენადმე" უფრო საძნელოა, ვიდრე საბითუმო ფასების აწევა კალმის ერთი მოსმით, მაგრამ ჩვენ სიძნელის არ უნდა გვეშინოდეს. მთელი ენერგიის ამოქმედებით უსასტიკეს მომჭირნეობის გატარებისათვის, საწარმოო აპარატის გაუმჯობესებით, ბიუროკრატიული ჩვეულებების განდევნით სამეურნეო მუშაობიდან და პროდუქციის გაიაფებით, მუშათა კლასი უზრუნველყოფს თავის ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესებას, გლეხობასთან კავშირის განმტკიცებას და ნამდვილ წინსვლას ინდუსტრიალიზაციის გზაზე.

გადმოცემულია ტელეგრაფით.
მოსკოვი, 29 სექტემბერი.

დაუესის გეგმის გადასინჯვა

(წერილი ბერლინიდან)

დაუესის გეგმის გადასინჯვის საკითხმა გაცილებით უფრო წინ წაიწია, ვიდრე ამის შესახებ სწერდენ პრესაში და ლაპარაკობდენ საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოღვაწეები. უკვე ეხლაც სარეპარაციო გეგმის განხორციელების დროს შეიძლება აღინიშნოს მთელი რიგი ფაქტიურ გადახრათა დაუესის პირვანდელ ძირითად სქემიდან, რომელიც მიღებულ იყო ლონდონის კონფერენციაზე.

ეს ფაქტიური „გადახრანი" უმთავრესად შემდეგია: 1) რკინის გზის ობლიგაციები არაა გამოშვებული ბრუნვაში უცხოეთის ბირჟებზე, მიუხედავათ იმისა, რომ ეს გათვალისწინებულია გეგმაში, ამავე დროს გერმანიის მთავრობამ უკვე მოასწრო „გერმანიის რკინის გზების საერთაშორისო საზოგადოების" უპირატეობის მქონე აქციების დიდი ნაწილით უზრუნველყოფა. (თუმცა ამას არ გაუდიდებია მისი გავლენა საზოგადოების გამგეობაში); 2) გერმანიის მთავრობასა და რეპარაციების გენერალურ აგენტს შორის მომხდარ კერძო შეთანხმებით, 1927 და 28 წ. წ. დამატებითი სარეპარაციო გადასახადები, წლიურად 250 მილ. მარკის რაოდენობით, შემცირებულია 300 მილ. მარკის თანხამდე ორი წლისთვის ერთად; ეს დამატებითი გადასახადები დაწესებულ იქნა იმის გამო, რომ ბაჟებიდან და არაპირდაპირ გადასახადებიდან შემოსავალმა გადააჭარბა წინასწარ ვარაუდს; 3) არაპირდაპირ გადასახადებიდან და ბაჟებიდან შემოსავალი რჩება რეპარაციების გენერალურ აგენტის განკარგულებაში საწინდარის სახით არა 6 კვირა, როგორც ეს ნაგულისხმევია გეგმით, არამედ 10 დღე.

ყველა ამ შემსუბუქებათ აქვთ შედარებით მეორე ხარისხოვანი მნიშვნელობა. გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ის მოლაპარაკება, რომელიც სწარმოებდა უკანასკნელ თვეების განმავლობაში საფრანგეთში და რომელშიაც მიიღეს მონაწილეობა საფრანგეთის, ინგლისის და გერმანიის სახელმწიფო ბანკების ხელმძღვანელებმა და აგრეთვე შეერთებული შტატების გამოჩენილმა საფინანსო მოღვაწეებმა, მათ შორის „თეით" მორგანმა, ფინანსთა მინისტრმა მელლონმა და აგრეთვე „ბენკერს ტრესტის" („საბანკო ტრესტი") თავმჯდომარემ კლოდმა და „ნეშენელ სიტი-ბანკის" გამგეობის ვიცე-თავმჯდომარემ რობერტსმა.

ამ მოლაპარაკების დროს დაუესის გეგმის გადასინჯვის საკითხი წარმოადგენდა იმ საკითხთა ჯაჭვის ძირითად რგოლს, რომლებიც ეხებიან ევროპის ფინანსებს საერთოდ. მოლაპარაკებაში რა თქმა უნდა, მთავარ როლს თამაშობდენ ამერიკის ფინანსისტები, რომლებიც თითქმის ერთხმად აღიარებდენ, რომ დაუესის გეგმის გადასინჯვა წარმოადგენს ევროპის ფინანსების გაჯანსაღების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას.

ამერიკული თვალსაზრისის გარკვევა შეიძლება იმ განცხადებებიდან, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ამერიკის საფინანსო პრესის ხელმძღვანელ ორგანოებში. ამ მხრით ყველაზე უფრო არსებით წერილს წარმოადგენს ის, რომელიც დაიბეჭდა მიმდინარე წლის მაისის ბოლოს „ჯორნალ ოფ კომმერსში". ამ წერილში, სხვათა შორის, ნათქვამი იყო: „ამ უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში ჩვენ გერმანიას და გერმანიის ხალხს ვასესხეთ საკმაო თანხები; ამ ვალების და მათი პროცენტების გადახდას სერიოზული საფრთხე მოელის, თუ გერმანიას, დაუესის გეგმის მიხედვით, მოსთხოვენ მისი შესაძლებლობასთან შედარებით ერთობ დიდ გადასახადებს". აქედან გაზეთს გამოყავდა დასკვნა დაუესის გეგმის „სრულიად შეცვლის ან ძირითადად გადამუშავების აუცილებლობის" შესახებ.

ასეთივე აზრს გამოსთქვამდენ ამერიკის დანარჩენი საფინანსო ორგანოები.

როგორ წარმოუდგენიათ დაუესის გეგმის გადასინჯვა ამერიკელ ბანკირებს? იმ ცნობების მიხედვით, რომელნიც გვაქვს ზემოხსენებულ მოლაპარაკების შესახებ, ამერიკელი ბანკირები ითვალისწინებენ გერმანიისათვის შემდეგ „შემსუბუქებათა" აუცილებლობას. უწინარეს ყოვლისა, გადასახადების საერთო ვადა, რომელსაც დაუესის გეგმა დაახლოვებით 30 წლით გულისხმობს, გაგრძელებულ უნდა იქნეს 60 წელზე მეტ ხანს. ამასთანავე უნდა შემცირდეს ყოველწლიური სარეპარაციო გადასახადების რაოდენობა. დაუესის გეგმის თანახმად წლიური გადასახადის ჯამი გათვალისწინებული იყო 2½—3 მილიარდი მარკის რაოდენობით, ახალი ვადის მიხედვით გადასახადის მაქსიმალური სიდიდე არ უნდა აღემატებოდეს 1½—2 მილიარდ მარკას.

ამერიკელები ამ გეგმებს ასაბუთებენ აუცილებლობით შეუფარდონ დაუესის გეგმა იმ შეთანხმებებს ვალების შესახებ, რომლებსაც შეერთებული შტატები სდებენ თავიანთ ევროპიელ მოვალეებთან და რომლებიც დავალიანების მოსპობას ითვალისწინებენ 62 წლის განმავლობაში.

სინამდვილეში კი, რა თქმა უნდა, ამერიკელ ბანკირებისთვის მთავარ როლს სულ სხვა მოტივი თამაშობს. ამ მოტივს წარმოადგენს სურვილი, რომ გერმანიას მიეცეს შესაძლებლობა გადიხადოს წესიერად ის ვალები, რომლებიც აღმოცენდენ გერმანიისათვის ამერიკულ ბანკების მიერ მიცემულ კრედიტებიდან და გერმანიის აქციებში მოთავსებულ ამერიკის კაპიტალებიდან. უკვე ამჟამად გერმანიის მრეწველობის მიერ ამერიკის ბანკებიდან მიღებული ვალების ყოველწლიური პროცენტები აღწევს 200 მილ. მარკას. ინგლისის ბანკის დირექტორმა სტამპმა გამოიანგარიშა, რომ თუ ამერიკის დაინტერესება გერმანიის წარმოებაში მომავალშიაც დაახლოვებით ისეთივე ტემპით გაიზრდება, როგორც აქამდე იზრდებოდა, მაშინ 25—30 წლის შემდეგ ის შეადგენს 85—90 მილიარდ მარკას. ასეთი დავალიანების პროცენტის სიდიდე კიდევაც რომ მეტად მცირე იქნეს, მაინც წლიური საპროცენტო გადასახადი უზარ-მაზარ თანხას შეადგენს. გერმანიამ რომ ამ თანხების გადახდა შესძლოს, მან უნდა მიიღოს დაუესის გეგმის საგრძნობი „შემსუბუქება".

ასეთია არსებული მოსაზრებანი დაუესის გეგმის გადასინჯვის შესახებ. დამახასიათებელია, რომ ამ შემთხვევაში გერმანია თამაშობს შედარებით პასიურ როლს, და საკითხი წინ მიიწევს, უმთავრესად, ამერიკელ ფინანსისტების თაოსნობით. ამერიკის ფინანსიური კაპიტალი, როგორც სჩანს, მისწრაფვის გერმანიის მრეწველობის „დაპყრობისაკენ" და გზას იკაფავს ამ მიზნისათვის.

ვ. ლ.

ბერლინი, 18 სექტემბერი.

საბჭოთა პრესა

საგულისხმო ცვლილებები

ბაზრის მდგომარეობაში ბოლო დროს მნიშვნელოვანი ცვლილებებია შემჩნეული. სრულებით არ სჩანს პანიკა და სავაჭროების წინ გრძელი რიგები, რასაც წინედ ადგილი ჰქონდა საქონლის ნაკლებობის ნიადაგზე. კოოპერატივები ალაგ-ალაგ მეტი სიფრთხილით იძენენ საქონელს მისი გაუსაღებლობის შიშით. ამავე დროს აშკარაა, რომ მოსახლეობის სყიდვითი უნარი საგრძნობლად გაიზარდა. მაშ რით აიხსნება აღნიშნული მოვლენა? ამის ერთი უმთავრესი მიზეზთაგანია მრეწველობის პროდუქციის გადიდება; უკანასკნელ 11 თვის განმავლობაში ის გაზრდილა 40,8 პრ.; განვლილ აგვისტომ მოგვცა მატება თითქმის 44პრ. კ. წ. აგვისტოსთან შედარებით. ამგვარად, ბაზარი დღეს გაცილებით უფრო გამძღარია საქონლით, ვინემ წინედ. შემდეგ მოსახლეობამ, მიუხედავად საქონლის ნაკლებობისა და მისი სიძვირისა, თავისი არსებითი მოთხოვნილებანი რამდენიმედ უკვე დაიკმაყოფილა, და დღეს მას ერთგვარი საშუალება აქვს დაიცადოს, რომ საქონელი მეტი შერჩევით და უფრო იაფად შეიძინოს. **„ტორგოვო-პრომიშლენაია გაზეტა"** ეხება ბაზრის ასეთ მდგომარეობას და, სხვათა შორის, წერს:

„შარშან მუშა თუ გლეხი ყიდულობდა თავისთვის წყვილ საპერანგეს, აუცილებლად უნდა ეყიდა, ვინაიდან შესაძლებელია, არც ერთი არ გაჩნდეს; და ამიტომ იმდენს იძენდა, რამდენსაც მოსთხოვდენ. შარშან მომხმარებელი ღებულობდა ყველაფერს, რაც ხელში მოხვდებოდა, და ყველაფერი მისთვის, მართლაც, აუცილებელი იყო, ეხლა კი სინჯავს, თუ როგორია საქონლის ღირსება და ასე ყველაფერში. პირველი სიმშილი, პირველი წყურვილი დაკმაყოფილებულია შარშან, წრეულს—საქონლის მოთხოვნას ელასტიური ხასიათი ეძლევა".

ზევით ჩვენ ვსთქვით, რომ მოსახლეობის სყიდვითი უნარი მნიშვნელოვნად გაიზარდა, მაგრამ ეს თავის-თავად კიდევ არ ნიშნავს, რომ ასევე გაიზრდება მის მიერ საქონლის მოთხოვნა. ამ ორი მომენტის არევა, — განაგრძობს გაზეთი,—

„არის სწორედ ანგარიშების შეშლის და შეცდომების გზა. თუნდ ფულად იქცეს გლეხის ნაწარმოები: ნიშნავს ეს, რომ გლეხის ფული თავის მხრივ აუცილებლად და მთლიანად გადაიქცევა საქონლად, მრეწველობის საგნად? ასევე ითქმის სამუშაო ხელფასის შესახებ ერთი სიტყვით, ვითვალისწინებთ თუ არა ჩვენ, რომ წრეულს მრავალი მანეთი, შესაძლებელია, არ გადაიქცევა საქონლად, ისე როგორც შარშან გლეხის საქონელი—პური—მთლად არ გადაქცეულა ფულად? შარშან ჩვენ ანგარიშები შეგვეშალა, რადგან არ მოველოდით, რომ ეს გადაქცევა არ მოხდებოდა. საჭიროა ასეთი შეცდომის აცილება. თუ საქონლის ფულად გადაქცევის მისწრაფება დამოკიდებულია კონიუქტურაზე, იმაზე, საკმაოდ მაღალია თუ არა ფასები ამ საქონელზე, როგორც ვიცით, ფულის საქონლად გადაქცევის მისწრაფება გაცილებით უფრო მეტადაა დამოკიდებული ფასების ოდენობაზე, იმაზე, თუ რამდენად დაბალია ფასები".

ბაზრის მდგომარეობაში მომხდარი ცვლილებები აიძულებენ სავაჭრო ორგანიზაციებს საცალო ფასების უფრო დაკლებას და სავაჭრო აპარატის გაიაფებას, წინააღმდეგ შემთხვევაში მათთვის შეიქმნება გასაღების კრიზისის საფრთხე. საქონელზე მოთხოვნილების ნელება ამასთან მეტ შესაძლებლობას იძლევა საქონლის გაიაფებისათვის.

საბჭოთა კავშირის და ლიტვის მეგობრული ურთიერთობა

ლიტვის მთავრობის თავმჯდომარემ ინახულა ამხ. რიკოვი

პოლონეთის სეიმმა შემოკლებით მიიღო მთავრობის ბიუჯეტი

გომინდანმა გამოაქვეყნა დეკლარაცია პარტიის პოლიტიკის შესახებ ეროვნული მოძრაობის საკითხში

საბჭოთა კავშირი და ლიტვა

სლიაჟევიჩი ამხ. რიკოვთან

მოსკოვი, 29 სექტემბერი. 28 სექტემბერს ლიტვის მთავრობის მეთაური სლიაჟევიჩი მიიღო საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. რიკოვმა.

სადილი სლიაჟევიჩის საპატივსაცემოდ

მოსკოვი, 29 სექტემბერი. 28 სექტემბერს გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატში ლიტვის მთავრობის მეთაურის სლიაჟევიჩის პატივის საცემად გაიმართა სადილი, რომელზედაც გარეშე საქმეთა სახ. კომისარმა ამხ. **ჩიჩერინმა** შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა:

ამხ. ჩიჩერინის სიტყვა

„სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის მთავრობის სახელით მივესალმები ლიტვის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს და გარეშე საქმეთა მინისტრს სლიაჟევიჩს, რომელიც მუშურ-გლეხური სახელმწიფოს სტუმარია იმ მომენტში, როცა მტკიცდება მეგობრული ურთიერთობა საბჭოთა კავშირის ერებსა და ლიტვის რესპუბლიკას შორის. რუსეთის ფედერაციასა და ლიტვის შორის მოსკოვში სამშვიდობო ხელშეკრულების დადების შემდეგ, რომელმაც განახორციელა ოქტომბრის რევოლიუციის ერთი უმთავრესი პრინციპთაგანი—ერთა თვითგამორკვევა, საბჭოთა კავშირის საზოგადოებრივი აზრი დაუღალავის ყურადღებით და ღრმა სიმპატიით ადევნებს თვალს ლიტვის ხალხის ბედ-იღბალს, ლიტვის ახალგაზრდა რესპუბლიკის პოლიტიკურ და ეკონომიურ განვითარებას. **ეხლახან დადებული ხელშეკრულება, რომელიც გამსჭვალულია საბჭოთა კავშირის გულწრფელი მისწრაფებით, რომ განამტკიცოს მეგობრული ურთიერთობა ლიტვის ხალხთან, ქმნის შესაძლებლობას ამ მეგობრულ დამოკიდებულებათა** განვითარებისა და განმტკიცებისათვის მომავალში. საგარანტიო ხელშეკრულება ამტკიცებს ორთავე ხალხის შორის არსებულ მეგობრობას და ამასთანავე არ არღვევს მესამე სახელმწიფოთა კანონიერ ინტერესებს. მას მიზნათ აგრეთვე აქვს ხელი შეუწყოს მშვიდობიანობას ევროპაში, რაც ყოველთვის შეადგენდა და ამჟამადაც შეადგენს საბჭოთა კავშირის საერთაშორისო პოლიტიკის საფუძველს. მე ეჭვი არ შემდის, რომ ამ ხელშეკრულების დადება ხელს შეუწყობს ლიტვის ხალხის დამოუკიდებლობის გამტკიცებას მომავალში. მე ნებას მივცემ ჩემს თავს გამოვსთქვა რწმენა, რომ ხელშეკრულების დადება გააძლიერებს ეკონომიურ ურთიერთობას იმ სავაჭრო ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც ახლო მომავალში უნდა დაიდოს.

მე ვსვამ სადღეგრძელოს ლიტვის ხალხის კეთილდღეობისა და აყვავებისათვის, მისი საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცებისათვის.

მე ვსვამ აგრეთვე სლიაჟევიჩის სადღეგრძელოს, იმ ხელშეკრულების ავტორის სადღეგრძელოს, რომელიც ამტკიცებს მეგობრულ ურთიერთობას საბჭოთა კავშირის ერებსა და ლიტვას შორის".

სლიაჟევიჩის სიტყვა

საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა ლიტვის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ სლიაჟევიჩმა:

„ნება მიბოძეთ გამოვსთქვა გულწრფელი მადლობა იმ გულითადი მიღებისათვის, რომელიც მომიწყეს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირის ტერიტორიაზე და მის დედა-ქალაქში მოსვლის დროს. ეს გულითადი მიღება მჭერმეტყველურად გამოხატავს იმ ღრმა მეგობრობას, რომელსაც საბჭოთა კავშირის ერები გრძნობენ ლიტვის ხალხისადმი. მე ვამტკიცებ, რომ ამ მეგობრობას ღრმა ისტორიული ფესვი აქვს. ექვსი წლის წინად დადებულმა ხელშეკრულებამ ჩამოაყალიბა და განამტკიცა იგი. დღეს დადებული ხელშეკრულება კი ამ მეგობრობის შემდგომი განვითარების საფუძველს წარმოადგენს. მე სავსებით ვეთანხმები თქვენს განცხადებას, ბატონო სახალხო კომისარო, რომ დღეს დადებული ხელშეკრულება ამტკიცებს ორთავე ხალხს შორის არსებულ მეგობრობას და ამავე დროს არ არღვევს მესამე სახელმწიფოთა კანონიერ ინტერესებს; მას მიზნად აქვს აგრეთვე ხელი შეუწყოს მშვიდობიანობის განმტკიცებას ევროპაში.

ვინაიდან საბჭოთა კავშირის ერებისა და ლიტვის ხალხის მშრომელი მასები ისწრაფვიან იმისაკენ, რომ განამტკიცონ ერების საყოველთაო ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობა, მე ეჭვი არ შემდის, რომ ამ ხელშეკრულების დადებას მოჰყვება სავაჭრო ხელშეკრულების დადება, რომლის მიზანი იქნება ჩვენი ერების ეკონომიური ურთიერთობის განვითარება.

პატივი მაქვს ლიტვის ხალხისა და ლიტვის მთავრობის სახელით ავწიო ჩემი ჭიქა სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების ერების სადღეგრძელოდ, მათი კეთილდღეობისა და აყვავებისათვის. ამავე დროს მე ვიღებ ჭიქას სახალხო კომისრის, ბატონ ჩიჩერინის სადღეგრძელოდ, რომელმაც თავისი შარშანდელი ჩამოსვლით ჩვენს დედა-ქალაქში საფუძველი ჩაუდო იმ მოლაპარაკებას, რომელიც დღეს ხელშეკრულების დადებით დამთავრდა".

გომინდანის მოწოდება

კანტონი, 28 სექტემბ. **გომინდანის ალმასკომმა გამოაქვეყნა მოწოდება პარტიის პოლიტიკის შესახებ ჩინეთში ეროვნული მოძრაობის საკითხში.**

მოწოდებაში აღნიშნულია, რომ ალმასკომი მისდევს სუნ-იატ-სენის მოძღვრებას, ყოველი ძალ-ღონით სცდილობს ჩინეთის გაერთიანებასა და მშვიდობიანობის დამყარებას, რაიც შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ ჩრდილოეთ ექსპედიციის წარმატებით დამთავრებით, ეროვნული კრების მოწვევით და სახელმწიფოს რეორგანიზაციით.

ინგლისელები ჩინეთში

მოლაპარაკება

ლონდონი, 29 სექტემბ. ბრიტანეთის მეორე გემი „ვან-სენი", რომელიც გენ. იან-სენს ქონდა ხელში ჩაგდებული, ამჟამად გადაცემულია ინგლისელებზე. ამასთან ერთად შეთანხმების მიღწევის მიზნით ყველა სადაო საკითხების მოსაგვარებლად, რომელიც დაკავშირებულია გემების ხელში ჩაგდებასთან, სწარმოებს მოლაპარაკება ბრიტანეთის საკონსულოს, პირებსა და ჩინეთის საგარეო საქმეთა კომისარს შორის.

ინტერვენციის მზადება

ლონდონი, 28 სექტემბერი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ბოლდუინმა თემთა პალატაში პასუხი გასცა შეკითხვას ვან-სიანის ინცინდენტის შესახებ და კმაყოფილებით აღნიშნა, **რომ ინგლისის საზღვაო ძალების დამხმარე გემები უკვე გზაშია, მათ შორისაა ფლოტილია 7 გამანადგურებელისაგან შემდგარი. მათი ჩამოსვლის შემდეგ ინგლისის საზღვაო ძალები ჩინეთში ბოლდუინის აზრით სრულიად საკმაო იქნება, რომ დაიცვას ინგლისის და ინგლისელ მოქალაქეთა ინტერესები.**

ბოლდუინი შეტაკების შესახებ

ლონდონი, 29 სექტემბ. თემთა პალატაში ბოლდუინი სათანადო განცხადებით გამოვიდა ვან-სიანში მომხდარ ინგლის-ჩინეთის შეტაკების შესახებ. დაასურათა რა ამ ამბის ფაქტიური მხარე, მან სთქვა: „თანახმად უკანასკნელი ცნობებისა, გენერალ იან-სენმა უკვე დააბრუნა ინგლისის ერთ-ერთი გემი, ხოლო მეორე კი გზაშია. მეორე გემის დაბრუნების შემდეგ განვიხილავთ ნავის დაძირვის შემთხვევის საკითხს".

შეკითხვაზე, თუ რა დახმარება გაეგზავნა ინგლისის სამხედრო საზღვაო-საჰაერო ძალებს შორეულ აღმოსავლეთში, ბოლდუინმა განაცხადა, რომ ჩინეთში დღეს მყოფი ინგლისის საზღვაო ძალები და გაგზავნილი დამხმარე ძალა—1 კრეისერის, 1 ნაღმოსანის და 8 გამანადგურებლის სახით—სრულიად საკმარისია ინგლისის ინტერესების დასაცავად. ჩინეთში არსებული მდგომარეობა არ საჭიროებს სამხედრო ინტერვენციას, რისთვისაც ინგლისის მთავრობამ შეაჩერა ჩინეთში ჯარებისა და ჰაეროპლანების გაგზავნა.

ბოლდუინმა აღიარა, რომ კანტონის ჯარების მიერ ხანკოუს აღებას არ დაურღვევია ინგლისის კომერციული და სამრეწველო ინტერესები.

სერიოზული დაბრკოლება

პეკინი, 28 სექტემბერი. **დიპლომატიურმა კორპუსმა განიხილა კანტონის მთავრობის მიერ შემოტანილ და გატანილ საქონელზე განსაკუთრებული გადასახადის შემოღების საკითხი.** კამათის შინაარსს საიდუმლოდ ინახავენ, მაგრამ მიღებული ცნობებით, ზოგიერთი დიპლომატი აღნიშნავდა, რომ ამ ზომის დასტურება შეიძლება გაგებულ იქმნას, როგორც კანტონის მთავრობის ცნობა.

ეს გარემოება ითვლება ერთ-ერთ სერიოზულ დაბრკოლებად იმისათვის, რომ დიპლომატიურმა კორპუსმა მიიღოს კანტონის წინადადება.

ხმების მიხედვით, დიპლომატიური კორპუსის სხდომაზე არავითარი გარკვეული გადაწყვეტილება არ ყოფილა გამოტანილი და საკითხი განსახილველად გადაეცა სათანადო მთავრობებს.

ვან-სიანის ინციდენტი

პეკინი, 28 სექტემბ. ვან-სიანის ინცინდენტის ლიკვიდაცია მოხდა ინცინდენტის ადგილას. გენერალმა **იან-სენმა** გაანთავისუფლა ორი ინგლისური გემი.

სავაჭრო პალატები, საზოგადოებრივი და განმანათლებელი ორგანიზაციები ჰკიცხავენ იან-სენს იმის გამო, რომ მან უპირობოდ გაანთავისუფლა ინგლისის გემები.

იაპონიის პოზიცია

ტოკიო, 28 სექტემბ. ინგლისის ცდა ჩინეთის ინტერვენციაში ჩაება იაპონია, დასრულდა უნაყოფოდ. ამასთან დაკავშირებით, იაპონიის მთავრობა და საზოგადო წრეები განსაკუთრებული ინტერესით თვალყურს ადევნებენ ინგლისსა და კანტონს შორის წარმოებულ მოლაპარაკებას. **მოსალოდნელია ინგლისის პოლიტიკის შეცვლა კანტონის მიმართ.**

იაპონიის განზრახვები

ტოკიო, 28 სექტემბერი. ყოფილ პრემიერის, ხოლო ეხლა საიდუმლო საბჭოს წევრის — კიოლურას გამგზავრებას ჩინეთში ზოგიერთი წრეები სთვლიან იაპონიის ცდათ გამოარკვიოს ჩინეთის 2 რესპუბლიკად დაყოფის შესაძლებლობა; ჩრდილოეთ-ჩინეთი — ჩან-ძო-ლინის კონტროლით, ხოლო სამხრეთ-ჩინეთი — კანტონის კონტროლით. თუ მოსალოდნელი და შესაძლებელი იქნება გაყოფა, მაშინ იაპონია შეეცდება ჩან-ძო-ლინისა და კანტონის შეთანხმებას.

თემთა პალატა გაფიცვის შესახებ

ლონდონი, 29 სექტემბ. 27 სექტემბერს გაიხსნა ინგლისის პარლამენტის ორთავე პალატის სესია; ამ სესიის მოწვევის მიზანია კიდევ ერთი თვით გაუგრძელოს ვადა კანონს მთავრობის საგანგებო უფლებათა შესახებ, იმის გამო, რომ **სანახშირო გაფიცვა კვლავ გრძელდება.**

თემთა პალატაში ხმის უმრავლესობით 273 წინააღმდეგ 122 ხმისა მიიღეს რეზოლიუცია იმის შესახებ, რომ პალატის შემოდგომის სესიამ მთავრობის წინადადებანი პირველ რიგში განიხილოს.

მაკდონალდის სიტყვა

მაკდონალდმა გაილაშქრა ამ რეზოლიუციის წინააღმდეგ იმ მოსაზრებით, რომ არავინ არ იცის, რა მოხდება შემოდგომაზე.

„მე ვიმედოვნებ, რომ მანამ საპარლამენტო არჩევნები მოხდებაო", განაცხადა მაკდონალდმა. მის განცხადებას მხურვალე ტაშის ცემით შეხვდენ ოპოზიციის სკამებზე, ხოლო კონსერვატიული პარტიის სკამებზე სიცილით.

ბოლდუინის სიტყვა

შემდეგ გამოვიდა **ბოლდუინი**, რომელმაც სანახშირო გაფიცვის მდგომარეობის საერთო მიმოხილვა გააკეთა და შემდეგ განაცხადა, რომ მთავრობამ ამოსწურა შუამავლობის თითქმის ყველა შესაძლებლობანი, ვინაიდან **მემაღაროებთან მოლაპარაკების დროს მან ვერ მიაღწია რაიმე დათმობას მათის მხრით სამუშაო დღის ხანგრძლივობის საკითხში.** ბოლდუინმა აღნიშნა, რომ თუმცა მთავრობის უკანასკნელი წინადადება უარყოფილ იქნა, მაგრამ მთავრობა მაინც მზადაა, რომ ახლო მომავალში კიდევ გამოვიდეს შუამავლის როლში.

„მუშები, სთქვა ბოლდუინმა, ფაქტიურად ისეთ მდგომარეობაში იმყოფებიან, რომ თუ ისინი კონფლიქტის დაწყებამდე ასეთ მდგომარეობაში ყოფილიყვენ, შეთანხმება შესაძლებელი იქნებოდა".

მაკდონალდი მთავრობის საპასუხო სიტყვაში აკრიტიკებდა მთავრობას იმის გამო, რომ იგი ეხმარებოდა მაღაროს მეპატრონეებს მათ ცდაში აეძულებინათ მუშები დასთანხმებოდენ რაიონულ შეთანხმებაზე, საერთო ეროვნული მასშტაბით შეთანხმების მაგივრად. მაკდონალდი ჰკიცხავდა მთავრობას იმის გამო, რომ მან არ აიძულა მაღაროს მეპატრონენი, მიეღოთ მონაწილეობა კონფერენციაზე მემაღაროებთან ერთად; მაკდონალდმა განაცხადა, რომ **ამჟამად არ არსებობს არავითარი ნიშანწყალი იმისა, რომ მემაღაროენი უკან დაიხევენ, ან მათი რიგები დაიშლება; არ არსებობს აგრეთვე არავითარი ნიშანი შერიგებისა.**

საკლატვალას გამოსვლა

ლონდონი, 28 სექტემბ. თემთა პალატის სხდომის დასასრულს, რომელზედაც განხილულ იქნა სანახშირო მრეწველობის მდგომარეობა, ლლოიდ-ჯორჯის შემდეგ გამოვიდა კომუნისტური დეპუტატი **საკლატვალა.** საკლატვალამ განაცხადა, რომ ხანგრძლივი ზავი სანახშირო მრეწველობაში შეიძლება დამყარდეს მხოლოდ მაშინ, როცა ბოლო მოეღება ინგლისის იმპერიალიზმის აღმაშფოთებელ მოქმედებას, რომელმაც მონური შრომის პირობები შექმნა სხვა ქვეყნებში. საკლატვალა მოითხოვდა, რომ ყველა მუშებმა, რომლებსაც საქმე აქვთ ნახშირის ტრანსპორტთან ინგლისში, ემბარგო გადატანის აღკრძალვა დაადოს უცხოეთის ნახშირს.

„ეს ზომა აიძულებს მთავრობას, რომ მემაღაროებთან შეთანხმებაზე წავიდესო", დასძინა საკლატვალამ.

ლლოიდ-ჯორჯის სიტყვა

შემდეგ გამოვიდა **ლლოიდ-ჯორჯი,** რომელმაც ქებით მოიხსენია ჩერჩილის ცდანი, რომ მიეღწია კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტისათვის იმ დროს, როცა ბოლდუინი შვებულებაში იყო საფრანგეთში.

„თუ მაღაროს მეპატრონეებმა უარჰყვეს მთავრობის მიერ წარმოდგენილი პირობები, დასძინა ლლოიდ-ჯორჯმა, მთავრობის მოვალეობა იყო აეძულებინა მაღაროს მეპატრონენი, რომ მიეღო ეს პირობები.

შეიძლებოდა აგრეთვე ისეთი გზის გამონახვა, რომ მემაღაროენი დასთანხმებულიყვენ მთავრობის მიერ წარდგენილ პირობათა მიღებაზე".

ჩერჩილის სიტყვა

ჩერჩილი, უპასუხებდა რა ლლოიდ-ჯორჯის წინადადებებს, რომ მთავრობამ ხელში უნდა აიღოს მაღაროების მმართველობა, განაცხადა, რომ მთავრობას სრულიადაც არ აქვს განზრახვა მივიდეს ისეთ მდგომარეობამდე, რომ იგი იძულებული გახდეს მიმართოს ქვანახშირის მაღაროების დროებით ნაციონალიზაციას.

კამათის გაგრძელება

ლონდონი, 28 სექტემბერი. თემთა პალატის 28 სექტემბრის სხდომაზე დასრულდა კამათი მემაღაროეთა გაფიცვის გარშემო.

სამთამადნო მუშათა ბელადები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს სხდომაში, დაბეჯითებით მოითხოვდნენ მთავრობის მიერ სამთამადნო მუშათა ფედერაციის აღმასკომის უკანასკნელი წინადადების მიღებას (როგორც უკვე გამოქვეყნებული გვქონდა, სამთამადნო მუშათა ფედერაციის აღმასკომი ამ წინადადებაში თანხმდებოდა გაფიცვამდე არსებული სამუშაო ხელფასის 10%-ით დაკლებაზე, როგორც დროებითი ზომაზე).

ბოლდუინი იცავდა თავის წინანდელ თვალსაზრისს და მოითხოვდა, რომ სამთამადნო მუშებს აღედგინათ მუშაობა ადგილობრივ რაიონული შეთანხმებების პირობებში. **მაკდონალდი** ილაშქრებდა ბოლდუინის წინადადების წინააღმდეგ.

ჩერჩილმა განაცხადა, რომ თუ ამ მოკლე ხანში არ იქნა მიღებული მთავრობის წინადადებები, მაშინ მთავრობა მათ უკან წაიღებს. ჩერჩილის სიტყვის შემდეგ პალატა იხილავდა საკითხს მთავრობისათვის კიდევ ერთი თვით საგანგებო რწმუნებების გაგრძელების შესახებ.

რეზოლიუციას საგანგებო რწმუნებების გაგრძელების შესახებ იცავდა შინაგან საქმეთა მინისტრი **ჯონსონ ხიკსი. თემთა პალატამ 196 ხმის უმრავლესობით 99 წინააღმდეგ მიიღო რეზოლიუცია მთავრობისათვის საგანგებო რწმუნებების კიდევ ერთი თვით გაგრძელების შესახებ. პალატის სხდომები შეწყდა 9 ნოემბრამდე.**

პოლონეთი იარაღს აჟღარუნებს

პარიზი, 28 სექტემბ. საბჭოთა პლატფორმაზე მდგომი, პარიზული ჟურნალის „ჩვენი კავშირის" წარმომადგენელთან საუბარში, ლიტვის ელჩმა პარიზში კლიმასმა განაცხადა: ხმები დანციგის გადაცვლის შესახებ მემელზე, გამართლდა. (ლაპარაკია პოლონეთისათვის მემელის გადაცემაზე დანციგის მაგიერ, რომელიც გერმანიას უნდა გადასცემოდა.).

ვილნოს ოლქში პოლონელ მსროლელთა ორგანიზაციის გაძლიერება, პოლონეთის ჯარების გადაჯგუფება, ლიტვის საზღვრისაკენ მიმავალ შარა გზების შეკეთება, პოლონეთის მოსაზღვრე ლიტვის ოლქებში პოლონური შპიონაჟის გაძლიერება მოწმობენ პილსუდსკის არამშვიდობიანობის მოყვარულ განზრახვებს. **მაგრამ, ამავე დროს, არ შეიძლება მხედველობიდან გაუშვათ ლიტვასა და საბჭოთა კავშირს შორის არსებული მეგობრული დამოკიდებულება.** ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ლიტვის საზღვრებზე თავდასხმას მოსკოვი ჩასთვლის საბჭოთა კავშირის საზღვრებზე თავდასხმად.

კონსერვატორების სისინი

ლონდონი, 28 სექტემბ. კონსერვატიული პარტიის ყოველწლიურ კონფერენციაზე, რომელიც სკარბოროში შესდგება 6 ოქტომბერს, განხილული იქნება საკითხი საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების შესახებ.

ხიტჩინის ორგანიზაციის რეზოლიუცია მოითხოვს, რომ მთავრობამ „ლიკვიდაცია მოუხდინოს იმ საფრთხეს, რომელიც წარმოშვა საბჭოთა აგენტების მოქმედებით ბრიტანეთის იმპერიაში".

პარლამენტის წევრის ბერტენის მიერ შეტანილი რეზოლიუცია მოითხოვს ინგლის-რუსეთის სავაჭრო შეთანხმების უარყოფას.

„განიარაღების კონფერენცია"

ბერლინი, 28 სექტემბ. ერთა ლიგის სესიამ დაადგინა, ლიგის შემდეგ პლენუმამდე მოიწვიოს განიარაღების კონფერენცია, თუ ეს ფაქტიურად შესაძლებელი იქნება.

ინგლისის მუშების ბრძოლა

„აკადემიური" განსხვავება

ლონდონი, 28 სექტემბერი. მუშათა წრეები გაოცებული არიან ჩერჩილის განცხადებით თემთა პალატაში იმის შესახებ, რომ მთავრობას განზრახვა აქვს ეროვნულ ტრიბუნალს მისცეს უფლება გადასინჯოს, როგორც მემაღაროეთა ხელფასის განაკვეთები, ისე სამუშაო დღის ხანგრძლივობა, სხვა სიტყვებით, ტრიბუნალს ეძლევა უფლება დაიცვას 7 საათის სამუშაო დღე განსაზღვრულ ოლქებში, თუ ამ რაიონების მაღაროს მეპატრონენი არადამაკმაყოფილებელ სამუშაო ხელფასს წარუდგენენ. პირვანდელი წინადადების თანახმად სამუშაო დღის ხანგრძლივობის საკითხი არ შედის ტრიბუნალის კომპეტენციაში. მაგრამ თვით ჩერჩილმა ამ განსხვავებას უწოდა „აკადემიური", რამდენადაც **მემაღაროეთა ფედერაციის აღმასკომი არ დასთანხმდა რაიონულ შეთანხმებაზე.**

პოლონეთის ბიუჯეტი

სეიმს ემუქრებიან

ვარშავა, 29 სექტებერი. სენატმა 40 **ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 37 ხმისა, მიიღო მემარჯვენე ოპოზიციის რეზოლიუცია, რომლის თანახმად 1926 წ. მეოთხე კვარტალის ბიუჯეტი შემცირებულია 484 მილიონიდან 450 მილ. ზლოტამდე.** ამ რეზოლიუციის მიღების გამო სეიმის სხდომა, რომელიც აუცილებელია ორთავე პალატის შორის მომხდარ კონფლიქტის მოსაგვარებლად, შესდგება ხუთშაბათს. ამ სხდომაზე, გაზეთების ცნობით, მთავრობა დასვამს ნდობის საკითხს. თუ ნდობა არ გამოუცხადეს, სეიმი, ალბად, დათხოვნილი იქნება პრეზიდენტის დეკრეტით. ახალი არჩევნები დეკემბერში დაინიშნება.

სახელმწიფო ვალი

ვარშავა, 29 სექტემბერი. **სექტემბრის მეორე დეკადაში (ათეულში) პოლონეთის ბანკმა საზღვარ-გარეთ აღებული სესხის საამორტიზაციო პროცენტების ანგარიშში გადაიხადა 2.000 დოლარი. მიუხედავად ამისა, გარანტიის რაოდენობა არ შესუსტებულა და 4,8 %-მდე აღწევს.**

ყორნების კონგრესი

ბერლინი. გაიხსნა პოლიციელთა საერთაშორისო კონგრესი.

(დეპეშებიდან).



მუშათა სოლიდარობა

ლონდონი, 28 სექტემბ. ლონდონში შესდგა მასიური მიტინგი, რომელიც მოაწყო დამოუკიდებელმა მუშათა პარტიამ, ლოზუნგით: „ხელები შორს ჩინეთისაგან“. მიტინგზე გამოსულმა თემთა პალატის წევრმა, ყოფილმა მინისტრმა მაკდონალდის მთავრობაში ტრეველიანმა განაცხადა:

„უკვე დროა ინგლისის მთავრობამ დე ფაქტოთ იცნოს კანტონის მთავრობა ჩინეთის მთავრობად და გამოიწვიოს ჩინეთიდან არტილერია და საავიაციო ესკადრილია“.

საგანგებო წესები

ლონდონი, 29 სექტემბ. რეიტერის საგენტო იუწყება, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი ჯოინსონ ხიქსი თემთა პალატაში გამოვიდა წინადადებით საგანგებო მდგომარეობის გაგრძელების შესახებ და განაცხადა, რომ უკანასკნელ თვეებში საგანგებო მდგომარეობის წესით განხილულ იქნა 809 საქმე; ამათგან 202 საქმე ეხება მეამბოხეებს. სასამართლომ მხოლოდ 13 საქმის შესახებ სცნო აუცილებლად დატუსაღების განაჩენის გამოტანა.

სადელეგატო კონფერენცია

ლონდონი, 29 სექტემბ. დღეს დილით შესდგა მემაღაროეთა დელეგატების კრება, რომელზედაც მოისმინეს მემაღაროეთა აღმასკომის მოხსენება სანახშირო საკითხის მდგომარეობის შესახებ. გამოითქვა აზრი, რომ საკითხის გადასაწყვეტად მიმართონ ხმის მიცემას სანახშირო რაიონებში.

პუანკარე კონტრიბუციას მოითხოვს

პარიზი, 28 სექტემბერი. ჰავასის საგენტო იუწყება, რომ პუანკარე, რომელიც გამოვიდა ბარ-ლე-დიუკში ქალაქის თვითმართველობის სხდომაზე, განაცხადა, რომ საფრანგეთი არასოდეს არ იტყვის უარს საგარეო ვალების გადახდაზე, რომელიც აქამდეც გასტუმრებული იქნებოდა, რომ გერმანიას არ შეეშალა ხელი და თავის დროზე შეესრულებია თავისი ვალდებულება. ჩვენ მოვითხოვთ,—სთქვა პუანკარემ—ჩვენი საბოლოოდ აღდგენილი ტერიტორიის შენარჩუნებას, რეპარაციის რეგულიარულ გადახდას. ჩვენ არ დავსთმობთ ჩვენს უფლებებს და არც სიფხიზლეს შევასუსტებთ.

ინგლისის პროვოკაცია

თეირანი, 28 სექტემბერი. ავგისტოში დედაბას მახლობლად დაიწყო ბელუჯების აჯანყება, მათ შეუერთდენ ბელუჯები სეისტანისა და კერ მაკას რაიონებიდან. სპარსეთის ხელისუფლება დაუფარავად ლაპარაკობს, რომ ამ აჯანყებაში ინგლისელებიც მონაწილე არიან. ამ რაიონების გენერალ გუბერნატორი უკვე დიდი ხანია ახლო მეგობარი იყო ინგლისის კონსულის მაიორ ფიშერისა.

ხუცების წინააღმდეგ

მექსიკო, 28 სექტემბ. კათოლიკური ეკლესიის იმედი, რომ სამღვდელოების გაფიცვა პოლიტიკურ მღელვარებას გამოიწვევდა რელიგიურ ნიადაგზე, არ გამართლდა. ავგისტოს დამდეგს სამღვდელოება წინასწარმეტყველობდა, რომ ეკლესიის წინააღმდეგ მიმართული დეკრეტი გამოიწვევდა ბრძოლებს ქუჩებშიაც კი. მაგრამ მას შემდეგ მოხდა მშვიდობიანი დემონსტრაცია 50.000 მუშისა და გლეხის, რომელიც მიმართული იყო ეკლესიის წინააღმდეგ და რომელმაც დაამტკიცა მოსახლეობის ლოიალობა მთავრობის მიმართ.

ფულის რეფორმა ბელგიაში

პარიზი, 29 სექტემბ. „ჟურნალის“ ცნობით, ფრანკიმ პუანკარესთან საუბარში აღნიშნა, რომ ბელგიაში ეროვნული ბანკის ახალი მმართველის დანიშვნა მიმართულია იმისაკენ, რომ შემსუბუქებულ იქნას მთავრობის მოქმედება ფულის დიდი რეფორმის წინ. მან აცნობა აგრეთვე, რომ მოლაპარაკება ბრიტანეთიდან კრედიტების მიღების შესახებ შეთანხმებით დამთავრდა.

ბელგია გამოსთქვამს სურვილს, რომ ფრანკის რეფორმა ბელგიაში ერთდროულად განხორციელდეს საფრანგეთთან ერთად. მაგრამ პუანკარემ განაცხადა, რომ საფრანგეთის ფრანკის რეფორმა ჯერ კიდევ მოითხოვს განსაზღვრულ დროს.

ვენიზელისტები და ანტივენიზელისტები

ლონდონი, 29 სექტემბერი. ათინიდან იუწყებიან, რომ ვენიზელისტებისა და ანტივენიზელისტების ბელადების კრება, ადმირალ კონდურიოტისისა და გენერალ კონდილისის თანადასწრებით, რომელიც მოწვეული იყო არჩევნებში საერთო პოლიტიკის შესამუშავებლად, 6 საათის კამათის შემდეგ უშედეგოდ დამთავრდა.

იაპონიის მთავრობის წინააღმდეგ

ლონდონი, 29 სექტემბ. ტოკიოდან მიღებული ცნობით, ოპოზიციონური პარტიები გაერთიანდენ იმ მიზნით, რომ აიძულონ მთავრობა გადადგეს პარლამენტის სესიის დაწყებამდე დეკემბერში.

კუკი და ჩერჩილი

ლონდონი, 28 სექტემბ. 28 სექტემბერს საღამოთი კუკს კერძო თათბირი ჰქონდა ჩერჩილთან. საუბრის შედეგი გამოურკვეველია.

ბესარაბია-„აფრიკის კოლონია“

ვენა, 28 სექტემბერი. ბესარაბიის გლეხთა პარტიის ლიდერმა სტერემ „ადევერულში“ მოათავსა ორი წერილი იტალია - რუმინეთის ხელშეკრულებისა და ბესარაბიის საკითხის შესახებ.

სტერე აცხადებს, რომ რუმინეთს არა აქვს მორალური უფლება დიპლომატიური საქმიანობის წარმოებისა საზღვარ-გარეთ ბესარაბიის სახელით, რადგან ამან ბესარაბია გადააქცია „აფრიკულ კოლონიად“, შებღალა ყველა ადამიანური უფლებები და დაპატიმრებითა და წამებებით სდევნა გლეხთა ბელადები.

„ჩვენ. 17 მილიონიანი ხალხი,—სწერს სტერე,—რომ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები ვიყოთ, მაშინ ჩვენს ნებისყოფას ვერავინ ვერ გაუწევდა წინააღმდეგობას. მაგრამ, საუბედუროთ, ჩვენ 17 მილიონი მონა ვართ“.

ათინის კაბინეტის კრიზისი

ათინა, 28 სექტემბერი. ათინის დეპეშათა საგენტო იტყობინება:

„საბერძნეთის ყველა პოლიტიკური პარტიების ლიდერები დღეს შეიკრიბენ რესპუბლიკის პრეზიდენტთან — კონდურიატისთან მომავალ საპარლამენტო არჩევნების ჩატარების წესის შესამუშავებლათ და სათავეში მთავრობის შემადგენლობის უცვლელად დატოვების შესახებ შემოსულ შეკითხვის განსახილველად.

თათბირში მონაწილეობდა, აგრეთვე, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გენერალი კონდილისი. თათბირმა ვერავითარ შეთანხმებას ვერ მიაღწია. რესპუბლიკის პრეზიდენტის უხერხულ მდგომარეობიდან გამოსაყვანად, კონდილისმა განუცხადა მას, რომ მთავრობა მზად არის გადადგომაზე.

რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჯერ-ჯერობით არ მიიღო მთავრობის გადადგომა“.

უკანასკნელი ცნობები

დოკერების გაფიცვა

პარიზი, 29 სექტემბერი. ჰამბურგელმა დოკერებმა უარჰყვეს არბიტრაჟის დადგენილება და გაფიცვა გამოაცხადეს.

თავდასხმა

პარიზი, 29 სექტემბერი. კოვნოში ლიტველები თავს დაესხენ პოლონელების პროცესიას. დაჭრილია 9 კაცი.

სპარსეთის მეჯლისში

ლონდონი, 29 სექტემბერი. თეირანიდან მიღებული ცნობით, მეჯლისმა მხურვალე კამათის შემდეგ მთავრობის პროგრამის შესახებ ნდობა გამოუცხადა კაბინეტს 85 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 12 ხმისა.

სიშორის რეკორდისათვის

მოსკოვი, 29 სექტ. 28 სექტემბერს პარიზიდან კრასნოიარსკისაკენ გამოფრინდენ ძმები რაშარები ახალი სიშორის რეკორდის ასაღებათ.

გორკის არქივი

ლენინგრადი, 29 სექტემბერი. სამეცნიერო აკადემიამ მიიღო მაქსიმ გორკისაგან წერილი, რომელშიაც ის იტყობინება, რომ თავის არქივს, რომელიც ამჟამად საზოგადოებრივ ბიბლიოთეკაში იმყოფება, უანდერძებს სამეცნიერო აკადემიას.

დოკერების ლოკაუტი

პარიზი, 29 სექტემბერი. დიუნკირხენიდან იტყობინებიან, რომ დოკერებმა მოხსნეს ლოკაუტი და მუშაობა კვლავ განახლდა.

გერმანიის კომპარტიის ყრილობა

ბერლინი, 28 სექტემბ. გერმანიის კომპარტიის მე-11 პარტიული ყრილობა 27 ნოემბერს გაიხსნება ესენში.

გლეხების მღელვარება იაპონიაში

ტოკიო. 29 სექტემბერი. პოლიციამ დააპატიმრა გლეხური კავშირის, რევოლიუციონური პროფკავშირების გაერთიანების და ახალგაზრდათა ლიგის 60 გამოჩენილი ბელადი; ამ ბელადებს ბრალდებათ ერთდროულად მთელ ქვეყანაში 400.000 გლეხის საიდუმლოთ მობილიზაციის განზრახვა, რომელშიაც მონაწილეობა უნდა მიეღოთ მემამულეთა მიერ გლეხობის გაყვლეფის საწინააღმდეგო დემონსტრაციაში. პოლიციამ კონფისკაცია უყო მოწოდების მილიონ ფურცელს.

კუკი და ჩერჩილი

ლონდონი, 28 სექტემბერი. ოფიციალურად გვატყობინებენ, რომ კუკს არც ერთი საუბარი არ ჰქონია ჩერჩილთან.

შეთქმულება რიზა - შახის წინააღმდეგ

თეირანი, 28 სექტემბერი. აღმოაჩინეს შეთქმულება რიზა-შახის წინააღმდეგ. და დაპატიმრებულია 25 შეთქმული, მათ რიცხვში შახის მცველი რაზმის უფროსი და აგრეთვე, ყოფილი დეპუტატი. ინგლისის აგენტი პოლკოვნიკი ხაიმი. შეთქმულთა შორის ბევრია ისეთი, რომელთაც უშუალო კავშირი აქვთ გაზმული ინგლისის მისიასთან.

◆

„რუსეთ-აზიის ბანკის“ დახურვა

ხარბინი, 28 სექტემბერი. რუსეთ-აზიის ბანკის დახურვა ჩინეთში არსებითად გამოწვეულია ბანკის გაკოტრებით. ფულის შემნახველნი ჯგუფებად თავმოყრილი არიან ბანკის კანტორასთან. ფულის შემნახველთა შორის მრავალია რუსი თეთრგვარდიელი, აღმ.-ჩინ. რკინ. გზის მოსამსახურე და, აგრეთვე, პენსიონერები. მარტო ხარბინში ფულის შემნახველთა რაოდენობა 2.500 კაცს აღემატება, ხოლო შეტანილი ფულისა—3 მილიონ იაპონურ იენს.

ბანკის შენობას როგორც გარედან, ისე შიგნით იცავს ჩინეთის პოლიცია. პოლიციამ დაბეჭდა ბანკის სალაროები ხარბინში. ბანკიდან გამოსულ პირებს სჩხრეკს პოლიცია ბანკიდან მნიშვნელოვანი დოკუმენტების გამოტანის შიშით.

თუმცა გამოცხადებული იყო, რომ ბანკის ლიკვიდაცია ხდება საფრანგეთის კანონებით, ჩინეთის სასამართლო მაინც არ სცნობს ამ გადაწყვეტილებას. ჩინეთის სასამართლომ ხარბინში. რომელსაც ჰქონდა შენახული თავისი ფულები რუსეთ-აზიის ბანკში, უკვე დაადო ყადაღა ბანკის კუთვნილ ფულს. ამნაირად უკვე მოსალოდნელია კონფლიქტი ბანკსა და ჩინეთის ხელისუფლების შორის.

თეთრგვარდიელთა ორგანო „ზარია“, რომელიც ხარბინში გამოდის, სწერს: „ამბების მსვლელობა განაგრძობს რუსეთის კომერციული საქმიანობის ჩაკვლას. მიუხედავათ იმისა, თუ რამდენად სუსტი იყო ბანკის პრეტენზიები აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზაზე, ეს პრეტენზიები მაინც მუდამ ჰპოვებდენ დახმარებას საერთაშორისო ძალების მხრივ. ბანკის დახურვა ერთგვარ სიცარიელეს ჰქმნის. დახურულ ბანკის ადგილას მოვა მემკვიდრე, რომელიც პოლიტიკური თვალსაზრისით გამოდგება უფრო ძლიერი, ვიდრე მისი წინამორბედი. ის იქნება უფრო ნაკლებ რუსული, მაგრამ გაცილებით მტკიცე და ენერგიული“.

გაზეთს მხედველობაში აქვს ქალაქში გავრცელებული ხმები მეორე, რუსეთ-საფრანგეთ-ჩინეთის ბანკის შექმნის შესახებ, რომელსაც ვითომდა. სათავეში ჩაუდგება აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ყოფილი მმართველი, გენერალი ხორვატი. ფიქრობენ, რომ ეს ხმები გავრცელებულია ისევე თეთრგვარდიელების მიერ. ალბად, საკუთარი თავის დასამშვიდებლათ, რადგან ბანკს არავითარი დამატებითი განკარგულებები არ მიუღია პარიზიდან.

რა ხდება უცხოეთში

ჩინეთი

გომინდანის დეკლარაცია

ჩინელი ხალხის იმედების განსახორციელებლად, გაერთიანებული მთავრობის შესაქმნელად და ეროვნული რევოლიუციის საფუძვლის გასამტკიცებლად, ჩვენმა პარტიამ სამხედრო ექსპედიცია დაიწყო მოღალატე იმპერიალისტების წინააღმდეგ. ის მზად არის ყოველგვარი მსხვერპლი გაიღოს ხალხის განთავისუფლებლად და ქვეყნის სახსნელად“.

ჩინეთში მომხდარ უკანასკნელ ამბების გამო, გომინდანმა გამოაქვეყნა შემდეგი დეკლარაცია:

ჩინეთის ხალხის ტანჯვა უზომოა. გლეხების მძიმე შრომის ნაყოფს დაქირავებული ჯარები და ბანდიტები სჭამენ. გლეხები დატვირთულნი არიან სპეციალური გადასახადით, რომელიც შეუჩერებლივ მატულობს, ისინი მილიტარულ ჩაგვრას განიცდიან. ჩრდილოეთის სოფლებს ხან ერთი გენერალის ჯარის კაცები არბევენ, ხან მეორესი. მოხუცებულები და ბავშვები თხრილებში იხოცებიან, მაშინ როცა ახალგაზრდა და ჯანსაღ მამაკაცებს იტაცებენ და შინაურ საქონელივით ამუშავებენ.

ასევე იჩაგრებიან მუშებიც, რომელნიც დაღვრილი ოფლის სანაზღაუროდ, იმდენს ძლივს ღებულობენ, რომ შიმშილით სიკვდილი აიცილონ, ხშირად კი ისინი იძულებულნი არიან მათხოვრობა დაიწყონ.

ჩინელი კომერსანტები იჩაგრებიან უცხოელი ვაჭრების მიერ, რომელთაც უხვად შემოაქვთ თავიანთი საქონელი და ჩინეთიდან ნედლი მასალა გააქვთ.

ინტელიგენტების, პროფესორების, მასწავლებლების და სხვ. ჯამაგირი მცირედია, ამ მცირედსაც ვერ ღებულობენ თავის დროზე და მათ მუდამ შიმშილი ემუქრება.

იმ პროვინციებში, რომელნიც, როგორც მაგალითად ჩჟილი, შანტუნი იმპერიალისტების ხელშია, და მუდმივ სამოქალაქო ომის ასპარეზს წარმოადგენენ, სკოლები ჩვეულებრივ დაკეტილია, ხოლო მასწავლებლები შავი მუშების მდგომარეობაში იმყოფებიან.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ექსპლოატაციიდან იმპერიალისტები განუსაზღვრელ მოგებას ღებულობენ. ჩინელი ხალხის სიმდიდრე სავსებით ამოწურულია. იმპერიალისტები ჩვენი კრედიტორები არიან, ხოლო ჩვენ მათი მოვალეები ვართ. ისინი არ მუშაობენ, მაგრამ მაინც მდიდრულად ცხოვრობენ, ჩვენ, ჩინელები კი, შინაურ საქონელივით ვმუშაობთ. ისინი ჩვენი ფინანსიური ოსტატები არიან, მათ უფლება აქვთ ჩვენ გვიბრძანონ, ჩინელი ხალხი კი ეკონომიურად მონებს წარმოადგენენ, რომელთაც შეუბრალებლად ამათრახებენ.

ისინი არ კმაყოფილდებიან ეკონომიურ ჩაგვრით, ისინი ატრიალებენ ჩვენს პოლიტიკას, ეხმარებიან მილიტარისტებს მთავრობის სადავეები დაიჭირონ ხელში და ხელს უწყობენ მათ, რომ ქვეყანა გაჰყიდონ.

ჩრდილ. და ცენტრალურ ჩინეთში ხალხს არავითარი წესიერი მთავრობა არ მყავს, მას ბოროტმოქმედნი მართავენ.

ჩვენმა პარტიამ ყურადღებით გამოიკვლია მდგომარეობა, და დაინახა რა, რომ ჩინელი ხალხის ხანგრძლივი ტანჯვის ღრმა მიზეზი უცხოელი იმპერიალისტებისა და მათი ინსტრუმენტების, მოღალატე — მილიტარისტების მოქმედებაში მდგომარეობს, სცნო, რომ ჩინეთს გაერთიანებული მთავრობა სჭირია. მხოლოდ ასეთ მთავრობას შეუძლია ხალხის ჩაგვრის და სამოქალაქო ომის მოსპობა.

ჩინელი ხალხის იმედების განსახორციელებლად, გაერთიანებული მთავრობის შესაქმნელად და ეროვნული რევოლიუციის საფუძვლის განსამტკიცებლად, ჩვენმა პარტიამ სამხედრო ექსპედიცია დაიწყო მოღალატე მილიტარისტების წინააღმდეგ. ის მზად არის ყოველგვარი მსხვერპლი გაიღოს ჩინელი ხალხის განთავისუფლებლად და ქვეყნის სახსნელად.

ამ მხრივ ჩვენი პარტია მისდევს განსვენებული ბელადის, დოქტორ სუნ-იატ-სენის მოძღვრებას და ასრულებს მის მიერ ნაანდერძევ ვალდებულებებს.

გაუმარჯოს ჩინეთის გაერთიანებულ მთავრობას!

გაუმარჯოს ეროვნულ რევოლიუციას!

გაუმარჯოს ჩინეთის რევოლიუციონურ არმიას!

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ფასების დაკლება საქონელზე

მოსკოვი, 29 სექტემბერი. საკავშირო ვაჭრობის სახალხო კომისარმა დაგზავნა ცირკულიარი ამხ. მიქოიანის ხელმოწერით სავაჭრო აპარატის რაციონალიზაციის საკითხისა და საცალო ფასების დაკლების შესახებ. დღემდე ფასების დაკლების კამპანია—ნათქვამია ცირკულიარში—არ მიმდინარეობდა სათანადო ენერგიით. სიტყვიდან საქმეზე უნდა გადავიდეთ. საცალო ფასების დაკლება, როგორც გამოცდილებამ გვიჩვენა, სავსებით მოსახერხებელია. საჭიროა ნების სიმტკიცე და მოხერხება სახელმწიფო ორგანიზაციებისა და კოოპერაციის მხრით, რომ მიღწეულ იქნეს რეალური შედეგები. ფასების დაკლებას ჯერ სოფლამდე თითქმის არ მიუღწევია. მან უნდა იაროს სავაჭრო აპარატის რაციონალიზაციის გზით და შეამციროს იმ რგოლების რაოდენობა, რომელნიც საქონელმა უნდა გაიაროს. ჩამოშორებულ უნდა იქნეს კერძო შემსყიდველ-გადამყიდველი და ჩაბმულ უნდა იქნეს საზოგადოებრივი ორგანიზაციები მათ წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლის კამპანიაში. საბჭოთა სასამართლო პასუხის გებაში მისცემს მათ, ვინც გვერდს აუვლის აღნიშნულ დირექტივების შესრულებას.

მოსკოვი, 29 სექტემბერი. საცალო ფასების დამკლებ ცენტრალურ კომისიის კრებაზე ვაჭრობის სახ. კომისარმა ამხ. მიქოიანმა განაცხადა, რომ კომისიის უმთავრესი მუშაობა შემდეგში უნდა გამოიხატოს: მოვაჭრე ორგანიზაციების ზედ-ნადები ხარჯების წყაროების გამორკვევასა, კოოპერაციის რაიონულ კავშირების გადიდებასა, საქონლის გასატარებელ აპარატის საფეხურების შემცირებასა, კერძო კაპიტალთან დამოკიდებულების გარკვევაში და სხვ. აუცილებელია ფასების დაკლების მიზნით გამოყენებულ იქნას მასსების ზეგავლენა მოვაჭრე ორგანიზაციებზე.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ნავთის სამმართველოში

ბაქო 29 სექტემბ. 1926—27 წელში ნავთის შინა-მრეწველურ ამოღების ფინანსიურ უზრუნველსაყოფად გადადებულია 200.000 მანეთი.

საკონსერვო ქარხანა

ბაქო, 29 სექტემბ. კეიბირლიგიმ 61.700 მანეთი გადასდო კონსერვების ქარხნის ასაშენებლათ ლენქორანში.

მომჭირნეობის რეჟიმი

ბაქო, 29 სექტემბ. ხარჯების მომჭირნეობის მიზნით ტრამვაის კომიტეტმა გაატარა ზოგიერთი ღონისძიება, რაც წლიურათ 100.000 მანეთის მომჭირნეობას იძლევა.

რკინისგზის ვიწრო ლიანდაგის შეცვლა განჯა—სადგურს შორის

ბაქო, 29 სექტემბერი. აზერბეიჯანის ცაკმა შუამდგომლობა აღძრა ამიერ - კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, რათა რკინისგზის ვიწრო ლიანდაგი, რომელიც სადგურ განჯას ქალაქთან აერთიანებს შეცვლილ იქნეს ფართო ლიანდაგით.

ბრძოლა უმუშევრობასთან

ბაქო, 29 სექტემბერი. შრომის სახალხო კომისარიატმა 1926—27 წელს აზერბეიჯანში უმუშევრობასთან საბრძოლველ ღონისძიებათა ფინანსიურად უზრუნველსაყოფათ გამოითხოვა 500,000 მანეთი.

სომხეთი

სახლების მშენებლობა

ერევანი, 29 სექტემბ. ცნობებმა სომხეთში საერთო აღმშენებლობის, კერძოთ სახლების მშენებლობის შესახებ მიაღწია სომხეთის ახალშენებშიც, სადაც მშრომელი სომხობა თაოსნობას იჩენს სომხეთის სახლთ - მშენებლობის დახმარების საქმეში. მაგალითად, შეერთებულ შტატების პატარა ქალაქში, შპრინგფელდში, სომხების ახალშენმა დაადგინა ერევანში ააშენოს თავის სახელობის დიდი ორსართულიანი სახლი და სომხეთის დახმარების ცენტრალ. კომიტეტისაგან გამოითხოვა გეგმა და ხარჯთაღრიცხვა, იმ ვარაუდით, რომ წელს შემოდგომაზე შეუდგენ აშენებას. ამერიკის ქალაქ ლოს-ანჯელოსში სომხების ახალშენის 1500 კაციან მიტინგზე მოჰკრიბეს 6.500 დოლარი და დაადგინეს კიდევ შეაგროვონ 25.000 დოლარი დიდი სახლის ასაშენებლათ სომხეთში. სომეხ - ახალშენების სამ-ათასიანმა მიტინგმა ფრეზნოში (შეერთებული შტატები) დადგენილება გამოიტანეს სომხეთში ააშენონ სახლი და ფულის მოკრეფას შეუდგენ.

საფრანგეთის რკ. გზ. დელეგაცია თბილისში

რკინისგზის სახელოსნოების დათვალიერება

გუშინ, დილის 11 საათზე საფრანგეთის რკ. გზ. მუშათა დელეგაციამ დაათვალიერა ა-კ. რკ. გზელთა პროფკავშირი. დელეგატები დიდხანს ესაუბრენ რკინის გზის პროფკავშირის პასუხისმგებელ მუშაკებს, რის შემდეგ დელეგაცია ესტუმრა თბილისის რკ. გზ. მთავარ სახელოსნოს.

დელეგატებმა დაათვალიერეს სახელოსნოების ყველა საამქროები და ესაუბრენ მუშებს თავიანთ მდგომარეობის გარშემო. ისინი კმაყოფილებას გამოსთქვამდენ სახელოსნოებში შრომის ორგანიზაციულ მოწესრიგების გამო. დიდი შთაბეჭდილება დასტოვა სტუმრებზე მუშებთან საუბარმა, განსაკუთრებით, ძველი მუშის ამხ. გრიბენკოს პასუხმა, შეკითხვაზე თუ რატომ უყვარს მას საბჭოთა ხელისუფლება.

—„50 წელია ვმუშაობ ამ სახელოსნოში და ასეთი შრომის პირობები ეხლა რომ არის—არას დროს არ მქონია, ამიტომ თავს დავსდებ საბჭოთა ხელისუფლებისათვის“.

დელეგაციამ დაათვალიერა აგრეთვე სახელოსნოს ქიმიური ლაბორატორიუმი და კმაყოფილი დარჩა ახალი მშენებლობის წამოწყებებით.

დასასრულ დელეგაციამ ინახულა მთავარ სახელოსნოს აბანო და კმაყოფილი დარჩა აბანოს სანიტარული მდგომარეობით.

ბოლოს დელეგაციის წევრებს ხანგრძლივი საუბარი ჰქონდათ მთავარ სახელოსნოს ადმინისტრაციასთან და ადგილკომთან.

დელეგატებს ახსნა-განმარტებებს აძლევდენ ამხ.ივანოვი, უსტიაშვილი, მაჭარაძე და სხვ.

ხელფასის მოწესრიგების შესახებ დელეგატებმა აღნიშნეს, რომ საბჭოთა ხელისუფლება თავდებია მუშათა ხელფასის განუწყვეტელი ზრდისა.

რკ. გზ. სახელოსნოებში დელეგაციის თავმჯდომარემ ამხ. დეგრანჟემ ჩვენს თანამშრომელს შემდეგი წერილობითი განცხადება გადმოსცა.



La Délegation Française des Transports et des Cheminots adresse, à son passage à Tiflis son salut fraternel aux camarades Georgiens.

Pour la Délégation
le Président
L. Degrange

საფრანგეთის რკინის-გზელთა და ადგილობრივი ტრანსპორტის მუშათა დელეგაცია თბილისში ჩამოსვლის გამო ძმურ სალამს უძღვნის ქართველ ამხანაგებს.

დელეგაციის თავმჯდომარე ლ. დეგრანჟი.

ტრანსპორტის დათვალიერება

დელეგაციაში შემავალმა ადგილობრივი ტრანსპორტის მომუშავეებმა ამხ. ლეტუემ, პიკარმა, ვაკეტმა და გალანმა დაათვალიერეს სხვადასხვა სატრანსპორტო დაწესებულებები.

პირველათ დელეგაცია ესტუმრა „ზაკავტოპრომტორგს“, სადაც მათ განმარტებას აძლევდენ ადგილობრივი პასუხისმგებელი ამხანაგები; შემდეგ ესტუმრენ ა-კავკასიის მტვირთავ მუშათა ამხანაგობას და შემდეგ დაათვალიერეს „ზაკავტოპრომტორგის“ სახელოსნოები და გარაჟები.

ფრანგი სტუმრები ძლიერ დაინტერესებული იყვენ ჩვენი მუშების ეკონომიური მდგომარეობით, ხელფასით, ეროვნული შემადგენლობით და სხვა.

ყველა კითხვებზე განმარტებას იძლეოდენ ამხანაგი ცურინოვი და ფრუიძე.

დასასრულ დელეგაციის წევრები აღტაცებას გამოსთქვამდენ ჩვენი მუშების მდგომარეობით და აღნიშნავდენ, რომ საფრანგეთის მუშათა კლასი ცუდ მდგომარეობაში იმყოფება.

ტრამვაის სახელოსნოებში

ამის შემდეგ დელეგაცია ესტუმრა ტრამვაის სახელოსნოებს, სადაც მას შეხვდენ ამხ. ფარნიევი და ტრამვაის სხვა მუშაკები.

სახელოსნოების დათვალიერების შემდეგ, დელეგაციის წევრები ესაუბრებოდენ სახელოსნოების მუშებს და ეკითხებოდენ მათი ცხოვრების პირობების შესახებ.

გამსახლში მენშევიკებთან

საღ. 5 საათზე დელეგაციამ ინახულა მე-2 გამსახლში მოთავსებული აგვისტოს ავანტიურის გმირები; აქ ისინი ესაუბრენ ანდრონიკაშვილს და სხვ., რომლებმაც აღუთქვეს მათ წერილობითი პასუხის გაცემა წერილობით შეკითხვებზე.

პროფაქტივის კრება

საღამოს 8 საათზე პლეხანოვის სახ. კლუბში შესდგა პროფაქტივის გაერთიანებული კრება; ამხ. საბაშვილმა გააცნო დამსწრეთ დელეგაციის შემადგენლობა, მისი ჩამოსვლის მიზანი და აღნიშნა მათი უდიდესი მნიშვნელობა მსოფლიო მუშათა მოძრაობის გაერთიანების საქმეში. ის კრების სახელით მიესალმა სტუმრებს.

უკანასკნელებიდან მხურვალე სიტყვით მიმართა დამსწრეთ დელეგაციის თავმჯდომარემ ამხ. დეგრანჟემ და ლებემ. მათ დაუხატეს კრებას ის სურათი, რომელიც შეთითხნილია საფრანგეთში საბჭოთა კავშირის შინაურ მდგომარეობის შესახებ, თითქოს ხალხი აქ სასტიკ მონობაში და ჩაგვრაში იმყოფებოდეს.

— „ჩვენ გვაფრთხილებდენ არ წამოვსულიყავით აქ—განაცხადა ამხ. დეგრანჟემ—წინასწარ გამოგვეტირეს კიდეც, რომ მოვდიოდით მაგრამ ეხლა დავრწმუნდით, თუ რა ბურუსშია გახვეული ევროპის მუშათა კლასი საბჭოთა კავშირის საკითხში“. ამხ. ლებემ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, თუ როგორ ღალატობენ საფრანგეთის მუშათა კლასს ისეთი „მემარცხენეები“, როგორიცაა რენოდელი და სხვები.

დელეგაციას მიესალმენ ამხ.მახაიძე (საქ. პროფკავშირთა საბჭოს სახელით), ხიზრელაშვილი (მთავარ სახელოსნოების მუშების სახელით), ყიფიანი (დეპოს მუშების სახელით) უშვერიძე (ავტო-კლუბის სახელით), ახლამაზაშვილი (ახ. ლ. კ. კ. სახელით) და ხიდისთაველი (პროლ. მწერალთა ასოციაციის სახელით).

დიდი შთაბეჭდილება დასტოვა დელეგატებზე მოხუცი მჭედლის—მთავარ სახ. მუშის ამხ. კოვალიოვის სიტყვამ.

დასასრულ დელეგატებმა პროფაქტივთან ერთად იმღერეს „ინტერნაციონალი“ და დაათვალიერეს საკლუბო მუშაობა. შემდეგ გაიმართა კონცერტი.

◆

ამხ. ბუდიონი თბილისში

ცხენოსანი ნაწილების დათვალიერება

გუშინ, ამხ. ბუდიონმა დაათვალიერა თბილისის გარნიზონის ცხენოსანი ნაწილები და შემდეგ ესტუმრა არმიის შტაბს და პოლიტსამართველოს.

ჩვენი თანამშრომლის შეკითხვაზე, თუ როგორი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე კავალერიამ, ამხ. ბუდიონიმ განაცხადა:

— ცხენოსანი ნაწილების დათვალიერებამ დამარწმუნა მე, რომ იგი სათანადო სიმაღლეზე სდგას. ცხენოსანი ნაწილების მდგომარეობა საუცხოვოა.

ამხ. ბუდიონი მუშებთან

გუშინ საღამოს ჩოდრიშვილის სახელობის კლუბში ამხ. ბუდიონიმ მოხსენება გააკეთა საბჭოთა კავშირის შინაური მდგომარეობისა და არმიის და მოსახლეობის ამოცანების შესახებ საერთაშორისო მდგომარეობასთან დაკავშირებით.

აღნიშნა რა ქვეყნის მნიშვნელოვანი ამოცანები ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის დარგში, ამხ. ბუდიონიმ სთქვა, რომ მშვიდობიან აღმშენებლობასთან ერთად საჭიროა ხანგრძლივი სწავლა სამხედრო ტეხნიკის დარგში. რევოლიუციონური ენტუზიაზმი და სამხედრო ტეხნიკა, ჩვენს არმიას დაუძლეველათ ხდის.

ამხ. ბუდიონის მოხსენება

საღამოს, წითელარმიის და ფლოტის საზაფხულო კლუბში, თბილისის და ნავთლუღის გარნიზონის მეთაურთა და პოლიტშემადგენლობის საერთო კრებაზე ამხ. ბუდიონმა გააკეთა მოხსენება სამხედრო მშენებლობის მომავალ ამოცანების შესახებ.

კაპიტალისტური ქვეყნები იჭადნებიან ომით; ამას ჩვენ კარგათ ვხედავთ, და ყოველთვის მზად ვიქნებით, რათა საჭიროების დროს გავსცეთ მათ სათანადო პასუხი.

უნდა აღვნიშნოთ ჩვენთვის ერთი ფრიად საიმედო გარემოება, რომ მთელი ქვეყნის მუშები და გლეხები ჩვენს მხარეზე არიან. თუ კაპიტალისტები მოგვახვევენ ომს, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ იგი გადაიქცევა სამოქალაქო ომად. მთელ მსოფლიოზე საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლათ. მომავალი ომები ავიაციის და ქიმიის საშუალებით იწარმოებს და იგი მოსპობს ფრონტს და ზურგს. ამისათვის ჩვენი მომავალი ამოცანაა — გავასამხედროვოთ საბჭოთა კავშირის მოსახლეობა და შევქმნათ ძლიერი თავდაცვის საშუალება.

ამასთანავე ჩვენს მიზანს შეადგენს მუშაობის განგრძობა ჯარის ბრძოლის უნარიანობის გასაძლიერებლად. ამხ. ბუდიონის მოხსენების შესახებ გამოტანილ იქნა შესაფერი რეზოლიუცია.

◆

ნუ შევასუსტებთ ყურადღებას

(წერილი მოსკოვიდან)

კრებებზე, ტრამვაიში, ქუჩებზე, თეატრებში,—ყველგან ხულიგნობაზე ლაპარაკი გაისმის. სამწუხაროდ ამ საკითხში მოსკოვიც არ ჩამორჩება ლენინგრადს, სადაც, როგორც ვიცით, კომკავშირის წევრი ქალიშვილი გააუპატიურა ორმოცმა ხულიგანმა.

ხულიგნების მოქმედება ყოვლად უაზროა. გუშინ ქალაქის ახლოს მდებარე სოფელ ბოგოროდსკში ხულიგნებმა დაანგრიეს ყველა ხიდები, ფაბრიკა „ბოგატირთან“. ამ დღეებში ბაღში უბილეთოდ გაშვებაზე უარის თქმის გამო მოჰკლეს საბჭოთა და სავაჭროთა მუშაკების ცენტრალურ საზაფხულო კლუბის დარაჯი.

ისეთ მოძრავ ქუჩაზე. როგორიც სრეტენკაა, ხულიგანმა მკერდში დანით დასჭრა ქუჩაზე შემთხვევით მიმავალი ქალი, რომელიც არ დათანხმდა წაყოლოდა მას ლუდხანაში.

„ცვეტნოი ბულვარის“ რაიონი პროსტიტუციის და ხულიგნობის ცენტრი იყო.

სულ ახლო წარსულში აქ მოთავსებული იყო მთელი რიგი პატარა კაფეებისა და სარდაფებისა, რომელთა უკანა ოთახებში ადგილი ჰქონდა აღვირახსნილ ლოთობას და გარყვნილებას.

სამწუხაროდ, ამ კაფეებში ბევრი ჩვენ თანამემამულეთ—ქართველებს ეკუთვნოდა.

მე შევიარე ამ რაიონის მილიციის მე-19 განყოფილებაში იმ მიზნით, რომ გამომერკვია—ეს სარდაფები წარმოადგენენ თუ არა ხულიგნების თავშესაფარს.

ყველა ეს კაფეები უკვე მოსპობილია, —მიპასუხეს მილიციაში.

როგორც გამოირკვა, მილიცია გამუდმებულ ბრძოლას აწარმოებდა ამ კაფეების წინააღმდეგ და ბრძოლაც სრული გამარჯვებით დამთავრდა.

— სად არიან კაფეების მეპატრონეები—ქართველები?

— ზოგიერთები გამსახლებშია, ზოგიერთები კი, რომლებიც გარყვნილების საქმეში არ ღებულობდენ მონაწილეობას (ხოლო ამჟამად ასეთები უმრავლესობაა), ასრულებენ სხვადასხვა ფიზიკურ კეთილსინდისიერ შრომას,—მეტწილად შინამრეწველობითი სამუშაოს.

ვინაიდან ხულიგნობის ზრდამ საზოგადოებრივი უბედურების ხასიათი მიიღო და ის უმთავრესად ზიანს აყენებს მუშურ ახალგაზრდობას. ამიტომ ხელისუფლებამ, პროფკავშირებმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს ხულიგნობას.

ამ საკითხის გარშემო დიდი საგიტაციო - საპროპაგანდო მოხსენება სწარმოებს მოსკოვში. მთელი რიგი პასუხისმგებელი ამხანაგები გამოდიან მოხსენებით ხულიგნობის შესახებ.

ხულიგნობა წარმოადგენს მეფის წყობილების ერთ-ერთ დაწყევლილ ნაშთს. მაშინ ადამიანი იმყოფებოდა მონურ მდგომარეობაში და არ შეეძლო თავისი სიამოვნება ან უკმაყოფილება გამოეხატა უფრო კულტურულ ფორმაში.

მოსკოვის საბჭომ გამოიტანა დადგენილება, რომლის თანახმად, ის პირები, რომლებიც ჩაიდენენ ხულიგნურ მოქმედებას. ადმინისტრატიული წესით დაჯარიმებული იქნებიან 100-მან.-დე ან შეასრულებენ იძულებით სამუშაოს ერთ თვემდე.

ცნობილ ჟურნალისტ ამხ. სოსნოვსკის თაოსნობით წარმოებებში არსდება სპეციალური რაზმები ხულიგანებიდან მუშათა კლუბების დასაცავად. ზოგიერთ წარმოებებში ამ რაზმებმა უკვე დაიწყეს მუშაობა და საკლუბო მუშაკების გადმოცემით წარმატებითაც მოქმედებენ.

არ არის არავითარი ეჭვი იმაში, რომ ხულიგნობის წინააღმდეგ დაწყებული ბრძოლა მალე მოგვცემს სასურველ შედეგებს და არა მარტო მოსკოვში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში.

ლ. შ—ლი.

მოსკოვი 28 სექტემბერი.

პარტიული ცხოვრება

ანტირელიგიური პროპაგანდის შესახებ

საკავშირო კომპარტიის ა. კ. სოლქო და სამაზრო კომიტეტების აგიტ-პროპ. განყოფილებათა გამგეების თათბირზე განხილულ იქნება საკითხი ანტირელიგიური პროპაგანდის შესახებ.

რევოლიუციონურმა მოძრაობამ, რომელმაც ჯერ კიდევ ადრევე მოიკიდა ფეხი საქართველოში, ხელი შეუწყო რელიგიის გავლენის შესუსტებას მშრომელთა მასებში. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, ხომ ანტირელიგიურ ფრონტზე მხურვალე მუშაობა დაიწყო, რასაც მართალია, თან ახლდა ზოგიერთი მნიშვნელოვანი ნაკლი, მაგრამ უნაყოფოთ მაინც არ ჩაუვლია. უნდა აღინიშნოს, რომ სამწუხაროდ ამ უკანასკნელ ხანებში, მას შემდეგ, რაც ანტირელიგიური ბრძოლის მეთოდები შეიცვალა, ამ ფრონტზე მუშაობა სავსებით მიდუნდა და დღეს თითქმის მიყუჩებულია...

ამავე დროს, ანტირელიგიური კამპანია შეუსუსტებელ ყურადღებასა და სისტემატიურ მუშაობას მოითხოვს. ბრძოლა რელიგიის წინააღმდეგ თავის თავად გულისხმობს ბრძოლას იმ ჩამორჩენილ და მავნებელ ადათ-წესების წინააღმდეგაც, რომელთაც ჯერ კიდევ ღრმად აქვთ გადგმული ფესვები ჩვენს სოფლებში. სოფლის ყოფა-ცხოვრების ისეთ უარყოფით მოვლენებს, როგორიც არის ქელეხების მოწყობა, ტირილში სანთლის მიტანა, მილოცვიანი ქორწილების მოწყობა, რელიგიური დღესასწაულის ჩატარება და სხვა, რასაკვირველია ბრძოლა უნდა გამოეცხადოს და ეს ბრძოლა უნდა სწარმოებდეს ანტირელიგიურ კამპანიასთან ერთად.

როგორი მეთოდით უნდა სწარმოებდეს ბრძოლა?

ამ საკითხზე უკვე გადაჭრილი და გარკვეული პასუხი გასცა ჩვენი პარტიის მე-13-ტე ყრილობამ, რომელმაც სთქვა, რომ რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლაში დაუშვებელია ადმინისტრატიული ზომებისათვის მიმართვა.

აქ საჭიროა პოლიტგანმანათლებელი, აღზრდელობითი და საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის გაძლიერება-გაღრმავება.

შემჩნეულია, რომ ძველ ადათ-წესებს სოფლად უფრო შეძლებული ელემენტები, ეგრედწოდებული კულაკი გლეხები მისდევენ. ღარიბი გლეხობა კი იძულებულია „რომ თავი არ შეირცხვინოს“ მიბაძოს მათ და ისედაც ნივთიერად სუსტი მეურნეობა ქელეხებისა და „დღესასწაულის“ გადახდით სავსებით გაანადგუროს. ამიტომ არის, რომ ღარიბებს გლეხთა შორის თანდათანობით ძლიერდება მოძრაობა ამ ადათ-წესების წინააღმდეგ. ასე მაგალითად, გურიის მთელ რიგ სოფლებში საბჭოთა არჩევნების დროს გლეხები ავალებდენ საბჭოს, მიეღო ზომები ადათ-წესების წინააღმდეგ მთელ რიგ სოფლებში გლეხთა საერთო კრებებს გამოჰქონდათ და გამოაქვთ დადგენილებები, რომლებითაც უარს აცხადებენ ძველ ადათ-წესების შესრულებაზე.

საჭიროა გლეხთა შორის არსებულ ამ მიდრეკილების გამოყენება..

სწორედ ამიტომ არის საჭირო „უღმერთო საზოგადოების“ დაარსება. რუსეთში ეს საზოგადოება უკვე კარგა ხანია არსებობს ის და თავის რიგებში 800.000 წევრს აერთიანებს.

— თათბირი, რომელიც ამ დღეებში შეიკრიბება ალბად სათანადო ყურადღებას მიაქცევს ამ საკითხს და კონკრეტიულ ღონისძიებებს გამოიმუშავებს ანტირელიგიური მუშაობის გასაცხოველებლად.

მინდაძე.

სადელეგატო კრებების გადარჩევა

1 ოქტომბერს მთელ საქართველოში დაიწყება მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა სადელეგატო კრებების გადარჩევის ფართო კამპანია.

ფართო მუშურ-გლეხურ მასებში პარტიული მუშაობის იდეოლოგიურ შინაარსის გაუმჯობესებისა და ფორმების განმტკიცების ამოცანა, რომელიც პარტიის წინაშე სდგას, მეტად სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს ამ კამპანიის ჩატარებისადმი.

სადელეგატო კრებები ის პირველი სკოლაა, სადაც მუშა-ქალი და გლეხი-ქალი იღებს პოლიტიკურ ცოდნათა მინიმუმს, ეცნობა პრაქტიკულ მუშაობას საბჭოსა, პროფკავშირისა, კოოპერაციაში და სხ. და ამგვარად ახალი სახელმწიფოს აღმშენებლობის აქტიური და შეგნებული მონაწილე ხდება. სადელეგატო კრებებიც ამზადებენ აქტიურ და შეგნებულ მუშა-ქალებს კომპარტიაში შესასვლელად.

სადელეგატო კრებები თანდათან იპყრობენ ფართო მასების სიმპატიას, რაიც მტკიცდება დელეგატების რაოდენობის გადიდებით ამ წლებში.

თუ 1924—25 წლებში იყო 5.015 დელეგატი, 1925—26 წლებში უკვე იყო 9.679 დელეგატი.

საგრძნობლად უმჯობესდება დელეგატ-ქალების სოციალური შემადგენლობაც.

	1924—25 წ.წ.	1925—26 წ.წ.
მუშა-ქალები	802—16%	955—9,8%
გლეხი-ქალები	2.570—51%	6.289—65%,
მეოჯახე ქალ.	1.107—22%	1.473—15%,
მოსამსახურ.	536—10,9	602—6,2%,
დანარჩენები	0,1%	360—4%,

მათგან:

ქართველები—6.456—66,7, რუსები—802—6,6 სომხები—828—8,3, მუსულმანები—822—8,3, ოსები—341—3,5, დანარჩენები—930—9,6.

მიუხედავათ დიდ მიღწევათა სადელეგატო კრებების მუშაობის დარგში, აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას წარსულში მოწვეულ კრებათა ყველა უარყოფითი მომენტები და დასახულ იქნას გზები მათ აღმოსაფხვრელად. მომავალში საჭირო შემდეგი ზომების მიღება:

1. გაძლიერებულ იქნას პარტხელმძღვანელობა.
2. გაუმჯობესებულ იქნას დელეგატ-ქალთა სოციალური შემადგენლობა.
3. მოგვარებულ იქნას სისტემატიურად ანგარიშის ჩაბარება დელეგატ-ქალებისა თავიანთ ამრჩეველთა წინაშე.
4. მოგვარებულ (გაუმჯობესებულ) იქნას დელეგატ - ქალებისა და საზოგადოებრივ ასპარეზზე მომუშავე ქალთა კავშირი.
5. მოგვარებულ იქნას დელეგატ - ქალების ჩაბმა პრაქტიკულ მუშაობაში.
6. წერა-კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაცია დელეგატ - ქალებს შორის.
7. სამაზრო კომიტეტის ქალთა განყოფილების გამგენი სამაზრო კომიტეტთან და საგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილებასთან ერთად, წინასწარ ითვალისწინებენ სადელეგატო კრებების პუნქტებს იმ ანგარიშით, რომ თავის დროზე იქნას უზრუნველყოფილი დასახული პუნქტები პარტიული და კულტურული ძალებით.
8. სადელეგატო კრებების მეცადინეობის საქმის სწორ ნიადაგზე დაყენებისათვის აუცილებელია აგიტპროპებმა ადგილობრივ გამოჰყონ საუკეთესო და მუდმივი პროპაგანდისტები სადელეგატო კრებების საპროგრამო ნაწილის შესრულებისათვის.

სადელეგატო კრებების მუშაობის სულ უფრო და უფრო ფართედ და უკეთესად გაშლა და განმტკიცება შესაძლოა მხოლოდ საერთო ძალღონით კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

ვ. ჯაფარიძე.

ახალი საზოგადოებრიობისათვის

თანამედროვე გარდამავალ პერიოდში არც ერთი მოვლენა ისე ზანტად არ ეგუება პოლიტიკურ წყობილებას, როგორც ყოფა-ცხოვრება. ეს გარემოება სრულიად ბუნებრივია, რადგან ყოფა-ცხოვრება თავისთავად ნაყოფია საზოგადოების ისტორიული განვითარების, მასში დალექილია ხალხის ნაფიქრ-ნაგრძნობი საუკუნეთა განმავლობაში. ამიტომ ყოფა-ცხოვრების მოვლენები იმდენად შესისხორცებულია თვითეულ ჩვენთაგანში, რომ ხშირად გრძნობ მის თანამედროვე პირობებში გაუმართლებლობას, მაგრამ ძნელია მისგან განთავისუფლება. ყოფა-ცხოვრება ერთგვარი კონსერვატორული ბუნებისაა და ახალ ახალ საზოგადოებრიობას მხოლოდ ხანგრძლივი ბრძოლით შეუძლია ჩვენს ცხოვრებაში დარჩენილი ძველი ტრადიციების აღმოფხვრა.

თუ ჩვენ პოლიტიკურ სფეროში წინ გავასწარით ევროპის პროლეტარიატს, თუ ჩვენ უკვე მოვიპოვეთ სრული პოლიტიკური თავისუფლება და ჩვენს ქვეყანაში ქვეყნის მართველი შეიქნა მუშა და გლეხი, რაც ევროპაში ჯერ კიდევ მიუღწეველია, სამაგიეროდ ჩვენ შედარებით ძლიერ დაბალ დონეზე ვდგევართ კულტურის მხრივ. ამის გამო, ჩვენ დიდი მუშაობა გვმართებს ამ ფრონტზე, რომ ძველი ყოფა-ცხოვრების ნანგრევებზე განახლებული ყოფა-ცხოვრება დავამკვიდროთ.

თანამედროვე გარდამავალ პერიოდში არა მარტო ახალი მეურნეობა უნდა წარმოიშვას, არამედ უნდა შეიქმნას ახალი კულტურა ახალი საზოგადოებრიობის შესაფერი. სოციალური რევოლიუციის პროცესში უნდა დაირღვეს არა მარტო ძველი სახელმწიფო—ძველი პოლიტიკური-ეკონომიური შინაარსით, არამედ მასთან ერთად უნდა გარდაიქმნას ძველი ოჯახი, ძველი ზნე-ჩვეულებები და ძველი ყოფა-ცხოვრება.

ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება დიდ ისტორიული პროცესის ღრმა ქარტეხილს განიცდის. ჩვენს სინამდვილეში დღეს ორი საზოგადოების წარმომდგენელი ებრძვიან ერთი მეორეს. ერთის მხრივ ძველი საზოგადოება, რომელშიაც გამაგრებულია წარსული ცხოვრების ნაშთები, ხოლო მეორე მხრივ მას ებრძვის ახალი შინაარსის მქონე. ჯერ არც ერთი არაა დამარცხებული ისე, როგორც არც ერთი არაა გამარჯვებული ამ ორ საზოგადოებაში. პირველის არსებობას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ მისი თვისებებით დასნეულებულია არა მარტო ბურჟუაზიული მასა და ინტელიგენცია, არამედ მისგან ჯერ კიდევ თავი ვერ დაუხწევია ახალი საზოგადოებრიობის აქტიურ მუშაკსაც კი. ეს აძლევს საშუალებას ძველ ყოფა-ცხოვრების ნაშთებს, ჯერ კიდევ იარსებონ ჩვენს ახალ პოლიტიკურ სხეულზე, როგორც ხორცმეტმა. ახალი საზოგადოება ნელ-ნელა იკაფავს გზას და თუმცა, იგი ჯერ კიდევ სუსტია, მაგრამ ყოველ ახალ დღეს მისი გაძლიერების და ძველი საზოგადოების დასუსტება მოაქვს.

სოციალისტურ რევოლიუციის გარდაქმნის პროცესში ჩვენი ყურადღება მიქცეული უნდა იყოს არა მარტო ახალი მატერიალური კულტურის შექმნისაკენ, არამედ დიდი ყურადღებით უნდა ვეპყრობოდეთ ახალი სულიერი კულტურის შექმნასაც.

ი.—ე.

ხელმძღვანელობა არ იყო

ჰოპორტი, დუშ. მაზ.)

ამ რამოდენიმე დღის წინად ჰოპორტის თემორგანიზაციაში მოხდა უჯრედების პას. მგ. მდივნების ხელახალი არჩევნები. უნდა აღინიშნოს, რომ თემში სულ ორი უჯრედი და ერთი საკანდიდატო უჯრედია, რომელშიაც თხუთმეტამდე წევრი და კანდიდატი ირიცხება. მოსახლეობის რიცხვი თემში 1.200-დე აღის. ასეთ პირობებში უჯრედებს განსაკუთრებით ფხიზლათ უნდა ემუშავნათ, რათა გავლენა მოეპოვებიათ უპარტიოთა მრავალრიცხოვან მასაზე. სამწუხაროდ მდივნების გადარჩევის დროს გამოაშკარავდა, რომ უჯრედების მუშაობა მეტის მეტად სუსტი იყო, ასე მაგალითად, კრებები არ ხდებოდა სისტემატიურად, უპარტიოებს შორის მუშაობა არ სწარმოებდა, უჯრედებში არავითარი გეგმა არ არსებობდა მუშაობისათვის და სხ.

ყველაფერი ეს რასაკვირველია, თემკომის ნისუსტესაც მიეწერება. ვინაიდან ეს უკანასკნელი სათანადო ხელმძღვანელობას ვერ უწევდა უჯრედს.

ახლად არჩეულ მდივნებს მიეცათ სათანადო დირექტივები, ეს დირექტივები მათ მომავალში უსათუოდ უნდა გაატარონ ცხოვრებაში.

ვ. თ.

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

ტელეფონების შესახებ

ტელეფონი უთუოდ კარგი მოგონებაა. სად ფეხით სიარული, ენერგიის ხარჯვა, ფეხსაცმელებისცვეთა და დროის დაკარგვა სად. ტელეფონით გაწოლაპარაკება შედარებაც შეუძლებელია.

მაგრამ ასეთი უპირატესობა ნებას არ უნდა აძლევდეს ზოგიერთებს, რომ ბოროტად გამოიყენონ ტელეფონებით სარგებლობის უფლება. ამ მხრივ კი ბევრ გაუგებრობას და არევ-დარევას აქვს ადგილი. ამ მდგომარეობას კიდევ შეურიგდებოდა კაცი, რომ ეს ზედმეტ ტვირთად არ აწვებოდეს სახელმწიფოს სალაროს. ამიტომ გასაგებია, რომ რუსეთის ფედერაციის სახკომსაბჭოს განკარგულება, რომელიც შეეხება მომჭირნეობის რეჟიმის გატარებას, ტელეფონების შესახებ გარკვევით ლაპარაკობს: „მაქსიმალურად შემცირდეს დაწესებულებაწარმოებების ხარჯზე მყოფი ტელეფონების რიცხვი“.

ხშირია შემთხვევა როცა ტელეფონები გაჰყავთ ისეთი თანამშრომლების ბინაზე, რომელნიც ჩვეულებრივ სამუშაო საათების შემდეგ, სრულიადაც საჭირონი არ არიან დაწესებულებისა თუ წარმოებისათვის. ასეთ შემთხვევებში ტელეფონებს გააქვს წკარუნი კერძო საქმეებზე. დაწესებულება კი მოვალეა ყოველთვიურად განსაზღვრული თანხა შეიტანოს ამ ტელეფონით სარგებლობისათვის. გარდა ამისა, რომ ეს საზიანოა სახელმწიფოსათვის, ასეთი მდგომარეობა ართულებს ტელეფონის ქსელის მუშაობასაც.

ჩვენ არაერთი ისეთი მაგალითებიც ვიცით, როცა ტელეფონით მოსარგებლე თანამშრომელი ანებებს თავს იმ დაწესებულებაში მუშაობას, საიდანაც მას აპარატი მოუწყვეს, მაგრამ მაინც განაგრძობს ტელეფონით უფასოთ სარგებლობას სხვადასხვა კომბინაციების საშუალებით. რა გაეწყობა, მოგეხსენებათ, კარგი რამეა ტელეფონი და ასე ადვილათ მას ვერ ეთხოვებიან.

საჭიროა კიდევ ერთი გარემოების აღნიშვნა. ხშირია ისეთი დაწესებულებები, სადაც, რამდენიც ოთახია, იმდენი ტელეფონი დგას. ზოგჯერ ერთ ოთახშიაც კი რამდენიმე აპარატია. თუმცა იმისა, რომ ეს ყოველთვის აუცილებელია საქმის ინტერესის თვალსაზრისით, რასაკვირველია არ შეიძლება. ზედმეტ ტელეფონების შემცირება საქმეს არაფერს ავნებს. ოღონდ ეს კი იქნება, რომ ასეთ შემთხვევაში ჩვენს მოხელეებს მოუხდებათ მეტი ათი-ოცი ნაბიჯის გადადგმა და მეტი თავის შეწუხება.

საჭიროა ამიტომ გადამჭრელი ზომები იქნას მიღებული დაწესებულება-წარმოებისათვის უსარგებლო და სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციის ხარჯზე მყოფ ტელეფონების შესამცირებლად. ამით ჩვენ მოვიგებთ ფინანსიურადაც და პრაქტიკულადაც. რაც ნაკლებათ იქნება დატვირთული ტელეფონის ქსელი, მით უფრო ნორმალურად იმუშავებს იგი.

მილი.

შაბათის მატარებელი

ყოველ შაბათობით, დღის 2 საათის შემდეგ, თბილისიდან სადგ. გორამდე გადის მუშათა მატარებელი, რომელსაც მიჰყავს რკინისგზის მუშა-მოსამსახურეები. ამ მატარებელს თითქოს არ ყავს პატრონი: ვისაც მოესურვება. ის მიბრძანდება, ნამეტნავად გათამამდენ პატარა ვაჭრუკანები. ვაგონები ისე ივსება ხალხით, რომ კონდუქტორი ბილეთების გასინჯვას ვერ ახერხებს.

კვირა საღამოს, გორიდან დაბრუნებისას, ისეთივე სურათი გვაქვს. ვაგონების სახურავებზეც კი ზის ხალხი. ყველა უბილეთოა, რომელთაც რკინისგზასთან საერთო არაფერი აქვთ.

აქ საკვირველი ერთი გარემოებაა, თუ გამოცდილი კონდუქტორი შიგ ვაგონებში უსინჯავს ბილეთებს, ან პირადობის მოწმობებს, ნუ თუ იგი ამას მაინც ვერ ხედავს, რომ მის თვალწინ ცხვრის ფარასავით თავჩაღუნული უბილეთოები მიიწევენ წინ და ზედ გადადიან, რომ თავი სადმე შეაფარონ.

სად არის სადგურების უფროსები, ან და დეტეჩკას აგენტები? ასეთი მგზავრობა ანადგურებს ვაგონებს . მასთან მატარებლისათვის იხარჯება სათბობი მასალა—ნავთი, მაზუთი, ხალხი კი უბილეთოთ და უსასყიდლოდ დაიპარება.

მიხა.

ორმაგი და უგეგმო მუშაობა

ამიერ-კავკასიის სამივე რესპუბლიკებიდან უამრავი ბარგი იგზავნება პირდაპირ დანიშნულებით საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებში.

თბილისიდან ბაქომდე ორნაირი სახის ბარგის მიღება სწარმოებს ყველა სადგურებში: ერთი ადგილობრივი მიმოსვლის, მეორე კი პირდაპირი დანიშნულების. ამავე დროს მატარებლებიც იმავე მიმართულებით დაიარებიან.

ბარგი პირდაპირი დანიშნულებისა უნდა იგზავნებოდეს საფოსტო მატარებლით, რომელიც პირდაპირ რუსეთში მიდის, ადგილობრივი დანიშნულების ბარგი კი სხვა დანარჩენი მატარებლებით, რაც რკინის გზას მეტ სარგებლობას მისცემს და მას საგრძნობი მოგებაც კი დარჩება

სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ასე არ ხდება. მეტი წილი პირდაპირი დანიშნულების ბარგისა იგზავნება ადგილობრივი დანიშნულების მატარებლებით. ეს ბარგი ბაქომ უნდა გადმოტვირთოს თავის საწყობებში და შემდეგში გაგზავნოს საფოსტო მატარებლით იმ დროს, როდესაც გამგზავნ სადგურს შეეძლო იმავე მატარებლით გაეგზავნა იგი დანიშნულებისამებრ.

რა თქმა უნდა, ასეთი ორმაგი და უგეგმო მუშაობა მოითხოვს ზედმეტ მუშა-ხელს, ზედმეტ ხარჯებს და ბარგის დაგვიანებასაც, რადგანაც პირდაპირი დანიშნულების მატარებელზე იტვირთება ადგილობრივი დანიშნულების ბარგი და ადგილობრივი მატარებელზე კი პირდაპირი დანიშნულების.

საჭიროა ამ მდგომარეობას მიექცეს სათანადო ყურადღება, რათა ბარგის აქეთ-იქით უნაყოფო წაღებ-წამოღებას აღარ ექნეს ადგილი და ზედმეტად გაწეულ ხარჯებსაც ბოლო მოეღოს.

მუშკორი ი—ნი.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ამინდი

ქუთაისი, 29 სექტემბერი. ხანგრძლივი ცივი და წვიმიანი დღეების შემდეგ დადგა თბილი და მზიანი ამინდი.

სამი ბანდიტის საქმე

ფოთი, 29 სექტემბერი. დასავლეთ-საქართველოს საოლქო სასამართლოს სესიამ გაარჩია სამი ბანდიტის, პაჭკორიას, კირთავას და ბაბილუას საქმე, რომლებმაც გაძარცვეს 20 გლეხი ყულევის და ნაბადას სოფლებს შორის გზატკეცილზე, ფოთიდან 8 ვერსის მოშორებით. ძარცვა შემჩნეული იქნა გზაზე მიმავალ ფოთის პოლიტ-ბიუროს უფროსის ტატუზოვის მიერ, რომელიც დაედევნა ბანდიტებს და სამივე შეიპყრო, თვითონ მსუბუქათ დაიჭრა. პაჭკორიას და კირთავას, როგორც გამოუსწორებელ ბანდიტებს სასამართლომ მიუსაჯა უმაღლესი სასჯელი, ხოლო ბაბილუას როგორც გამოსწორების იმედის მომცემს და ამ დანაშაულში ნაკლებ აქტიურ მონაწილეობის მიმღებს ორი წლით თავისუფლების აღკვეთა. გასამართლებულებს ნება მიეცათ სამი დღის განმავლობაში აღძრან საკასაციო საჩივარი.

ფოთის ნავთსადგურში

ფოთი, 29 სექტემბერი. ინგლისში წავიდა გემი „ფულგანი", რომელმაც წაიღო 2100 ტონა ბამბის თესლეული.

აფხაზეთი

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

სოხუმი, 29 სექტემბერი. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კონტინგენტი აფხაზეთში გამოიხატება 193,144 მანეთში, რომელიც წარსული წლისაზე 58,6%-ით მეტია. დასაბეგრ მეურნეობათა შემოსავალი 3,145,919 მანეთს უდრის, რომელიც ყველა მეურნეობათა შემოსავლის სართო ჯამის 88,4%-ია.

ტელეფონიზაცია

სოხუმი, 29 სექტემბერი. სოხუმის სატოსტო კანტორამ დაამთავრა ტელეფონის ქსელის მიღება. საქალაქთაშორისო და სოხუმის ქსელის მოსაწყობათ და შესაკეთებლათ და აგრეთვე სასოფლო საბჭოებისთვის ტელეფონის ხაზის გასაყვანათ შედგენილია ხარჯთ-აღრიცხვა 474,000 მან. რაოდენობით.

წერკუმსი

სოხუმი, 29 სექტემბერი. აფხაზეთის პოლიტ-განათლების მთავარი სამმართველო ამ წელში ხსნის 130 სალიკვიდაციო პუნქტებს ამათში 40 აფხაზურია, 47 ქართული, 19 რუსული, 17 სომხური და 7 ბერძნული. აგრეთვე მცირე ცოდნის მქონეთათვის იხსნება 59 სკოლა — 14 აფხაზური, 26 ქართული, 8 რუსული, 10 სომხური და ბერძნული.

წერილები

რა უწყობს ხელს მევახშეობას

(წერილი გურიიდან)

მევახშეობა ერთი უსაშინელესი მტერი იყო და არის სოფლის მოსახლეობისათვის. პირისპირ სარგებელის აღება, თუმანზე თუმანის მოგება სრულიად ბუნებრივი მოვლენაა მევახშისათვის. სოფლის ამ ნამდვილ ობობების ქსელში უმთავრესად მუდამ ღარიბი და უმიწაწყლო გლეხკაცობა ებმებოდა.

ამ სენის წინააღმდეგ საბრძოლველად ჩვენ გვაქვს სასოფლო-სამ. საკრედიტო ამხანაგობები. მაგრამ ჯერ ერთი ეს ამხანაგობები ყველგან ვერ სწვდებიან და მეორეც, თუ სადმე არიან, ხშირად იქაც ვერ აკმაყოფილებენ სოფლის მოსახლეობის მოთხოვნილებას. ამ ნიადაგზე მევახშეობას დღესაც საკმაოთ ფართე გასაქანი ეძლევა.

განსაკუთრებით გაძლიერდა მევახშეობა იმ კუთხეებში, რომლებიც საზღვარს ემხრობიან და რომლებშიაც გავრცელებულია კონტრაბანდა. ამ მხრივ მევახშეობის როლი რამდენადმე შეიცვალა. მევახშის კრედიტით კონტრაბანდის რაიონებში სარგებლობს არა იმდენად გაჭირვებული, ღარიბი მოსახლეობა, რამდენადაც ბედის მაძებარი, ავანტიურისტი და უსაქმოდ მოყიალე ელემენტები.

ისინი მევახშეს ერთი სამათ უბრუნებენ ვალს, ოღონდ ფული იშოვონ, თანხა კონტრაბანდაში დაატრიალონ და ამით ხელი მოითბონ. ამ მხრივ, მაგალითად, გურიის ზოგიერთ სოფლებში პირდაპირ წარმოუდგენელი სპეკულიაციაა. ერთი ან ორი კვირის განმავლობაში, მევახშეს შეუძლია არხეინად იჯდეს სახლში და თავისი თანხა სამჯერ გაადიდოს.

რასაკვირველია, ასეთ პირობებში გლეხს, თუნდაც ის მევახშე არ იყოს, გაუჭირდება თავის ყოველდღიურ საჭიროებას გადარჩენილ გროშების საკრედიტო ამხანაგობაში შეტანა. ის არჩევს ფულის კერძოთ გასესხებას. ამნაირად მოწინავე და კეთილ-სინდისიერ გლეხკაცობისათვის პირდაპირ გამოუვალი მდგომარეობა იქმნება. მევახშეები და კონტრაბანდისტები ერთმანეთთან პირშეკრული არიან და თავიანთებურათ აჭახრაკებენ საქმეს.

მაგალითისათვის დავასახელებთ ერთ ასეთ შეხმატკბილებულ კამპანიას საჭამია-სერიდან. ესენი არიან: თედორე ნადირაძე, აკ. ცხვარაძე და დათიკო ხუნდაძე. ყველა ამ ვაჟბატონებს ჰყავს იორღა ცხენები და დათარეშობენ აქეთ-იქით, განუწყვეტლივ. რამდენი ოჯახი გააუბედურა ამ ყმაწვილებმა. აიყოლიეს ღარიბი გლეხი გიორგაძე, რომელიც მოკლულ იქნა მილიციასთან შეტაკების დროს. შეიპყრეს კონტრაბანდით ხელში ამ გმირების გადამკიდე გლეხი ილიკო დოლიძე, რომელიც სამი წლით გადასახლეს. კარგი ბიჭია და ვინმე ხმას ამოიღებს ამ სამეული ცხენოსნების წინააღმდეგ. მათ კარგათ იციან, როგორ უნდა გაუსწორდენ ასეთებს.

ამგვარი მდგომარეობის მოთმინება ყოვლად შეუძლებელია. მევახშეობა, კონტრაბანდისტობა, გაიძვერობა და სხვა უზნეობა, ძმა-ბიჭობით ერთმანეთზე ხელი-ხელ გადაკიდებული დათარეშობენ ჩვენ სოფლებში. ადგილობრივ ხელისუფლებამ მეტი ფხა და სისასტიკე უნდა გამოიჩინოს ამ სენთან ბრძოლაში.

ს—სერელი.

სანამდის გასტანს ეს მდგომარეობა

(სოფ. ბაზალეთი, დუშ. მ.)

ს. ბაზალეთი ვის არ გაუგონია. მას ჯერ კიდევ ი. ჭავჭავაძემ გაუთქვა სახელი. ალბათ ყველამ იცის ლექსი, რომელიც ასეთი სიტყვებით იწყება: „ბაზალეთისა ტბის ძირას ოქროს აკვანი არისო"...

სწორედ ეს სოფელი გახლავთ, რომელზედაც აღებული აქვს შეფობა ერთ ჩვენ თვალსაჩინო დაწესებულებას — „ზაკავტორომტორგს". ბაზალეთი დღეს სიბნელით დაყრუებულია. კოოპერატივი ხომ საოცნებო საგნად გადაქცეულა აქ.

პაწია ქოხ-სამკითხველო სხვადასხვა ძველი რეკლამებით და კედელზედ ჩამოკიდულ გაზეთებით. წააგავს უფრო არა სამკითხველოს, არამედ სამწყემსო ფაცხას.

ვინ კითხულობს ამ გაზეთებს, ვეკითხები ვამგეს, რომელმაც ჩვენი ჩასვლა გაიგო თუ არა დაფაცურებულიყო და ხვეტით ისეთი ბუღი დაეყენებია შიგ, რომ მტვერისაგან ძლივას ვსუნთქავდით.

— არავინ. იყო პასუხი. მაშ რათ გამოგიწერიათ?

ჩვენმა შეფმა დაგვდო პატივი.

რაიმე წრეები არსებობს?

— არა.

სკოლა გაქვთ?

ეჰ, არის მაგრამ...

არა, შვილო. აქ საზეირო არა არის რა. ჩაერია ლაპარაკში ერთი მოხუცი.

როგორ? სასწავლო ნივთების ნაკლებობას ხომ არ განიცდით?

რვეულები და წიგნები კი გვაქვს, მაგრამ ჩვენი მასწავლებლები, აქ უფრო არ შიყობის, მასწავლებლად ჩამოსულან. თორემ კარგის გაკეთება მათვან, ხომ არ შეიძლება.

იქნებ კავშირს არ იჭერთ მათთან?

ბარემ ათასი ვემუდარეთ, მაგრამა არაფერს არ აკეთებენ. მუშაობა სახალხო საქმისათვის ისე ეჯავრებათ, როგორც პირი.

თქვენი გლეხკომი სად არის, შეეკითხა ჩემი ამხანაგი. რომელიც გაკვირვებული უყურებდა. რადგან 2 საათს უკვე გაევლო რაც იქ ჩასულნი ვიყავით და არც ვლეხკომი სჩანდა, არც კომუჯრედის მდივანი და არც ა. ლ. კ. კ. უჯრედის მდივანი.

სად არიან?—ქალაქში (დუშეთში). მაშ დღეს არ მოვლენ?

— ვინ იცის. იყო პასუხი.

ტრაქტორის ნახვას გლეხები ბალღებივით შეჰპარიან: „გაგვიყიდებითო, იმას რომ ვინმე შეგვაძენიებდესო", ასე ნატვრით შემოგვჩივლეს გლეხებმა. თურმე მთელი გასაჭირი იმაში ყოფილა, რომ თავის გამომდები კაცი არ გამოჩენილა და დღესაც სურვილი სურვილადვე რჩება.

„შვილო, შენ გაზარებასა, იი, კიარა და ჩვენი საქსოვი ქარხანა, დატაცებულია და ყური გდება არ უნდა ჩვენ ამორჩეულებსა"-ო, კამათობდა მოხუცებული ქალი.

ქარხანა, ვილაცებს დაუტაცნია და გლეხკომი-კი მისცემია სიღათის ძილს. შეძენილიც დაკარგულა და გამქრალა, ისე როგორც გამქრალი ოდესღაც არსებული კოოპერატიული დუქანი.

სანამდი გასტანს ბაზალეთში ასეთი მდგომარეობა?

თათარხანი.

უსაფუძვლო ბრალდება

(ს. ჯგალი, ზუგდ. მ.)

გაზეთ „კომუნისტი"-ს 14 სექტემბრის ნომერში მოთავსებული იყო კორესპონდენცია ს. ჯგალიდან (ზუგდ. მ.), რომელსაც ხელს აწერს „ლუგელა". წერილში წამოყენებული ბრალდებები, რომელიც შეეხება მე, ჯგალის შვიდწლედის მასწავლებელ კ. კვარაცხელიას, ს. მუხურის ექიმის თანაშემწე სოხაძეს და სხვ., თავიდან ბოლომდე შეთხზული ამბავია. უნდა მოგახსენოთ, რომ არც მე არც ექ. თან. სოხაძეს არ დაგვიმსახურებია იმგვარი უმზგავსო ბრალდება, რომელზედაც მოგვითხრობს კორესპონდენტი „ლუგელა".

ჩვენს ვინაობას, კეთილსინდისიერებას და საზოგადოებრივ მუშაობაში აქტივობას დაადასტურებენ ყველა ადგილობრივ მოწინავე ამხანაგები. ჯგალის 7 წლედის მასწავლებელი **კოსტა კვარაცხელია.**

ჩვენ მიერ დამატებითი მიღებულ სარწმუნო ცნობების თანახმად „ლუგელას" კორესპონდენცია არ შეეფერება სინამდვილეს. რედაქცია ზომებს მიიღებს ცრუკორესპონდენტის წინააღმდეგ.

სოფლის ქრონიკა

— **ბაღის აღდგენა.** დუშეთის სამაზრო აღმასკომმა გადასწყვიტა შეუდგეს აბანო-ხევის ბაღის აღდგენას.

— **ტყის გაშენება.** ყაზბეგ-კობის თემებში წელს დაითესა 5 ნახ. დესეტინა ნაძვის და სოჭის თესლი.

მუშათა ცხოვრებიდან

შრომა საკუთარი ელექტრო-ენერგიით

რამოდენიმე დღის წინეთ კოოლოფების ქარხანა „იატერნაციონალში" ამუშავდა (უნდერფის) ელექტრო ქვე-სადგური.

ქვე-სადგური დადგმულია ქარხნის პირველ ....ში. ეს პატარა სადგური თავისი სრული მოწყობილობით და სისუფთავით, მართლაც, ადამიანის ყურადღებას იპყრობს.

წინეთ თუ ქარხანაში მანქანების მოძრაობა დამოკიდებული იყო გარედან შემოსული ელექტრო-ენერგიით, ეხლა კი მანქანები მოძრაობენ თვით ქარხნის საკუთარი ძალით.

ჩემ შეკითხვაზე ეს ელექტრო ქვე-სადგური, საჭირო იქნება თუ არა. როდესაც „ზაჰესი" გამოუშვებს თავის ძალას. ადმინისტრაციამ მიპასუხა:—„მით უფრო საჭიროა და სასარგებლოც იქნება ქარხნისათვის ელექტრო-ქვე სადგური მაშინ, როდესაც „ზაჰესი" გამოუშვებს თავის ძალას, რადგანაც ეს ძალა უშუალოდ გაივლის ამ ქვე-სადგურში, საიდანაც უკვე, მოტორების საშუალებით ამოძრავდებიან მანქანები. ქვე-სადგურის მოწყობით, მოტორებს გადაკეთება აღარ დასჭირდებათ. მხოლოდ თუ კი ასეთი არ იქნებოდა „ზაჰესი"-ს ამუშავებამდის, მოტორები მთლიანად უნდა გადაკეთებულიყო, რაც უფრო დიდ ხარჯებს გამოიწვევდაო".

აშკარაა, რომ ეს პატარა ელექტრო-ქვე სადგური დიდ ეკონომიას მისცემს ქარხანას და ხარჯებსაც შეუმცირებს; რაც დადებითად იმოქმედებს მუშის შრომის ხელფასზედ.

ამ ელექტრო-ქვე სადგურის დადგმაში და მოწყობილობაში დიდი შრომა მიუძღვის, ამავე ქარხნის ზეინკალ-მანტიორს ამხ. ოგანეს მარკაროვს. მუშური მადლობა მას.

მუშკორი ვანო.

ცემის სანატორიუმში

ცემის სანატორიუმი 26 წლის სეზონში გაიხსნა 15 ივნისს და დაიხურა 15 სექტემბერს. ამ ხნის განმავლობაში სანატორიუმში მკურნალობდა ორი წყება ავადმყოფებისა. პირველი წყება მოვიდა 15 ივნისს და დარჩა ივლისის თვის ბოლომდე. მეორე წყება კი აგვისტოს პირველ რიცხვიდან სექტემბრის 15-მდე. ავადმყოფები იგზავნებოდა შემდეგ დამზღვევ სალაროებიდან: პირველ რიგში თბილისიდან — 25 კაცი, ხაშურიდან — 5, სამტრედიიდან და ბათომიდან — 7. ლენინაკანიდან—7, განჯიდან—7 და ბაქოდან—17. სულ 68 კაცი; მე-2 რიგში-კი ამავე დამზღვევ სალაროებიდან სულ—გაიგზავნა—63; ორთავე რიგში ერთად 131 ავადმყოფი. ამთში 10 ქალი იყო, და 121 მამაკაცი. ეროვნებისდა მიხედვით: ქართველი—51, რუსი—41, სომეხი—16, მუსულმანი—18, ოსი—1, ბერძენი—1, ებრაელი—1, პოლონელი—1 და ინდოსი—1. ფიზიკური მომუშავე—116 და არა ფიზიკური—15. მოსამსახურე და მუშა—127, ოჯახის წევრები—4.

ავადმყოფები ნაწილდებიან ასე: ჭლექის—1-ლ სტადიით—86, მეორე—18 და მესამე—13 კაცი. ამას გარდა პლევრიტით—8, ასტმით—2, ჯირკვლებით—3, და ძვლების ჭლექით—1.

131 ავადმყოფმა 3 თვეში გაატარა სულ 4.873 დღე. საშუალოდ ერთ ავადმყოფს გაუტარებია—37 დღე. (ზოგიერთი ავადმყოფი ვერ იცდიდა 1½ თვეს და ადრე ეწერებოდა.

ავადმყოფებში წონით უდიდესი მომატება უდრის 25 გირ. საერთო მომატება-კი 1184 გირვანქას. აქედან საშუალო გამოდის 9 გირ. და 3 მისხალი. ასეთია შედეგები ცემის სანატორიუმში მკურნალობისა.

მუშკორი კოტე ნელი.

სადურგლო საამქროში

მთავარ სახელოსნოს სადურგლო საამქროში გაჩაღებულმა მუშაობამ ნაკლულოვანებაც აღმოაჩინა. იქ თავითვე შემჩნეული იყო დგამების სიმცირე. ხშირად ხელოსნები რიგში იდგენ, მასალის დასახერხად ან გასარანდად. ერთი მეორის დაჩქარებით მუშაობას უბედურება მოსდევდა. ვინ თითს მოიჭრიდა და ვის ხერხიდან გამოვარდნილი ნაჭერი მოხვდებოდა. ამას ჯამაგი ვ. ახობაძეც ხედავდა და ცდილობდა კითხვაც, რომ ორი სარანდავი დგამიც მოეტანა. სხვებიც გაამართვინა და ერთხანს იოლად ვმუშაობდით.

1 აგვისტოს, „ბრიგადების" ჯგუფებად დაყოფით მუშაობა უფრო გაცხოველდა. დგამების სიმცირემ კვლავ იჩინა თავი. „ბრიგადაში" მუშაობით მუშები ერთი-მეორეს ხელს უწყობდენ. ახლა კი ყველა თავისთვის ცდილობს. ეხლა დგამებთან რიგს გარდა ჩხუბსაც აქვს ადგილი და აურ-ზაურსაც.

ამჟამად შემოიღეს წყებათ მუშაობა. დილით მომუშავე სადამოთაც მუშაობს და მეორე ლოდინს ელოდება.

რა ჰქნას დურგალმა. მან დილით ვერ დაამუშავა მასალა; მაგრამ საღამოს მუშაობასაც სამწუხარო შედეგები მოსდევს. აი მაგალითიც: დილით მომუშავე მოხუცებულმა დ. დოგაძემ საღამოსაც განაგრძო მუშაობა. დაქანცულმა მუშას, დგამის გაჩერების დროს ფეხი გაუსხლტა და სამი თითი მოიჭრა. ასეთი სხვაც ბევრი ხდება. ყველა ეს დგამების სიმცირის ბრალია.

ახობაძე გვპირდება და ცდილობს კიდევაც მუშაობის გაადვილებას; მაგრამ დგამების მოტანა მაინც გვიანდება.

ფ. მესხიძე.

რად არ გვაქცევენ ყურადღებას

მიუხედავად ჩვენი მრავალი თხოვნისა ა.-კ. ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველო არ გვიგზავნის კარავს. სამხრეთ ოსეთში ტელეფონიზაციაზე მომუშავე მუშები იმყოფებიან ღია ცის ქვეშ. აღძრულმა საჩივარმა კავშირის საშუალებით უშედეგოდ ჩაიარა. ამასობაში კი მუშები ავად ხდებიან. სიცივეებისა და წვიმებისა გამო ისინი იმყოფებიან აუტანელ მდგომარეობაში.

ვეკითხებით ფ.-ტ. სამმართველოს, რა დავაშავეთ ჩვენ? ვისი ასეთი გულგრილობა მუშებისადმი დასაშვებია?

რწმუნებული ჩილაჩავა.

ალმასკომის თანამშრომლებში

ამ დღეებში შესდგა ალმასკომის თანამშრომელთა საერთო კრება. კრებას დაესწრო 138 კაცი. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები:

1. წერკუმსის უჯრედის მუშაობის ანგარიში.
2. წერკუმსის ბიუროს წევრების გადარჩევა.
3. მოხსენება უდიდესი გადაფრენის შესახებ.
4. მიმდინარე საკითხები.

წერკუმსის უჯრედის მუშაობის შესახებ მომხსენებლად გამოვიდა ამავე უჯრედის მდივანი ამხ. ე. ჯანდიერი. მან დაახასიათა უჯრედის მუშაობა განვლილ პერიოდში, აღნიშნა ნაკლოვანებანი და ის მიზეზები, რომელიც ხელს უშლიდა უჯრედს მუშაობაში, რაიც გამოწვეული იყო უმთავრესად ბიუროში შემავალ ამხანაგების დატვირთვით და ზოგიერთი ამხანაგების მექანიკურად გამოსვლით ბიუროს წევრობიდან სხვა დაწესებულებში მათი გადაყვანის გამო.

მომხსენებელმა აღნიშნა ის მხარეები, რის გაკეთებაც ამ უჯრედმა შესძლო და შემდეგ ითხოვა ბიუროს წევრების გადარჩევა.

ამ საკითხის ირგვლივ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ამხ. ალ. ბაიდაშვილმა, კ. მიქაბერიძემ და სხ., რომლებმაც აღნიშნეს წერკუმსის უჯრედის მუშაობის ზოგიერთი სუსტი მხარენი და გამოსთქვეს სურვილი, რათა ბიუროს ახალ წევრებს სავსებით გაეტარებინათ ცხოვრებაში ის პრინციპები, რომელიც დასახული აქვს წერკუმს.

კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: „უჯრედში არსებულ პირობების მიხედვით წერკუმსის ბიუროს მუშაობა ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად, და დაევალოს ბიუროს ახალ წევრებს აწარმოონ მომავალში მუშაობა მეტის ენერგიით"-ო.

შემდეგ მოხდა არჩევნები.

ბიუროს წევრებად არჩეულ იქნენ ამხ. ამხ.: **იტრიევი, ალხაზავა, ჩაჩანიძე, გაბაშვილი** და **კირაკოზოვა** კანდიდატებად.

სარევიზიო კომისიის წევრებად: ამხ. ამხ. **მახარაძე და ჭავჭავაძე. კანდიდატებად ამხ. ქოლიფა.**

უდიდესი გადაფრენის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. გ. გაჩეჩილაძემ. მან აღნიშნა ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც ჰქონდა შარშანდელ გადაფრენას საბჭოთა ქვეყნებიდან ჩინეთ-იაპონიაში.

— „ეს გადაფრენა", სთქვა მომხსენებელმა,—„ამავე დროს არის უდიდესი ტეხნიკური გამოცდა საბჭოთა ავიაციისა, რომელიც ატარებს აგრეთვე დიდ პოლიტიკურ ხასიათს. უკავშირებს რა შორეულ აზიურ ქვეყნებს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებს"-ო.

გადაფრენაში მონაწილეობას იღებდა 26 კაცი. (მმფრინავი, 6 მემანქანე, 5 კორესპონდენტი და 3 კინოს მუშაკი). გადაფრენას ხელმძღვანელობდა **ამხ. შმიდტი, ყოფილი მუშა, ახლა-ამწყობი.**

ამ ექსპედიციაში მონაწილეობდენ ჰაეროპლანები გაკეთებული ლენინგრადის ქარხნებში, რუსული მძრავი მანქანებით. ეს მანქანები იდეალად სძლევდენ ბუნებრივ ყოველგვარ დაბრკოლებებს, როგორიცაა ბაზის უქონლობა ძირს დაშვების აუცილებლობის დროს, არ არსებობდა სათანადო ნიშნები ფრენის მიმართულების გამოსარკვევად და სხვა. ექსპედიციამ საუცხოვოდ სძლია ტაიგის სიძნელენი და სხ.

მოხსენებას თან სდევდა დიდი კინო-სურათი „უდიდესი გადაფრენა", რომელიც თვალწინ შლის სურათს შორეული აღმოსავლეთის ღრმა ძირიდან გაღვიძებისას და კანტონის პროვინციის ბრძოლას ევროპის იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ჩინეთის რევოლიუციონურ პარტიის გამარჯვებით.

როგორც მოხსენებამ, ისე სურათმა კმაყოფილება გამოიწვია.

დასასრულ კრებას მოხსენდა განზრახული ექსკურსიების შესახებ. ქარხნებისა და მუზეუმის დასათვალიერებლად.

ნ. ჯაფარიძე.

—:—

ა.-კავ. ფ.-ტელეგ. ოლქის სამმართველოს საყურადღებოდ

1926 წ. 5 აპრილს—გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის 6 თვიანი კურსები, სადაც „იქნენ მიღებული მსმენელებად ღარიბი მუშის და გლეხის შვილები. ყველას დიდი სურვილი გვქონდა და გვაქვს კურსების დამთავრებისა, მაგრამ ეკონომიური ხელმოკლეობის გამო თითოეული ჩვენგანი განიცდის დიდ გაჭირვებას. თუ დახმარება არ მოგვეცა ჩვენი მდგომარეობა აუტანელია და ჩვენი მუშაობა მუქთად ჩაივლის.

კურ. მსმენელნი.

მუშათა წერილებიდან

— აქ ორმაგი ზარალი გვაქვს. ვერის დაღმართთან ყორღანოვის ქუჩაზე წყალი ტყუილად იღვრება, რის გამო გაუვალი ტალახი დგება და იქმნება ანტი-სანიტარული მდგომარეობა. ეს ორმაგ ზარალს იძლევა წყალი უსარგებლოდ იღვრება და უსუფთაობაც სუფევს.

აღმასკომო შეაკეთე ეს ონკანიც.

ხშირად მნახველი.

— **გააცხოველეთ მუშაობა.** ლენინის უბანში საბჭოს ქუჩაზე მოთავსებულია სახგანათლების აუდიტორია. უწინ აქ გაცხოველებით მიმდინარეობდა მუშაობა: იკითხებოდა ლექციები, იდგმებოდა წარმოდგენები, ისცენირებები და სხვა; მაგრამ რაღაც მიზეზების გამო ეს ორ თვეზე მეტია, რაც აქ მუშაობა მიდუნდა და მუშებიც მოწყდენ კულტმუშაობას.

აქაც გააცხოველეთ მუშაობა!..

მუშკორი ჯავაზიშვილი.

— **ჩვენც გვალირსეთ ამბულატორია.** პირველ სამილიციო უბანში თითქმის არც ერთი ამბულატორია არ მოიპოვება, რომ მუშებმა აქ თავისი მოირჩინონ ან კანის ავადმყოფობა და სხვა. ამის გამო ხშირად უკმაყოფილებაც ისმის აქ მცხოვრებ მუშებს შორის. მცხოვრებლებს შორის უხდებათ ექიმობა, რაც მუშებში იწვევს სამართლიან უკმაყოფილებას. პირველ რიგშიაც უნდა მიეცეს ამბულატორია.

ხელს აწერს 4 მუშა.

მეტყველი ბიბლიოთეკის დაარსებისათვის

ამგვარი ბიბლიოთეკა ჯერ-ჯერობით მხოლოდ ერთია მთელს დედა-მიწაზე. დაარსებულია შარშან გერმანიის სატახტო ქალაქში, ბერლინში, ეროვნულ ბიბლიოთეკასთან, როგორც მისი განსაკუთრებული და თითქმის დამოუკიდებელი განყოფილება (Lautbibliothek). გახსნის უმალ მეტყველ ბიბლიოთეკას მთელი ბერლინი დაესწრო და, როგორც გაზეთები იუწყებოდენ, პროვინციიდანაც აურაცხელი ხალხი ჩამოვიდა ბიბლიოთეკის სანახავად, ან უკეთ რომ ვსთქვათ, მოსასმენად და გასაგონად. გერმანიის პრესა ნამდვილი ზეიმით მიეგება ახალი დაწესებულების დაარსებას. იშვიათ ბიბლიოთეკას აღფრთოვანებული წერილები უძღვნეს გავლენიანმა გაზეთებმა როგორც „გენერალ ანცაიგერ" (№ 156), „ფოსსიშე ცაიტუნგ" (№ 124), „დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგ" (№ 439), „ლაიპციგერ ნოიესტე ნახრიხტენ" (№ 54) და მრავ. სხვა. მეტყველი ბიბლიოთეკის დაარსების ფაქტს ეს გაზეთები აფასებდენ, როგორც საკაცობრიო კულტურის ახალი ხანის დასაწყისს.

რას ნიშნავს და რას წარმოადგენს მეტყველი ბიბლიოთეკა?

ჩვეულებრივი ბიბლიოთეკისაგან ის უწინარესად იმით განირჩევა, რომ წიგნების ნაცვლად მეტყველ ბიბლიოთეკაში გროვდება და ინახება ამ წიგნების დამწერების—მწერლების, პოეტების, მეცნიერების, პოლიტიკისა და კულტურის ყველა დარგის გამოჩენილ მოღვაწეთა ცოცხალი ხმა და საუბარი. როგორც კინემატოგრაფი, რომელიც სისწორით გადმოსცემს ადამიანის სახის უფაქიზეს გამომეტყველებას, ისე მეტყველი ბიბლიოთეკის ხელსაწყო—პირდაპირ იდეალური სინამდვილით გადმოსცემს ადამიანის ხმის (და, რასაკვირველია, აგრეთვე ცხოველების ხმისა და ყოველი ბგერის და ხმაურის) სიმაღლეს, ნიუანსებს, ტემბრს. მეტყველი ბიბლიოთეკაში მოსიარულე ბერლინელი „მკითხველი" ისმენს, მაგალითად, რაბინდრანატ ტაგორის თხზულებას, რომელსაც უკითხავს თვითონ ტაგორე, ცოცხალი ტაგორე, ინდურ ენაზე; ისმენს პროფესორ ბრანდლის ლექციას, სახელოვან პოეტების დეკლამაციას, პოლიტიკურ მოღვაწეთა სიტყვებს, გერმანული ენის ურიცხვ დიალექტებს, ძველ სლავურ ვოკალურ სიმფონიას, არაბულ, იაპონურ და სხვა აღმოსავლურ ხოროს და ასე დაუსრულებლად.

ხმა არის ყველაზე დამახასიათებელი და თავისებური ნიშანი ადამიანისა. დედაენა საერთოა, მთელს ერს ეკუთვნის. ხმა კი ეკუთვნის მხოლოდ ერთს, პიროვნების საკუთრებაა. მაგრამ ხმა, მიუხედავათ მისი ინდივიდუალურობისა, მაინც აშკარავებს იმ კილოკავის ბგერათა ფიზიოლოგიას და მეტყველების მელოდიას, რომელ კილოკავსაც ეკუთვნის ამ ხმის პატრონი. უცხო ენების შესწავლა-შეთვისების დროს ხმა გვაძლევს შესაძლებლობას სულით შევიგნოთ უცხო საუბარის ნამდვილი შინაარსი. მკვდარ სიტყვას—დაწერილს ან ტლანქად წარმოთქმულს—მხოლოდ ტონი და მელოდია აძლევს ფერსა და სულს. ცოცხალი საუბრის მნიშვნელობა ამიტომ უდიდესია. მეტყველი ბიბლიოთეკის როლი ჩვენთვის უფრო ნათელი იქნება, თუ გავიხსენებთ, რომ მთელი თანამედროვე ლინგვისტიკა უნდებოდა ენის აკუსტიკური მხარის შესწავლას. განთქმული ფონეტიკოსები დიდხანს ცდილობდნენ—ეგრ. წოდ. ფონეტიკური ტრანსკრიპციების, ინტონაციური მრუდების, სასვენის ქმნადობის და მრავალ სხვა ცდების საშუალებით, რომ მეტყველების მელოდია გამოეკვლიათ, მაგრამ მათმა ცდებმა უნაყოფოდ ჩაიარა. შეუძლებელი იყო სწორი გადმოცემა სხვადასხვა ენის ინტონაციისა და უცხო ბგერის ე. წ. „მღერობის ფერის". მხოლოდ თანამედროვე ტეხნიკამ მოგვცა ხელში იარაღი, რომლის საშუალებითაც ჩვენ უკვე შევიძლია ყოველი ბგერისა და ხმაურის გამომწვევი ფაქტორები მექანიკურად ავსახოთ. ეს არის მეტყველი ბიბლიოთეკის საგანგებო ფონოგრაფები. შეუძლებელია აქ არ აღვნიშნოთ, რომ გამოჩენილმა გერმანელმა მკვლევარმა ვილჰელმ დიოგენმა პირველმა დაიწყო ამ 20—25 წლის წინად, პედაგოგიურ და სამეცნიერო მიზნით ფონოგრაფიული გადაღება უცხო ენებისა, შემდეგ კერძო პირების სიტყვებისა და ბოლოს თავისი განთქმული კოლექციებით საძირკველი ჩაუყარა მეტყველ ბიბლიოთეკას. თავდაპირველად მან არსებითად ჩვეულებრივ ფონოგრაფს მიმართა. ეხლანდელი ხელსაწყო ფონოგრაფი, ისეთივე პრინციპისაა, როგორც ფონოგრაფი, მაგრამ ის ზედმიწევნით არის გაუმჯობესებული, ლაიპციგის „ნოიე ნახრიხტენ" ასე აგვიწერს პირველ მეტყველ ბიბლიოთეკას:

„ეროვნულ ბიბლიოთეკაში, რომელსაც წიგნების რაოდენობით მესამე ადგილი უკავია მთელს დედამიწაზე და რომელსაც ურიცხვი ოთახი უჭირავს, ერთ-ერთ განყოფილებაში გამართულია ფონოგრაფიული ლაბორატორია. ლაბორატორიაში შუა ალაგას მაგიდა სდგას ელექტრონის ლამფით, გარშემოდგმული აქვს სკამები და ეს არის და ეს მთელი ავეჯეულობა. ოთახი გადაყოფილია კაცის სიმაღლის ოდენა თხელი ტიხრით, რომლიდგანაც ერთს ალაგას თავი აქვს გამოყოფილი ფონოგრაფის ხმამზარდს (რუპორს), რომელიც გვაგებინებს, რომ ჩვენ ფონოგრაფიულ ატელიეში მოვსულვართ. ამ რუპორის წინ უკვე მდგარა მთელი რიგი გამოჩენილ პიროვნებებისა. მათ შორის რ. ტაგორეც. ლაბორატორიის კაბინეტში არის გამოკიდებული მისი სურათი, რომელზედაც ის გადაღებულია სწორედ იმ დროს, როდესაც ის გრძელ თეთრ ეროვნულ სამოსელში სდგას აპარატის წინ და კითხულობს მუსიკალურ ინდურ ენაზე ამონარჩევ გვერდებს თავისი ნაწარმოებებიდან.

ტიხრის იქით სამეფოა ხელსაწყოებისა და მათი ოსტატის, ფონეტიკოს-მექანიკოსისა, რომელიც ამზადებს „ბგერიან სურათებს". ამ სურათებს იღებენ ცვილის (სანთლის) ფირფიტაზე, რომელსაც წინასწარ ოდნავ ათბობენ და რომელიც თანაბრად ბრუნავს. ბგერის რხევა გამოიცემა აქეთ ძლიერ წმინდა აჭკისა და გათლილი საფირონის ან ლალის საშუალებით. გადაღების დამთავრების უმალ წარმოთქმულიც და გადმოღებიც გამოსახავენ ჩხირით ცვილის ფირფიტის შუა ალაგას თავიანთ სახელსა და გვარს და თარიღს. ბგერიან სურათებს გამკეთებელი ქარხანა ბერლინში ამ პოზიტივებს გალვანოპლასტიკური გზით გადააქცევს სპილენძის ნეგატივებად, ე. წ. სპილენძის მატრიცებად, რომლებსაც **8—10 ათასი წლის გამძლეობა** აქვთ. ამ მატრიცებიდან ბეჭდავენ ფირფიტებს, რომლებიც იყიდება. ფონოგრაფიულ მაღაზიებში რომ ლაბორატორიაში რომ გადაღების ქეთოდებსა და ტეხნიკას განუწყვეტლივ ანვათარებენ, აუმჯობესებენ და ალრმავებენ—ამაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია"...

ბერლინის ეროვნული ბიბლიოთეკის უკანასკნელ ანგარიშში მოყვანილია ცნობები იმის შესახებ, თუ რა აქვს უკვე გაკეთებული მეტყველ ბიბლიოთეკას. ამ მხრივ ზემოხსენებულს ვ. დიოგენს უდიდესი ღვაწლი მიუძღვის.

ცნობილია, რომ დროთა განმავლობაში ყოველი ენა, ყველა თავისი კილოკავებით ადვილი, სიტყვების შინაარსით, ბგერების მეღერობით, მეტყველების მელოდიით—ერთი სიტყვით მთელი თავისი რაობით ისე ძირიანად იცვლება, რომ სულ სხვა, ახალ ენად ხდება. ჩვენ უკვე არავითარი ძალით არ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ როგორ ჟღეროდა ჩვენი წინაპართა ენა ათასეულ წლების წინად და, უნდა ვიფიქროთ, მეცნიერებისათვის ეს ამოუხსნელ ამოცანად დარჩება. სამაგიეროთ შესაძლებელია თანამედროვე ენების ფონოგრაფიული ფიქსაცია. ისტორიული და საენათმეცნიერო ინტერესის გარდა ამას პრაქტიკული, პედაგოგიური მნიშვნელობაც აქვს ენების სწავლების დროს. და აი, ამ საქმეს გერმანელებმა მოჰკიდეს ხელი, დაიწყეს გერმანულ ენების დიალექტებიდან. დიოგენმა გადაიღო ყველა გერმ. კილოკავები. შემდეგ მან გადაიღო 300-მდე უცხო ენა (დედაენებზე წარმოთქმული ზღაპრები, ლექსები, ანდაზები და სხვ.) პირველხარისხოვან სპეციალისტების თვალყურისდევნებითა და შიმოწმება-შედარებით. განსაკუთრებით იშვიათია და ძვირფასი ვ. დიოგენის ეთნოგრაფიულ-მუსიკალური კოლექცია, რომელშიაც 3.000 ნიმუში ითვლება. ეს კოლექცია წარმოადგენს **ხალხურ** ინსტრუმენტალურ ნაწარმოებებს და სიმღერებს, რომლებიც შესრულებული აქვთ ინგლისელ, ფრანგ, რუს, იტალიელ, ესპანელ და იაპონელ ერებისა და ტომების წარმომადგენელთ.

1920 წელს ვ. დიოგენმა თავისი დაუღალავი და ნაყოფიერი მუშაობით მთავრობის ყურადღება მიიქცია. ბერლინის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან სახაზინო ხარჯით მას მოუწყვეს ფონოგრაფიული ლაბორატორია, სადაც თავი მოუყარეს მის კოლექციებს და დანიშნეს ლაბორატორიის გამგედ. თავისი მოღვაწეობის ოფიციალური ცნობითა და დახმარებით უფრო გამხნევებულმა, დიოგენმა ფართოდ გაშალა მუშაობა. მომავალი ბიბლიოთეკისათვის ახალი მასალების გადასაღებად მან საკუთარი ხარჯით შემოიარა მთელი ევროპა, აღმოსავლეთის ზოგიერთი ქალაქები, ძლიერ გამდიდრა კოლექციები და ლაბორატორიაც ისე გააუმჯობესა, რომ 1925 წელს მეტყველი ბიბლიოთეკა უკვე მზად იყო საჯარო სარგებლობისათვის.

პრაქტიკული და სამეცნიერო ამოცანების გარდა მეტყველ ბიბლიოთეკას დასახული აქვს აგრეთვე საისტორიო მნიშვნელობის ამოცანაც: შთამომავლობისათვის შესანახად იღებს პოლიტიკისა და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კულტურის ყველა დარგის გამოჩენილ მოღვაწეების ცოცხალ საუბარს იმ საგანზე. რა საგანიც მათ თავისი სიცოცხლის მიზნად და იდეალად დაუსახავთ... „რას მივცემდით ჩვენ იმისათვის,— სწერს ერთი გერმანული გაზეთი, — რომ დანტეს, შექსპირის, გოეთეს ხმის გაგონება შეგვეძლებოდეს?!..."-ო. და შოთას, გურამიშვილის, დოდაშვილის, ძველი ქართველი რევოლიუციონერების საუბარის მოსმენა!—ვიტყვით ჩვენ.

ამ წერილის მიზანია დავაინტერესოთ მეცნიერებისა და ხელოვნების წარმომადგენელნი და მშრომელი ინტელიგენციის ფართო წრეები ზემოთ აწერილი დაწესებულების დაარსების იდეით და ვაუწყოთ მათ, რომ ჩვენ სრული **შესაძლებლობა გვაქვს** გერმანელებისაგან მაგალითი ავიღოთ — შევუნახოთ შთამომავლობას თანამედროვე ქართული მეტყველება, შევუნახოთ ხმა, საუბარი, სურვილი, იდეალები იმ მოღვაწეებისა, რომლებსაც ჩვენ პატივსა ვცემთ.

ლაბორატორიის მოწყობას ისეთი უმნიშვნელო თანხა უნდა, რომ მისი შენახვა — სანამ იგი დაიმსახურებს მთავრობის ყურადღებასა და სუბსიდიას — არ გაუჭირდება რომელიმე პროფკავშირს, კოოპერატიულ ორგანიზაციას ან საგანგებოდ შემდგარ საზოგადოებას, მით უმეტეს, რომ მ. ბიბ—კას ექნება საკუთარი შემოსავალი, რომელიც შეიძლება ძალიან გაიზარდოს მეტადრე რადიოს დახმარებით და მომავალში აგრეთვე ფირფიტების გაყიდვით.

ორი ჩამწერი აპარატი, თითო—500 მარკა, ე. ი. 500 მანეთი დაახლოვებით; შემდეგ, მასალა და მოწყობილობა — დაახლოვებით ამდენივე, ბინაც—ამდენივე, აი, მთელი „ხარჯთ-აღრიცხვა".

მაგრამ საქმე იმდენად ხელსაწყოსა და ლაბორატორიაზე არ არის დამოკიდებული, რამდენადაც ამ ხელსაწყოებზე მომუშავე მეცნიერ სპეციალისტზე, სახელდობრ ფონეტიკოს-ექსპერიმენტატორზე, რომელიც მეტის-მეტად იშვიათი საპოვნელია, რომ იტყვიან, „სანთლით საძებარია". ევროპაში სულ სამი ასეთი სპეციალისტია: დიოგენი—ბერლინში, ფორშჰამერი მიუნხენში და იოგენ ფორშჰამერი (პირველის ძმა) — კოპენჰაგენში. ჩვენცა გვყავს ასეთი სპეციალისტი — თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი გ. ახვლედიანი, რომელმაც სამეცნიერო გამოკვლევები ექსპერიმენტულ ფონეტიკაში ჯერ კიდევ ხარკოვის უნივერსიტეტში დაიწყო. ფონეტიკურ ცდების შორის მან მიაღწია იმას, რომ საარტიკულაციო ბაზისით ჩამოყალიბებულ რუსებს ორიოდე დღის სპეციალური ვარჯიშის შემდეგ გამოათქმევინა წმინდა ქართული ბგერები წ, ჭ და სხვები, რაიცა ექსპერიმენტულ ფონეტიკაში იშვიათ მიღწევად ითვლება.

სრული იმედი გვაქვს, რომ თბილისის სამეცნიერო ძალები, განსაკუთრებით კი ხელოვნების — თეატრის და კონსერვატორიის წარმომადგენელნი დიდ კულტ. დაწესებულების იდეას პრაქტიკული წინადადებით გამოეხმაურებიან.

„თბილისის მეტყველი ბიბლიოთეკა" დაარსების უმალ შეუდგება მუშაობას და

1) გადაიღებს თანამედროვე მოღვაწეების საუბარსა და სიტყვებს, ქართულ, კავკასიურ, აღმოსავლურ ენებს, კილოკავებს, სახალხო მუსიკას, თეატრისათვის (ჟანრი და სხვ.) და სკოლისათვის საჭირო ნიმუშებს და სხვადასხვა;

2) კავშირს დაიჭერს ბერლინის ბიბლიოთეკასთან მასალების გაცვლა - გამოცვლისა და ცდების ურთიერთი გაზიარების მიზნით.

3) სამსახურს გაუწევს საქართველოს და მეზობელ რესპუბლიკების ყველა სამეცნიერო დაწესებულებებს, თეატრებს და კონსერვატორიებს და ბოლოს, როდესაც დააგროვებს სათანადო მასალას, გაიხსნება საჯარო სარგებლობისათვის.

ტ. მ. ბ. თავისთავად, როგორც ახალი კულტურული და ამასთან მეტად იშვიათი დაწესებულება, ერთერთი ძლიერი იარაღი იქნება იმ ცუდნობილი, ოსტატური პროპაგანდის წინააღმდეგ, რომელსაც სისტემატიურად ეწევა ევროპის ბურჟუაზიული პრესა, რომ მუშათა კლასის თვალში როგორც კი შეიძლება სახელი გაუტეხოს ჩვენს ქვეყანას და ჩვენს მუშაობას ახალი ცხოვრებისათვის.

ბიბლ. გ. ბაქრაძე.

ბინის ახალი ტარიფი

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ 28 სექტემბერს დაამტკიცა თბილისის აღმასკომის მიერ 4 აგვისტოს მიღებული დებულება ახალი საბინაო ტარიფის შესახებ. დებულება დამტკიცებულია შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ შეტანილ ცვლილებებით. ბინის ქირის განაკვეთი წესდება თვითეულ კვადრატიულ მეტრზე თვეში.

მუშა-მოსამსახურენი მათი სტარიფო განაკვეთის მიხედვით, იხდიან კვადრატიულ მეტრზე:

რომლებიც ღებულობენ:			
20 მან. ჩათვლით		— 5	კაპ.
20 — 30	„ „	— 8	„
30 — 40	„ „	— 11	„
40 — 50	„ „	— 14	„
50 — 60	„ „	— 17	„
60 — 70	„ „	— 20	„
70 — 80	„ „	— 22	„
80 — 90	„ „	— 26	„
90 — 100	„ „	— 28	„
100 — 110	„ „	— 32	„
110 — 125	„ „	— 35	„
125 — 150	„ „	— 38	„

იმ პირთათვის, რომლებიც იღებენ თვეში 150 მანეთზე მეტს, საბინაო ქირის განაკვეთი წესდება შემდეგი რაოდენობით: ყოველ 25 მანეთზე 275 მანეთამდის ემატება 4 კაპ., ხოლო 275 მანეთზე ზევით—5 კაპ.

ბინის ქირა გამოიანგარიშება, მხოლოდ საცხოვრებელი ფართობის მიხედვით (სამზარეულო. წინა მისაღები ოთახი, დერეფანი, საბანაო ოთახი და სხვა, ანგარიშში არ მიიღება).

დამქირავებელი იხდის ქირას ზემოაღნიშნული ტარიფის მიხედვით საცხოვრებელ ფართობზე, რომელიც უჭირავს მას ან მის კმაყოფაზე რიცხულ პირებს, თითეულ სულზე 20 კვადრატ. არშინის (10,12 კვადრატ. მეტრის) ფარგლებში.

ზედმეტი ფართობისათვის—თითეულ სულზე დაწესებულ 20 კვ. არშინზე (10,12 კვ. მეტრზე) ზევით, დამქირავებელი იხდის 25 %-ით მეტს სახლის პატრონის სასარგებლოთ.

ბინის ქირის რაოდენობა ოთახებზე წესდება ოჯახის იმ წევრის მიხედვით, რომელიც იხეგრება ბინის ქირის უმაღლესი განაკვეთით.

ის პირნი, რომლებიც ღებულობენ პერსონალურ, ან სპეციალურ განაკვეთს, ან მუშაობენ შეთავსებით რამდენიმე დაწესებულებაში, ან გარდა ხელფასისა, აქვთ შემოსავალი თავისუფალი პროფესიით, აგრეთვე ის პირნი, რომლებიც გარდა თავისი მუდმივი განაკვეთისა, ღებულობენ განსაზღვრულ მუდმივ დატვირთვას, ტანტიემას, საკომისიოს ან პროცენტულ ანარიცხს, და აგრეთვე სამხედრო მოსამსახურენი, **ბინის ქირას იხდიან მთელი თვიური ხელფასის რაოდენობის მიხედვით.**

მათი გასათანასწორებლად ბინის ქირის გადახდის მხრივ იმ პირებთან, რომლებიც ზემოდ არიან აღნიშნულნი, საერთო თვიური შემოსავლიდან ხდება ჩამოკლება შემდეგი რაოდენობით: რომლებიც ღებულობენ 100 მანეთამდე—სარგებლობენ ჩამოკლებით 15 %-ის რაოდენობით, 100—125-ით—20 %-ის რაოდენობით, 125—150 მანეთამდე—25 %-ით და 150 მანეთის ზევით—30 %-ის რაოდენობით.

ახალი ტარიფი შედის ძალაში წელს, 1-ლ ოქტომბრიდან.

თბ. ქალაქის ექიმების კონფერენცია

27 სექტემბერს გაიხსნა თბილისის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების საექიმო-სასანიტარო დაწესებულებების მომუშავე ექიმების კონფერენცია.

ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ამხ. **მამულია,** რომელმაც ხაზი გაუსვა ჯანმრთელობის განყოფილების მუშაობის როგორც მიღწევებს, ისე დეფექტებს.

ქალაქის მოსახლეობას საექიმო დახმარებას უწევს 4 საავადმყოფო 825 საწოლით და 34 ამბულატორია. ამას გარდა, არის 86 ექიმი, რომლებიც დახმარებას უწევენ დაზღვეულებს ბინაზე. ამ დაწესებულებებს ამ ღოიბში შიემატება კიდევ ფიზიო-ტერაპევტიული ინსტიტუტი.

მუშაობის ნაკლათ უნდა ჩაითვალოს ამბულატორიების მეტისმეტად დატვირთვა; ამბულატორიებში ექიმებს უხდებათ იმაზე მეტი ავადმყოფების მიღება, ვიდრე ეს დაწესებულია ნორმით.

საავადმყოფოები ზედმეტად დატვირთულია პერიოდულად, სასეზონო ან ეპიდემიურ ავადმყოფობის დროს, გარდა გინეკოლოგიური და ქირურგიული განყოფილებებისა, რომლებიც თითქმის სულ დატვირთულია. საავადმყოფოებში საგრძნობია ნერვიულ-ფსიქიატრიული და ცხვირ-ყურის განყოფილებების ნაკლებობა. საავადმყოფოების მოწყობილობა დამაკმაყოფილებელია.

დიდი მუშაობა იქნა ჩატარებული სანიტარულ-პროფილაქტიურ განყოფილების მიერ, რომელმაც, მიუხედავათ თანხების უქონლობისა, მაინც საგრძნობლად გააძლიერა მუშაობა მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეში.

გამოკვლეული იქნა სურსათის ბაზარი; მას მუდმივ მეთვალყურეობას უწევს ქალაქის ქიმიური ლაბორატორია. დაწესებულია კონტროლი წყალზე და საერთოდ წყალის მიწოდებაზე. შესწავლილია პურის დამზადების საქმე. გამოკვლეულია გემო-კვების ყველა დაწესებულებები და სხვა.

დისპანსერი არის?—ვენერიული და ტუბერკულოზის.

ამხ. მამულიამ გააშუქა აგრეთვე ჯანმრთელობის განყოფილების სანიტარულ-განმანათლებელი ქვე-განყოფილების მუშაობა. გამოცემული იქნა 7 პოპულიარული ბროშიურა და რამოდენიმე პლაკატი. 11 თვის განმავლობაში ქალაქში და მაზრაში ჩატარებულია 400-დე ლექცია და მოწყობილია 4 სანიტარული გამოფენა. სამაზრო ბიბლიოთეკებში იგზავნება პოპულარული საექიმო წიგნები და ჟურნალები.

მოხსენების შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

ფართლეულობა

ამჟამად თბილისის ფართლეულობის ბაზარზე დიდი მოთხოვნილებაა თითქმის ყოველგვარ ქსოვილებზე.

მოთხოვნილება ბამბეულ მანუფაქტურაზე, მაგარ ქსოვილებზე, მაუდზე და კამვოლის საქონელზე, სავსებით ვერ კმაყოფილდება.

ძაფებზე და სელის ქსოვილებზე სამომხმარებლო და სავაჭრო მოთხოვნილების დიდი ნაწილი კმაყოფილდება.

გაცხოველებული მოთხოვნილებაა აგრეთვე სასეზონო დამზადებულ ტანთსაცმელზე და სპეც-ტანისამოსზე, რომელზედაც დადებული იქნება მსხვილი გარიგება „მოსკვოშვეი"-ს ფასების მიხედვით.

მტკიცე მოთხოვნილებაა საქსოვ ძაფებზეც, ფასები იზრდება.

ბამბის ბაზარი გაცხოველებულია. საქონლის მიწოდება სუსტია და ვერ ფარავს არსებულ მოთხოვნილებას; ფასები იზრდება.

მტკიცე მოთხოვნილებაა აგრეთვე შპაგატზე. საქონელი ცოტაა, ფასები იზრდება.

სატყეჩე ქარხანა

ბორჯომის სატყეჩე ქარხნის შენობის აგება უკვე დაასრულა საქართველოს სატყეო ტრესტმა. მიმდინარე წელში განზრახულია ქარხნის სრული მოწყობა. ამასთანავე წინასწარ საჭიროა დასამუშავებელ ნედლ მასალების შესყიდვა და მისი მომარაგება ქარხნის საჭიროებისათვის.

ამას გარდა საჭიროა მოეწყოს ქარხნის კანტორა.

ქარხნის საჭიროებისათვის შესყიდულია ლოკომობილი და სხვა ტეხნიკური საჭიროების მანქანები. ახლო ხანში დაიდგმება კიდევ რამოდენიმე ახალი მანქანები 64.000 მანეთის ღირებულებისა.

საქართველოს სატყეო ტრესტმა გამოიმუშავა ქარხნის საბოლოო მოწყობის პროექტი და ხარჯთაღრიცხვა, რომელიც დასამტკიცებლად გადაეცა საქართველოს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს.

საბინაო მშენებლობა

მომავალი საბიუჯეტო წლის განმავლობაში საბინაო აღმშენებლობის საწარმოებლად შემუშავებული გეგმა დასამტკიცებლად წარედგინა ფინანსთა სახალხო კომისარიატს, რომელმაც უკვე დაამტკიცა ეს გეგმა.

გეგმით გათვალისწინებულია საბინაო მშენებლობაზე დაიხარჯოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან შემდეგი თანხები: სამრეწველო ხაზით—484.600 მან. კომუნალური მეურნეობის ხაზით—369.000 მან. საბინაო კოოპერაციის საშუალებით—452.000 მან.

სულ ბიუჯეტით გათვალისწინებულია დაიხარჯოს მომავალი 1926-27 წლის განმავლობაში 4.633.600 მანეთი ახალი ბინების და შენობების ასაგებათ.

ბრძოლა ჭლექთან

ტუბერკულოზის დისპანსერმა უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში საექიმო დახმარება აღმოუჩინა 1.788 ჭლექით დაავადებულს 14.807-ჯერ გასინჯვით.

დისპანსერთან არსებობს ჭლექით დაავადების პირობების გამომკვლევი ინსტიტუტი. უკანასკნელ 2 თვის განმავლობაში ინსტიტუტმა გამოიკვლია 200 მუშა-მოსამსახურის ისეთი ოჯახები, რომლებიც ყველაზე მეტად არიან დაავადებული ჭლექით.

გამოკვლევის სურათი ასეთია: 200 ოჯახიდან 143 ოჯახი (72 პროც.) ცხოვრობს ჯანმრთელობისათვის მავნე ბინებში: ჰაერი და სინათლე აკლია 85 ოჯახს; საცხოვრებელი სივრცე აკლია 35 ოჯახს; უსუფთაოა და სრულებით მოუწყობელია 8 ოჯახი; ნესტიან ბინებში ცხოვრობს—15 ოჯახი.

გამოკვლეულთა 47 პროც. დაბალი განათლებითაა. დანარჩენი სრულებით უცოდინარნი არიან. რაც შეეხება კვების საკითხს, აქ შემდეგი მდგომარეობაა: 119 ოჯახი (60 პროც.) იკვებება ცუდათ; ცხელ საჭმელს იშვიათად სჭამს 68 ოჯახი; ძლიერ ცუდათ იკვებება 39 ოჯახი;

თეთრეული, ქვეშსაგები და სხ. აკლია 119 ოჯახს და ხმარობენ ერთ პირსახოცს.

ასეთი ნივთიერი ხელმოკლეობა 32 ოჯახში გამოწვეულია ოჯახის წევრთა სიმრავლით; უმუშევრობას განიცდის 28 ოჯახი; 10 ოჯახი ნადგურდება ოჯახის მარჩენალის ლოთობის გამო.

გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ მუშების უმრავლესობა იღებს იმდენ ხელფასს, რომლითაც შესაძლებელია ვაუქირვებლად ცხოვრება, მაგრამ მათ აკლიათ სანიტარული და ჰიგიენური განათლება.

ტყეები

მომავალი წლის განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა უტყეო ადგილებში ტყეების გაშენებას.

ასეთ ადგილებს ეკუთვნის: დუშეთის, ახალქალაქის, ბორჩალოს და ნაწილობრივ თბილისის მაზრა.

დუშეთის მაზრაში, მაგალითად, ყაზბეგ-კობის რაიონიდან ტყე დაშორებულია 100 ვერსით. ასევეა ახალქალაქის მაზრაში. აღნიშნულ ადგილების მცხოვრებთ შეშის მოტანა უხდებათ ასი ვერსის მანძილიდან, ხოლო ზოგიერთ ადგილებში ეს მოტანა ისე ძნელია, რომ მოსახლეობა არჩევს უშეშოთ დარჩენას და იხმაროს ე. წ. „წვია".

ყაზბეგ-კობის რაიონში დაითესა 5-ნახევარი დესეტინა ტყე. მომავალი წლისათვის განზრახვაა ეს სივრცე კიდევ გადიდდეს. ტყის მოშენებას შეუდგენ აგრეთვე სხვა ადგილებში.

საკავშირო აღწერა

სრულიად საკავშირო დემოკრატიული აღწერის ამ.-კავკასიის ბიურომ, რომელიც ამ.-კავკასიის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან დაარსდა, გამოარკვია, ამიერ - კავკასიაში ამ მიზნისთვის საჭირო პერსონალი. აზერბეიჯანში — 1.309 მუშაკი ქალაქებში, 1.840 სოფლებში, 22 ხელმძღვანელი, სულ 3,171 კაცი; საქართველოში—1.275 ქალაქებში, 2,310 სოფლებში, 26 ხელმძღვანელი, სულ 3.611 კაცი, სომხეთში — 414 მუშაკი ქალაქებში,—198 სოფლებში, 10 ხელმძღვანელი, სულ 1.321 კაცი. ამრიგად აღწერის ჩატარება მთელ ამიერ - კავკასიაში მოითხოვს 8.103 მუშაკს.

ამჟამად სწარმოებს იმ პირთა რეგისტრაცია, რომელთაც სურთ აღწერაში მონაწილეობის მიღება. აღწერა დაიწყება მთელ კავშირში 17 დეკემბერს და გაგრძელდება ქალაქებში ერთი კვირა, სოფლებში — 2 კვირა.

აღწერის წინ მუშაობის ჩასატარებლად მიღებული მუშაკები მიიღებენ სათანადო ინსტრუქციებს. ამიერ-კავკასიის ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ საკავშირო ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოდან მიიღო აღწერისათვის საკალენდარო სამუშაოთა გეგმა და ინსტრუქციები აღწერის პირადი ფურცლების შესავსებათ.

ყველი

შვეიცარიული ყველის წარმოების აღდგენა საქართველოში დაიწყო 1923 წლიდან. უკვე აღდგენილია ზოგიერთი ქარხნები ბორჩალოს, თბილისის და ახალქალაქის მაზრებში. მაგრამ ჩვენში არის ისეთი რაიონები, რომლებიც აქამდი უყურადღებოთ არის მიტოვებული, თუმცა ამ რაიონებში არის ხელსაყრელი პირობები მეძროხეობის განსავითარებლად, მაგრამ არ არის საორგანიზაციო ცენტრები, რომლებსაც შეუძლიათ ხელი შეუწყონ მეძროხეობის ინტენსიფიკაციას.

ასეთი რაიონებია ყაზბეგი, ერწო, თიანეთი, მთიულეთი, ბარალეთი და სხვა, განსაკუთრებით კი ყაზბეგი (დუშეთის მაზრა) და ბეჟანო (ახალქალაქის მაზრა).

ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმის მიხედვით, განზრახულია ყველის და კარაქის ქარხნების მოწყობა ყველა ამ რაიონებში.

საქართველოს საგეგმო კომისიის აზრით, 1926—27 წელში ყაზბეგში და ბეჟანოში მოწყობილი უნდა იქნეს თითო ქარხანა, რაც ხელს შეუწყობს მეძროხეობის განვითარებას ამ რაიონებში. ორივე ქარხნის მოწყობა დაჯდება 120.000 მანეთი.

ამავე დროს 1926—27 წელშივე გაუმჯობესებული და აღდგენილი უნდა იქნეს ყველის ქარხნები ბორჩალოს და თბილისის მაზრებში, რისთვისაც საჭირო იქნება 60.000 მანეთი.

მეძროხეობის ინტენსიფიკაციისათვის 1926—27 წელში სულ საჭირო იქნება 180.000 მანეთი.

პატარა ფელეტონი

დაბრუნდებით და უკეთ გაარჩევთ

(საფრანგეთის რკინის გზის მუშათა დელეგაციის ჩამოსვლის გამო)

„საქართველოში გუშინ ჩამოვიდა საფრანგეთის რკინისგზელი მუშების დელეგაცია".

„გერმესხეიმში საფრანგეთის ოფიცერმა მოჰკლა ორი გერმანელი მოქალაქე და დასჭრა მესამე".

(დეპეშებიდან).

თქვენ ჩამოხვედით: და თან მრავალი
გაინტერესებთ უთუოდ კითხვა.
მაგრამ წინასწარ, ძვირფასო ძმებო,
ჩვენც უნდა გითხრათ ორიოდ სიტყვა.
რომ მოდიოდით, თქვენ დაგაბარეს
თითქოს ცხოვრობდენ მხეცები ჩვენში,
რომ აქ ცხვირს, ან ყურს, ან ფეხს
მოგკვამდენ,
და მიირთმევდენ მოხარშულს წვენში.
კითხვა პირველი: ხომ არ გაკლიათ
თქვენ ცხვირი, ყური, ფეხი ან ხელი?
კითხვა მეორე: ნამდვილ მხეცების
თქვენში ხომ არ ხართ ვინმე მნახველი?
კითხვა მესამე: პუანკარეს და
შტრეზემანს შორის რა მოხდა იცით?
ხომ არ გაიგეთ, რომ ჟენევაში
მათ ძმობა შეკრეს მაგარი ფიცით?!
ალბად იცით და მე აქ მჭირდება
მეოთხე კითხვა უკანასკნელი:
ეს მეგობრობა ორ „ძმა ბიჭს" შორის
გახანგრძლივდება რამდენი წელი?
ვიცი პასუხი მარტივ კითხვაზე
არ არის თქვენთვის, რთული და ძნელი,
მაგრამ ვერ გაცლით, მე უნდა გითხრათ,
რადგან ყოველთვის პირში ვარ
მთქმელი.
რომ დაბრუნდებით თქვენს ქვეყანაში,
მერწმუნეთ მთელი მიგყვებათ ყური;
მაგრამ უფრთხილდით, რომ შინ
მხეცებმა
არ აგაცალონ წინ ლუკმა პური.
ესეც მიიღეთ მხედველობაში:
ერთერთს კოცნიან დღეს მინისტრები,
მაგრამ ორივე, იცოდეთ ძმებო,
თქვენი მტრებია, სატიკი მტრები.
და თუ ფრანგების დღეს აფიცერმა
გამოიჩინა ეშვები მტრული,
ორ გერმანელის დაღვარა სისხლი,—
(ის პუანკარეს მონაა სრული).
ნუ გაიკვირვებთ, ხვალ გერმანელმა,
(კვლავ ჩინოსანმა და ხალხის მტერმა)
თუ ორი ფრანგის დაღვაროს სისხლი,
და გაიხაროს მან ამით შტერმა.
ისინი თუმცა პატარა, მაგრამ
მაინც მხეცები, მხეცნი არიან.
იმათ ზურგს უკან, დიდი მხეცები
კბილებსა ღრეჯენ, გაიხარიან.
მხეცები თუმცა ერთი მეორეს
მუდამ ებრძვიან კბილების ღრენით,
მაგრამ „არ დახევს ძაღლი ძაღლის
ტყავს",
ტყავს გაულოკავს სისხლიან ენით.
თქვენ კი უფრთხილდით საკუთარ
მხეცებს
(და უცხოეთის თან, რა თქმა უნდა)
მათ შეერთება ძნელად არ უღირთ,
ოღონდ თქვენ დაგცხონ ქვები და გუნდა.
რომ დაბრუნდებით თვალს გადაავლებთ
დაკვირვებულად იმ თქვენ ქვეყანას,
და მხილებს ბოლომდე, ბოლომდე იპოვით,
რომ აოხრებენ მშრომელთა ყანას.
რომ მოდიოდით თქვენ დაგაბარეს
თითქოს ცხოვრობენ მხეცები ჩვენში,
დაბრუნდებით და უკეთ გაარჩევთ
კეთილ მოყვარეს მოსისხლე მტერში.

ხიკეზიკა.

სპირტი

1925—26 სამეურნეო წელში საქართველოს სახელმწიფო სპირტის სამმართველომ დაამზადა 5.400.000 გრადუსი სპირტეული ნაწარმოები. საწარმოო პროგრამა შესრულდა 90 პრო-ით. 1924—25 სამეურნეო წელში დამზადებულია მხოლოდ 3.800.000 გრად. სპირტი, ანუ საწარმოო პროგრამის 70 პროცენტი.

მიმდინარე წლის განმავლობაში ქარხნებში შეკეთდა მანქანები, რამაც ასწია შრომის ნაყოფიერება.

უახლოეს ხანში საქართველოს სახელმწიფო სპირტის სამმართველოს ქარხნებში შემოღებული იქნება რეცხვის, გადასხმის და ეტიკეტების დაკვრის მექანიზაცია.

ახალი ქარხანა

მრეწველობის განვითარების მიზნით, რესპუბლიკის სხვადასხვა საწარმოო რაიონებში მომავალი წლისათვის განზრახულია ახალ წარმოებათა მოწყობა.

ამისათვის ს. მ. უ. ს. შინა-მრეწველობის განყოფილების ინიციატივით ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენიდან შეძენილ იქნა კაკლის საწმენდი ქარხნის სრული მოწყობილობა.

კაკლის საწმენდი ქარხანა მოეწყობა ოზურგეთში, სადაც დიდძალი თხილი მზადდება ბაზარზე გასატანათ. გაუწმენდავი თხილის გატანა უცხოეთში ძალიან ძვირი ჯდება, ხოლო გაწმენდილი თხილი დაჯდება ორჯერ უფრო იაფი. გურიის თხილი და კაკალი გააქვთ უმთავრესად ამერიკაში.

ახალი დებულება

მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატი ამუშავებს კომისარიატის ახალ დებულებას, დებულებით კომისარიატში არსებობს: კოლეგია და მასთან სამიწათ-მოქმედო საგეგმო კომისია; ადმინისტრატიულ - ფინანსიური და სასოფლო-სამეურნეო სამმართველოები და განყოფილებები (სამმართველოს უფლებებით): მიწის მოწყობისა, სატყეო და სავეტერინარო.

ადმინისტრატიულ - ფინანსიური სამმართველოს განყოფილებებია: საერთო და საფინანსო - სამეურნეო.

სასოფლო - სამეურნეო სამმართველოს განყოფილებებია: აგრონომიულ ღონისძიებათა, საცდელ - სამეცნიერო, მეღვინეობისა, მესაქონლეობისა, ცხენთ საშენისა და სტატისტიკურ - ეკონომიური განყოფილება.

ბრძოლა ხულიგნობასთან

აღმასკომის ადმინისტრატიულ განყოფილების უფროსმა ამხ. ხმალაძემ ხულიგნობასთან ბრძოლის შესახებ ჩვენს თანამშრომელს შემდეგი აცნობა:

წინეთ ხულიგნობასთან ბრძოლა მარტო ადმინისტრატიული ზომებით ამოიწურებოდა. დაპატიმრებამ ამა თუ იმ ხულიგანისა ვერ მოგვცა სასურველი შედეგი. ხშირი იყო შემთხვევა, როცა ერთი და იგივე პირი რამოდენიმეჯერ იყო შემჩნეული ხულიგნობაში. ამის შემდეგ ხულიგნობის წინააღმდეგ მიღებული იქნება რეპრესიული ზომები. ამ მხრივ დიდი როლი ითამაშა სახალხო სასამართლოს მორიგმა კამერამ. მორიგ კამერაში ხულიგნის საქმე პირველ რიგში ირჩევა და; წმინდა ტიპის ხულიგანი ღებულობს სასჯელს ორი თვიდან ორ წლამდე. ამ ღონისძიებამ შესაფერი ნაყოფი გამოიღო; ამ ბოლო ხანებში ხულიგნობა კლებულობს.

გასული წლის 1-ლ ოქტომბრიდან ამა წლის 1-ლ ოქტომბრამდე დაპატიმრებული იყო 550 ხულიგანი.

ამჟამად ხულიგნობასთან ბრძოლა ფართო მასშტაბით სწარმოებს და მომავალში ის (ხულიგნობა) კიდევ უფრო შემცირდება.

ქრონიკა

დაწესებულებებში მუშაობის დაწყების დრო

ხვალ 1 ოქტომბრიდან ყველა დაწესებულებებში 8 საათის მაგივრად, მუშაობა დაიწყება დილის 9 საათზე.

სვანეთის ტყე

მიწათ-მოქ. სახ. კომისარიატის მიერ სვანეთის ტყის მოსაწყობათ გაგზავნილი სტაქსაციო ჯგუფი (22 კაცის შემადგენლობით) უკვე დაბრუნდა 27 სექტემბერს. ჯგუფს ხელმძღვანელობდა ამხ. შალვა ნადარეიშვილი.

მიუხედავად სხვადასხვა მძიმე პირობებისა, ჯგუფმა დაკისრებული მუშაობა სავსებით დაამთავრა.

მოწყობილი და გამორკვეულია მთელი ზემო-სვანეთის ტყეები, საერთო ფართით 150.000 ჰექტარამდე.

ამჟამად სტაქსაციო ჯგუფი შეუდგა ზაფხულში დაგროვილ მასალათა კამერალურ დამუშავებას.

თბილისის აღმასკომში

— **მცხეთის კეთილმოსაწყობათ** შესდგა განსაკუთრებული კომისია.

— **თიანეთ-თბილისის** შორის გაყვანილ გზაზე ხიდების ასაგებათ გადაიდო 23.000 მან.

— **წყაროების აღდგენა.** დაიწყო გოგირდის აბანოების რაიონში დაბანდულ გოგირდის წყაროების აღდგენა. ერთ-ერთი წყარო გამოყვანილი იქნება მირზოევისეულ აბანოში.

— **მედპერსონალის აღრიცხვა.** სტატისტიკური განყოფილება შეუდგა მედპერსონალის ხელახალ აღრიცხვას.

— **ზაჰესი.** სააღმშენებლო მუშაობა ზაჰესის მოსაწყობათ სავსებით დამთავრებულია.

— **სახტუმროებიდან** გასულ თვეში აღმასკომს შემოუვიდა 4670 მან.

ჯანმრთელობის გამოკვლევა

შრომის სახ. კომისარიატში შესდგა სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს სხდომა, რომელზედაც გაირჩა ქალთა განყოფილების და საბჭოთა მოსამსახურეების კავშირის მიერ წამოყენებული საკითხი ხელით საბეჭდ მანქანაზე მომუშავეთა პირობებისა და ჯანმრთელობის გამოკვლევის შესახებ. საბჭომ დაადგინა ახლო ხანში შეუდგენ აღნიშნულ დარგის მომუშავეთა შრომის პირობების გამოკვლევას. გამოკვლევის მოხდენა დაევალა საბჭოთა მუშაკების პროფკავშირს სანიტსექციის ხელმძღვანელობით.

ამავე დროს პროფსნეულების პოლიკლინიკას დაევალა მემანქანეთა ჯანმრთელობის შემოწმება, ფსიხო-ტეხნიკური გამოკვლევის ჩატარება დაევალა ექ. სკოროდუმოვს.

პროფსაბჭოს პლენუმი

პარასკევს, პირველ ოქტომბერს, საღამოს ექვს საათზე, მუშათა ცენტრალურ კლუბში (პლეხანოვის პროსპექტი № 123) თბილისში არსებულ კავშირების ცენტრალურ გამგეობათა და ფაბ.-ქარხადგილკომების წევრთა თანდასწრებით მოწვეულია საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მეხუთე მოწვევის მესამე სესია (პლენუმი).

დღის წესრიგშია: 1. ინფორმაცია პრეზიდიუმის მუშაობაზე (მომხს. ამხ. გ. ყურულიშვილი), 2. საქართველოს ბიუჯეტი (მომხს. ამხ. მგალობლიშვილი), 3. საქართველოს მომავალი წლის საწარმოო და სააღმშენებლო გეგმები (მომხს. ამხ. ინჟ. ბ. ჭიჭინაძე) და 4. სატარიფო საკითხები

მარგანეცის ექსპორტი

„საქართველოს მარგანეცი"-ს კონცესიის მეთვალყურე სამმართველოს ცნობების თანახმად, სექტემბრის პირველ ნახევარში საზოგადოებამ საზღვარ-გარეთ გაიტანა სულ 822 ტონა მარგანეცი.

სასწრაფო დახმარება

ახლო ხანში შრომის კომისარიატის და ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის წარმომადგენლები შეიმუშავებენ დებულებას წარმოებებში მომხდარ უბედურ შემთხვევათა დროს სასწრაფო დახმარების აღმოჩენის შესახებ.

ამის შესახებ დამუშავებული იქნება სამკურნალო დახმარების საერთო-საორგანიზაციო გეგმა მთელი რესპუბლიკისათვის.

„დორნიე-მერკურის" გაფრენა

გუშინ, შუადღის 2 საათზე, ჰაეროპლანი „დორნიე მერკური", რომელიც მოსკოვიდან მოფრინდა თბილისში კავკასიის ქედით, თბილისის აეროდრომიდან გაფრინდა ბაქოში, შემდეგ—ხარკოვში.

„დორნიე მერკურზე" გაფრინდენ: უკრაინის საჰაერო მიმოსვლის დირექტორი იუნგმეისტერი, იმავე საზოგადოების გამგეობის წევრი კალნმანსონი, „დორნიე-მერკურის" კონსტრუქტორი დორნიე, „დორნიე და კომპ". ფირმის ჰაეროპლანების ქარხნების დირექტორი მილიატცი, ავიატორები მელნიკოვი და ბუაზი.

საბინაო მშენებლობა

— **ამხანაგობები.** ამჟამად თბილისში არსებობს 17 საბინაო-სააღმშენებლო ამხ-ბა.

— **საბინაო მშენებლობის** დამხმარე კომიტეტი მომავალ წელს საბინაო-მშენებლობაზე დახარჯავს 700.000 მან.

ჯანმრთელობის კომისარიატში

— **საჩვენებელ საავადმყოფოებს** წინადადება მიეცათ პირველ რიგში მიიღონ მაზრებიდან ჩამოსული უღარიბესი გლეხები და დაზღვეულები.

— **საექიმო დახმარება.** დაზღვეულთა საექიმო დახმარების ქვეგანყოფილებამ წინადადება მისცა ქუთაისის საექიმო დახმარების განყოფილებას საჯავახოს ხიდზე მომუშავეთათვის ადგილობრივ მოაწყოს საექიმო დახმარების საქმე.

— **პროფსნეულების პოლიკლინიკის** საზიმო გახსნა მოხდება ოქტომბრის პირველ რიცხვებში.

შრომის სახ. კომისარიატში

— **გამოკვლევა.** სანიტსექციამ დაამთავრა თონეებში მომუშავეთა შრომის პირობების გამოკვლევა. აღმოჩენილ დეფექტების გამოსასწორებლად მიღებულია მთელი რიგი ზომებისა.

— **შრომის დაცვის** განყოფილებამ შეიმუშავა შრომის დაცვის ახალი გეგმა, რომელიც შეტანილი იქნება კოლექტიურ ხელშეკრულებებში. კოლექტიურ ხელშეკრულების ხელახალი დადება დაიწყება ოქტომბრიდან.

— **ლაბორატორია.** შრომის კომისარიატთან მოეწყო შრომის ჰიგიენის ლაბორატორია.

— **პროფტეხნიკურ კურსებზე** შრომის კომისარიატის დადგენილებით, შემოღებული იქნება ჰიგიენის სავალდებულო სწავლება.

— **ლექცია.** შაბათს, 2 ოქტომბერს, ქ. ცენტრალურ სამკურნალოს დარბაზში საღამოს 7 ½ საათზე შესდგება პოპულარული ლექცია შემდეგ თემაზე: „ვენერიული ავადმყოფობა და ბრძოლა მასთან". შესვლა უფასოა.

ხელოვნების ქრონიკა

ხელოვნება

— **სატირის თეატრი.** მომავალ სეზონში თბილისში გაიხსნება სატირის თეატრი.

— **კომპოზიტორ სპენდიაროვის** იუბილე გაიმართება ერევანში 3 ოქტომბერს.

— **შაიარტუნთან** არსებულ მუსიკალურ სტუდიაში მეცადინეობა დაიწყება 1 ოქტომბრიდან.

— **საბავშვო თეატრი.** განზრახულია წელს თბილისში გაიხსნას საბავშვო თეატრი.

— **„ხანუმას"** ჩვენება დაიწყება ხვალიდან. სურათი წავა ერთდროულად ორს 3 კინოში: „აპოლოში", „სოლეიში" და „არფესტიში".

— **„მამაკაცის ბედი".** ამ დღეებში კინო მინიონში დაიწყება ახალი სურათის—„მამაკაცის ბედი"-ს ჩვენება.

— **პროლეტარულ მწერალთა კავშირში** დღეს, ხუთშაბათს, საღამოს 6 საათზე, ხელოვნების სასახლეში შესდგება საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის გამგეობის პრეზიდიუმის სხდომა.

უნდა დაესწრონ: ამხ. ამხ. თოდრია, ბელიაშვილი, ზომლეთელი, კრეიტანი, ვართანიანი, ნადირაძე, დუდუჩავა, მაშაშვილი, ვაკელი, ეული და რადიანი.

— **ხარეპერტუარო კომისიაში.** განათლების სახალხო კომისარიატთან არსებულ სახელოვნო განყოფილების სარეპერტუარო კომისიის შემადგენლობაში შედის აგრეთვე რეჟისორი კ. მარჯანიშვილიც.

საბჭოთა სასამართლო

რკინისგზელთა საქმე

29 სექტემბრის დილის სხდომა

გუშინ დილის სხდომაზე გრძელდებოდა მოწმეების დაკითხვა.

დაკითხულ იქნა მოწმე **კიკიანი** (თბილისის სადგურის მოლარე-პრაქტიკანტი).

კიკიანის ჩვენება

მოწმე აჩვენებს, რომ ის აწარმოებდა ბრალდებულ თოფურიას სალაროში ბილეთების ნუმერაციის აღნიშვნას. საერთოდ, ბილეთების გაყიდვას ის არ აწარმოებდა.

სასამართლოს პროცესზე ბრალდებულმა თოფურიამ განაცხადა, რომ მის სალაროში მუშაობდენ პრაქტიკანტი მოლარეები და, შესაძლებელია, რომ მის ანგარიშებში ვინმემ განზრახ შეიტანა შესწორებები. ამის შესახებ მოწმეს მისცეს მთელი რიგი შეკითხვები.

ბრალდებულმა თოფურიამ განიმეორა სასამართლოს კვლევა-ძიების დროს მიცემული ჩვენება და დასძინა რომ კერძოთ კიკიანზე არავითარი ეჭვები არა აქვს.

მან განაცხადა აგრეთვე, რომ კიკიანი ბილეთების გაყიდვას ზოგიერთ შემთხვევაში კი აწარმოებდა.

ამის შემდეგ დაკითხულ იქნა მოწმე **სიმანაური** (მენიხრე).

სიმანაურის ჩვენება

ამ მოწმის დაკითხვას არავითარი ახალი გარემოება არ შეაქვს საქმეში. ის იმეორებს წინასწარი გამოძიების დროს მიცემულ ჩვენებას.

დაკითხულ იქნა აგრეთვე მოწმე **სანაკოევი** (სამგზავრო ნაწილის უფროსი).

სანაკოევის ჩვენება

მოწმე უამბობს სასამართლოს. რომ მასთან სამსახურში მივიდა მენიხრე მერაბიშვილი და უთხრა, რომ სამგზავრო ნაწილში ბევრი ბოროტმოქმედებები ხდებაო.

მოწმე აღნიშნავს, რომ მასთან მივიდა აგრეთვე ბრალდებული ნინა ბასიშვილი, რომელსაც აღელვება ეტყობოდა. ეს იყო იმ დროს, როცა მენიხრე მერაბიშვილმა გადაათვალიერა ბასიშვილის სალაროს ანგარიშები და აღმოაჩინა 450 მანეთის გასამართლებელი საბუთების დანაკლისი. ამ ლაპარაკს დაესწრენ ვარდანაშვილი, დეკაპრილევიჩი და სხ. ვარდანაშვილმა სთქვა: „თუ მენიხრემ ბასიშვილის ანგარიშებში აღმოაჩინა დამატებითი ანგარიშების უქონლობა, მაშინვე უნდა შეედგინა სათანადო ოქმიო". მაშინ მან (მოწმემ) ვარდანაშვილს შენიშვნა მისცა.

შემდეგ მოწმემ უამბო სასამართლოს, რომ სამგზავრო ნაწილში თანამშრომლები სამსახურისადმი გულგრილობას იჩენდენ.

საღამოს სხდომა

გუშინ საღამოს სხდომაზე დაკითხულ იქნა მოწმე მერაბიშვილი (მენიხრე).

მერაბიშვილის ჩვენება

მოწმის დაკითხვა დიდ ინტერესს იწვევს. ის დაწვრილებით აცნობს სასამართლოს იმ წესებს, რომელიც თბილისის სადგურის სალაროებში არსებობდა. ლაპარაკობს, თუ როგორ იქნა აღმოჩენილი ყალბი ანგარიშები ბრალდებულ თოფურიას და ბასიშვილის სალაროებში.

მოწმე უჩვენებს, რომ იყო შემთხვევები საბუთების დაკარგვის.

ამის შემდეგ მოწმეს აძლევენ მთელ რიგ შეკითხვებს.

მოწმეების დაკითხვა გრძელდება.

ბოროტმოქმედება შავი-ქვის წარმოების სამმართველოში

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს უფროსი გამომძიებელი ამხ. საავგვი შეუდგა წინასწარ გამოძიებას შავი-ქვის წარმოების სამმართველოს თანამშრომელთა საქმეზე.

პასუხისგებაშია მიცემული მოლარე **ლევან წერეთელი** და ბუღალტერი **პავლე ხითარიშვილი.**

წერეთელი და ხითარიშვილი წინასწარი შეთანხმებით მოქმედებენ სახაზინო ფულების მითვისების საქმეში.

წერეთელს ბრალდება 8.000 მანეთის მითვისება, ხოლო ხითარიშვილს კი წერეთლის მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებაში მონაწილეობის მიღება. ბრალდებულები ბოროტმოქმედების კვალის დასაფარავად არიგებდენ ყალბ საბუთებს.

ხითარიშვილი დაპატიმრებული იქნა ბოროტმოქმედების აღმოჩენისთანავე. ხოლო წერეთელი კი მიიმალა. წერეთელი მას შემდეგ გამოჩნდა, როცა მისმა თავდებებმა დაფარეს 8.000 მანეთი.

წინასწარი გამოძიება ამ დღეებში დასრულდება.

მკვლელობა

გუშინ, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. ი. გაბუნიას თავმჯდომარეობით, სახალხო მსაჯულების: ა. გრიგორიანის და დ. ჯავახიშვილის და პროკურორ ბარამიძის მონაწილეობით გაირჩა თბილისის მაზრის მცხოვრებ ალიხან ყურბან-ოღლის საქმე.

ყურბან-ოღლის ბრალდებოდა **მუსტაფა-ოღლის** მოკვლა.

1926 წ. 28 აპრილს, ბრალდებულმა თავის ყანაში ნახა, რომ მუსტაფა-ოღლი საქონელს აძოვებდა.

ამ ნიადაგზე მათ უსიამოვნება მოუვიდათ. ბრალდებულმა დანით რამოდენიმე ჭრილობა მიაყენა მუსტაფა-ოღლის. ამ ჭრილობისაგან ის გარდაიცვალა.

გუშინ სასამართლოს პროცესზე ბრალდებულმა განაცხადა. რომ მან მკვლელობა ჩაიდინა თავდაცვის მიზნით და არ ჰქონდა წინასწარი განზრახვა მოეკლა მუსტაფა-ოღლი.

სასამართლომ სცნო, რომ ბრალდებულმა მკვლელობა ჩაიდინა აღელვების ნიადაგზე, რისთვისაც მიუსაჯა მას სამი წლით თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ მხედველობაში მიიღო ბრალდებულის სოციალური მდგომარეობა და სასჯელი შეუმცირა ერთი წლით.

შემთხვევები

საზიზღარი მკვლელობა

სოფ. თოხლიაურში (საგარეჯოს თემი) მოქ. ქაროშიძემ აღმოაჩინა თავის ჭურში ჩაფლული ადამიანის გვამი; გვამი გახრწნილია; ვინაობის გამოკვლევა არ მოხერხდა.

საექიმო შემოწმებით გამოირკვა, რომ ჭურში ადამიანის გვამი ინახება ერთ წელზე მეტი. მკვლელის ვინაობა გამოურკვეველია.

გაფლანგველის დაპატიმრება

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა მოქ. მასტიჩკი.

მასტიჩკის ბრალდება 900 მანეთის მითვისება სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ლი-

ნოუენკოს საქმე

მეორე უბნის სახალხო სასამართლომ განიხილა რა **კონსტანტინე ნოუენკოს** საქმე, რომელსაც ბრალდებოდა ქურდობა, დაადგინა: საკმაო მასალის უქონლობის გამო საქმე მოსპობილ იქნეს.

— **თვითმკვლელობა.** 28 სექტ. ერწოს თემში თოფით თავი მოიკლა პეტრე ჭრელაშვილმა.

— **დაჭრა.** სოფ. კვერნაულში ლექსო წიკლაურმა ცულით მძიმეთ დაჭრა ქერაული.

—**ქალის გატაცება.** სოფ. მელიას ხევში ივანე პატაშვილს თავს დაესხა შაქრო წიკლაური, იოსებ ოსეპაშვილის, კიკა და არჩილ ჯაბაგიძის თანხლებით პატაშვილთან სტუმრათ მყოფ ნათესავ ქალის მოსატაცებლად. ბოროტმოქმედნი შეიპყრეს.

— **ჩოდრიშვილის სახელობის კლუბიდან** მოიპარეს 300 მ. ნივთები. ქურდი რამახაშვილი დააპატიმრეს.

— **მე-7-ე შრომის სკოლიდან** მასწავლებელ აზოტ ლორთქიფანცს მოპარეს პალტო.

— **სავაჭროს გაქურდვა.** 28 სექტ. ჩერქ. ქ., № 89, გაქურდეს მესხიშვილის სავაჭრო.

— **მორგებული გასაღების** საშუალებით გალაქტიონ ხუცუბერიძის ბინიდან მოიპარეს 200 მ. ნივთები.

— **სახელოსნოდან.** 28 სექტ. პლეხანოვის პრ. № 17, ბიქტორ შალამბერიძის სახელოსნოდან მოიპარეს 235 მ. ნივთები.

— **ქურდობა.** 28 სექტ. კამოს ქ., № 71, გაქურდეს ეკატერინე საბადაშვილის ბინა.

ფეხბურთი

მოსკოვი—თბილისი

დღეს, ნაშუადღევის 4 საათზე, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართება მოსკოვის ფეხბურთელთა გუნდ „რუსკაბელ"-ის და თბილისის ნაკრები გუნდის შეჯიბრი.

ვინაიდან თბილისს ამჟამად აკლია რამოდენიმე ძლიერი მოთამაშე (პაპკოვი, ფრუიძე, გუნია, ჟორდანია, მდივანი). ამიტომ ფიზკულტურის თბილისის საბჭომ მოსკოველების წინააღმდეგ სათამაშოთ გამოჰყო მეორე ნაკრები გუნდი.

შემადგენლობა ასეთია: **ბალდოევი, ფოჩხუა, ბლანკმანი, გოძელი, ანიკინი, იმნაძე, პარამონოვი, სოლტანი, გალპერინი, ვაჩნაძე** და **ქიბაძე.**

სათადარიგო მოთამაშენი: **დ. ცომაია, ხევსურიანი, ფედოროვი და ვლ. ცომაია.**

მსაჯათ იქნება მოსკოვის გუნდის წარმომადგენელი.

ა.-კ. ნაკრები გუნდის გამარჯვება

ამიერ-კავკასიის ფიზკულტურის უმაღლესმა საბჭომ მოსკოვიდან მიიღო დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია, რომ ამიერ-კავკასიის ფეხბურთელთა ნაკრებმა გუნდმა დაამარცხა რუსეთის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი—ორეხოვო-ზუევის ნაკრები გუნდი (2:1) და გაემგზავრა ფინეთში.

გუნდის შემადგენლობა ასეთია: **მეკარე—პაპკოვა, ბეკები—ფრუიძე და კოსენკოვი (სათადარიგო ბეკი—მარახტანოვი), ხავბეკები—ჟორდანია, მდივანი და გასპაროვი (სათადარიგო—პანდელოვი და ივანოვი). ფორვარდები: სოროკინი, გუნია, ფაჩულია, პოეპეტაინოვი და აბაშიძე.**

ახალი გუნდი

ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარის რწმუნებულის სამმართველოსთან დაარსდა ფეხბურთელთა გუნდი, რომელიც უკვე შეუდგა სისტემატიურ ვარჯიშს.

ბიბლიოგრაფია

ინჟ. ვ. კაკაბაძე—ქიმიური მრეწველობის მნიშვნელობა და მისი პერსპექტივები საქართველოში. საქართველოს ტეხნიკური საზოგადოების გამოცემა. 194 გვ.

დღეს, როდესაც მთავარი ყურადღება ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისაკენ არის მიმართული, სადღეისო საკითხს წარმოადგენს მრეწველობის განვითარების ცალკე საკითხთა გათვალისწინება, დამუშავება და მრეწველობის სხვადასხვა დარგთა საფუძვლიანი შესწავლა, როგორც ტეხნიკური. ისე ეკონომიური თვალსაზრისით; ასეთი შესწავლა, ეჭვს გარეშეა, დაკავშირებული უნდა იქნეს ჩვენს სინამდვილესთან და იმ პერსპექტივების სწორ გათვალისწინებასთან, რომელსაც ჩვენში არსებულ ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოყენება და გადამუშავება გვიშლის.

მრეწველობის ამ დარგთა შორის ჯეროვანი ყურადღების ღირსია ქიმიური მრეწველობა. რომელიც თანდათან დიდი მნიშვნელობის მქონე ხდება არა მარტო სამეურნეო, არამედ სამხედრო თვალსაზრისითაც. ზევით აღნიშნული წიგნი მრეწველობის ამ დარგის განხილვისადმია მიძღვნილი;მისი მიზანია „ქიმიური მრეწველობის მნიშვნელობის და საქართველოში მისი პერსპექტივების მოკლედ გათვალისწინება". ავტორი ამ საკითხების გასაშუქებლად ფრიად საყურადღებო მასალებს გადმოგვცემს. წიგნის შესავალში ის გვაცნობს ქიმიის მნიშვნელობას და იმ განვითარებას, რომელსაც ქიმიურმა მრეწველობამ მიაღწია უკანასკნელ ხანებში; ამასთან ავტორი კონკრეტულ ღონისძიებებსაც ასახელებს, რომელთა საშუალებით უნდა მოხდეს ჩვენში ქიმიური მრეწველობის ჩასახვა და განვითარება.

ამ ზოგადი მნიშვნელობის შემდეგ ავტორი იწყებს ქიმიური მრეწველობის ცალკე დარგთა მნიშვნელობის და განვითარების შესაძლებლობათა გათვალისწინებას. უპირველესად გოგირდის ქანგის მრეწველობაა განხილული, რომლის დროსაც თვალსაჩინოდ არის გადმოცემული გოგირდქანგის წარმატება და მისი მრავალმხრივი გამოყენება. გოგირდქანგის მიღების მოკლე ისტორიული განხილვის შემდეგ, ავტორი გვაცნობს მისი მიღების სხვადასხვა ხერხებს, რომლის დროსაც ასახელებს გოგირდქანგის ქარხნის აგებისათვის საჭირო მასალებს, რომელთაგანაც ავტორის გამოკვლევით, უმთავრესი მასალები ჩვენშიაც მოინახება.

ქიმიური მრეწველობის შემდეგი დარგი, რომელსაც ავტორი იხილავს.—ეს არის გვარჯილქანგი და მისი ნაწარმოები. გვარჯილქანგის მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია სასოფლო მეურნეობაში, მაგრამ მასზევეა აგრეთვე დამოკიდებული სახელმწიფოს სამხედრო ძლიერებაც. მრეწველობის ამ დარგის განსავითარებლად, ავტორის აზრით, ჩვენში სრული შესაძლებლობა არსებობს, განსაკუთრებით, იაფი ენერგიის გამოყენების მხრივ. ტუტეების და მათი ნაწარმოების განხილვისა და ჩვენში არსებულ საბადოების მოკლე აღნუსხვის შემდეგ. ვრცლად არის განხილული სასუქი ნივთიერებანი. რომელთაც სასოფლო მეურნეობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა მიეცათ ი. ლიბიხის გამოკვლევების შემდეგ. ავტორი მოკლედ, მაგრამ საკმაოდ თვალსაჩინოდ არკვევს მცენარეთა კვების საკითხს და უკავშირებს მას ნიადაგის განოყიერებას, რის შემდეგ იხილავს ბუნებრივ და ხელოვნურ სასუქთა ცალკე სახეებს; გზადაგზა ავტორი ჩვენში არსებულ სასუქებს და მათ გამოყენების შესაძლებლობასაც ეხება.

საკმაოდ ვრცლად არის განხილული ნავთის მრეწველობა და მისი ნაწარმოები, რომლის დროსაც მოკლედ არის გადმოცემული სხვადასხვა ქვეყნის ნავთის ადგილების მოკლე დახასიათება; უფრო დაწვრილებით ჩერდება ავტორი საქართველოს ნავთიან ადგილებზე. მოკლე, მაგრამ საყურადღებო მიმოხილვაა მიძღვნილი ქვანახშირის მრეწველობის საკითხისადმი; ავტორი აღნუსხავს ქვანახშირის გამოყენების სხვადასხვა სახეებს და ქვა - ნახშირის ნაწარმოებთა მიღებულ წესებს, რის შემდეგაც აღწერს საქართველოში არსებულ ქვანახშირის ორ მთავარ საბადოს: ტყიბულისა და ტყვარჩელისას. წიგნი თავდება ხის მასალის ქიმიური გადამუშავების მიმოხილვით, რომელშიც ავტორი თვალსაჩინოდ ხდის იმ დიდ სარგებლიანობას. რომლის მიღებაც შეგვეძლო ხის გადამუშავებით.

როგორც შინაარსის გაკვრითი მიმოხილვა გვიჩვენებს, წიგნში ქიმიური მრეწველობის არსებითი დარგებია განხილული, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ჩვენი სახალხო მეურნეობისთვის; მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ქიმიური მრეწველობის მნიშვნელობის და განვითარების საერთო მიმოხილვის დროს ავტორი ზოგჯერ მოკლებული მასალებით სარგებლობს; ფაქტების და ციფრების სიახლე, ეჭვს გარეშეა, გაამდიდრებდა წიგნის შინაარსს. ამასთან ავტორს ქიმიური მრეწველობის აღნიშნულ დარგთა განვითარება ჩვენში, ტეხნიკური თვალსაზრისით სავსებით შესაძლებლად მიაჩნია. მაგრამ საამისო ეკონომიური მომზადებას ის იშვიათად ასახელებს; ცხადია, რომ ქიმიური მრეწველობის განვითარების პერსპექტივების გათვალისწინების დროს, შეუძლებელია სახელმძღვანელოდ არ იქნეს აღებული ეკონომიური პრინციპი, რომლის თანახმად ერთგვარ ხელსაყრელად არიან მისაჩნევი ყველა იმ დარგების განვითარება, რომელნიც ტეხნიკურად სავსებით შესაძლებელნი არიან.

წიგნი, ეჭვს გარეშეა, საგრძნობ სამსახურს გაგვიწევს ჩვენში ქიმიური მრეწველობის განვითარების ცალკე საკითხთა გათვალისწინების დროს და მისი გაცნობა აუცილებელი იქნება ყველა მათთვის, ვინც კი საქართველოს მრეწველობის განვითარების საკითხებით იქნება დაინტერესებული. გარეგნულად წიგნი კარგად არის გამოცემული; დართული აქვს სურათები (პროფ. მელიქიშვილის, ლიბიხის და სხვ.) და ღირს 1 მანეთი.

გ.—ე.

ნარევი

კინო-გაფიცვა

ჰოლივუდში და ამერიკის სხვა კინო-ცენტრებში გაიფიცნენ კინო-მსახიობები. გაფიცული არიან უმთავრესად მეორე ხარისხოვანი მსახიობები. „კინო-ვარსკვლავები" გაფიცვაში მონაწილეობას არ იღებენ. გაფიცულები მოითხოვენ მტკიცე ხელფასს და სიცოცხლის დაზღვევას უბედური შემთხვევებისაგან. „მუშათა ტრიბუნა"-ს ცნობით, გაფიცულებმა რამდენიმეჯერ ცემეს შტრეიკბრეხერებს.

საეკლესიო ტრესტი

ასეთი ტრესტი დაარსდა ამერიკაში, მის ამოცანას შეადგენს არა მარტო ეკლესიების აგება, არამედ „წმინდა" ნივთების მიწოდება ამ ეკლესიებისათვის. „წმინდა" ნივთებს იძენენ უმთავრესად საბერძნეთის, პალესტინისა და სხვა სახელმწიფოების გაძარცვულ მონასტრებში და ეკლესიებში. ამ რამდენიმე ხნის წინათ ტრესტმა საზღვარ-გარეთ შეიძინა სხვადასხვა დროის მთელ რიგ „წმინდანების" ნეშტები, რომლებიც ცალკე გემით გადაიტანეს ნიუ-იორკში.

რა სურს მკითხველებს?

ამერიკულმა საგაზეთო ტრესტმა, რომელშიც ორმოცამდე გავრცელებული გაზეთი შედის, ამ რამდენიმე ხნის წინათ თავის მკითხველებს დაუგზავნა ანკეტები კითხვით: „რა სურს მკითხველებს და რა ინტერესებს მათ ყველაზე უფრო". პასუხი ათასვარი იქნა მიღებული, მაგრამ ერთი მათგანი, რომელსაც ხელს აწერდა „ლითონის კომპანიის" 7.000 მუშა, არ იქნა მოთავსებული „მუშათა ყოველკვირეული ჟურნალი" ცნობით ეს პასუხი ასეთი იყო: „ჩვენ გვსურს ვიხილოთ ერთი მაინც მოუსყიდავი და უანგარო რედაქტორი და მოვისმინოთ სიმართლე საბჭოთა კავშირის შესახებ"

შეშლილი უნივერსიტეტში

გაზ. „ნიუ-იორკ-ტაიმს"-ის ცნობით, ბოსტონის უნივერსიტეტში შეშლილების ჩვენების დროს, ერთი შეშლილი ხელიდან გაუსხლტა მოსამსახურეებს, წაავლო ხელი მაგიდაზე დადგმულ ბოთლს ქიზაფით და ესროლა სტუდენტებს. ქიზაფით სავსე ბოთლი დარჩენილიყო მაგიდაზე ქიმიის გაკვეთილის შემდეგ. დაშავდა 11 სტუდენტი.

ცეცხლი ზოოლოგიურ ბაღში

ლონდონის ზოოლოგიურ ბაღში გაჩნდა დიდი ხანძარი. გამოურკვეველი მიზეზების გამო ცეცხლი წაეკიდა გალიებს, რომლებშიც ისხდნენ ტროპიკული ქვეყნების ფრინველები.

ალიუმინის ნავები

ინგლისის საზღვაო სამინისტროს განკარგულებით მთელს ინგლისის ფლოტში მომავალი წლის პირველი იანვრიდან შემოღებული იქნება ალიუმინის მშველელი ნავები. ეს განკარგულება გამოწვეულია იმით, რომ ხის ნავები ხმება, ფიცრები შორდებიან ერთმანეთს და უშვებენ წყალს. ალიუმინის ნავები კი მეტ ხალხს იტევს, არ ფუჭდება და უფრო მსუბუქია.

საქეიფო ჰაეროპლანები

ნიუ-იორკში პირველად მთელ მსოფლიოში იქნა ხმარებაში საქეიფო ჰაეროპლანი-რესტორანები. თითო ჰაეროპლანი იტევს 15 მგზავრს. ჰაეროპლანის ცენტრალურ ოთახში მოწყობილია რესტორანი და სცენა, სადაც იმართება კაბარე. ჰაეროპლანზე მოწყობილია ელექტრონული სამზარეულო. რასაკვირველია,—როგორც „მუშათა ტრიბუნა" აღნიშნავს,—ამ ჰაეროპლანებით მხოლოდ მოქეიფე ბურჟუაზია სარგებლობს.

არხი ორ ზღვას შუა

რამდენიმე ინგლისელმა ინჟინერმა წარუდგინა სპარსეთის მთავრობას კასპიის ზღვისა და ინდოეთის ოკეანეს შეერთების პროექტი. არხში, რომელიც გაყვანილ იქნებიან მდინარეებით სეფიდ რუდ და და დიალით, ივლიან დიდი საოკეანო გემები. გაზ. „ტაიმს"-ის ცნობით, სპარსეთის მთავრობას განზრახვა აქვს დაიწყოს მუშაობა ამ არხის გასაყვანად.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

სამაზრო და სათემო სადასაზღვეო თათბირთა და დამზღვევ ორგანიზაციის რწმუნებულთა შესახებ

გლეხობისა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების სასოფლო - საგანაკვეთო დაზღვევის საქმეში ჩაბმისათვის საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ყოველ სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტთან მოეწყობა, მაზრის აღმასკომის თავმჯდომარისა ან იმავე აღმასკომის წევრის თავმჯდომარეობით, სამაზრო სადასაზღვეო თათბირი. ამ თათბირში სახელმწიფო დაზღვევის სათანადო ორგანოს წარმომადგენლის მონაწილეობა სავალდებულოა.

აღმასკომის თავმჯდომარისა და დამზღვევ აგენტის გარდა, თათბირის შედგენილობაში შევა: კომუნალური განყოფილებისა, საადგილ-მამულო განყოფილებისა, სასოფლო- სამეურნეო კოოპერაციისა და საურთიერთო დახმარების კომიტეტის თითო წარმომადგენელი და აგრეთვე აგრონომი და ექიმი — ვეტერინარი.

2. სამაზრო სადასაზღვეო თათბირი მოიწვევა სამს თვეში ერთხელ მაინც თავმჯდომარის განკარგულებით, ხოლო აუცილებელ შემთხვევაში სახელმწიფო დაზღვევის ადგილობრივი წარმომადგენლის შუამდგომლობითაც, სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის მეშვეობით.

3. თათბირის სხდომებისათვის შედგენილ უნდა იქნეს ჟურნალი, სადაც აიწერება თათბირის დადგენილება ყველა მის მიერ განხილული საკითხის გამო.

შენიშვნა: უკეთუ თათბირის ესა თუ ის წევრი თათბირის დადგენილების თანახმა არ იქნება, მან თავის განსაკუთრებული აზრი წერილობით უნდა წარადგინოს სამის დღის განმავლობაში ან იქვე, სხდომაზე მოითხოვოს ამ აზრის სხდომის ჟურნალში შეტანა.

4. სამაზრო სადასაზღვეო თათბირს დაეკისრება:

ა) შეიტანოს, რესპუბლიკანური სადასაზღვეო კანტორის მეშვეობით, სადასაზღვეო საბჭოში განსახილველად სხვადასხვა პროექტი და წინადადება სავალდებულო დაზღვევის საკითხების შესახებ;

ბ) განიხილოს საგადანაკვეთო ნორმების (სადასაზღვეო თანხები) პროექტები სავალდებულო დაზღვევისათვის, თანაც მხედველობაში იქონიოს ადგილობრივი სამეურნეო თავისებურობანი და თემების სადაზღვეო თათბირის მოხსენებებში გამოთქმული წინადადებანი;

გ) გაანაწილოს სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევის გეგმით მოსახლეობისათვის მიკუთვნებული შეღავათები და შეადგინოს სათანადო ინსტრუქციები;

დ) წინასწარ შეიმუშაოს იმ ღონისძიებათა გეგმა, რითაც შეიძლება ბრძოლა გაეწიოს და წინასწარ თავიდან აცილებულ იქნეს დაზღვევით გათვალისწინებული შემთხვევები და წარუდგინოს იგი შინაგან საქმეთა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს.

ე) განიხილოს სათემო თათბირების პროექტები, წინადადებანი და შუამდგომლობანი.

5. ყოველი თემის აღმასკომთან მოეწყობა, თემის აღმასკომის თავმჯდომარისა ან იმავე აღმასკომის წევრის თავმჯდომარეობით, სათემო სადასაზღვეო თათბირი. ამ თათბირში დამზღვევი აგენტის მონაწილეობა სავალდებულოა.

ზემოაღნიშნულ პირებს გარდა, თათბირის შედგენილობაში შევლენ: აგრონომი და ექიმი—ვეტერინარი, (უკეთუ უწყებულ თემს ისინი ჰყავს) და აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისა და საურთიერთო დახმარების კომიტეტის წარმომადგენელნი;

6. სადასაზღვეო სათემო თათბირი მოიწვევა საჭიროებისდა მიხედვით, თავმჯდომარის ან დამზღვევი აგენტის განკარგულებით ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის მეშვეობით.

7. თათბირის სხდომისათვის შედგენილ იქნება ჟურნალი, სადაც ჩაიწერება თათბირის დადგენილებანი ყოველი მის მიერ განხილული საკითხის გამო.

შენიშვნა: უკეთუ თათბირის ესა თუ ის წევრი თათბირის დადგენილების თანახმა არ იქნება, მან თავისი განსაკუთრებული აზრის წერილობით უნდა წარადგინოს სამი დღის განმავლობაში ან იქვე. სხდომაზე უნდა მოითხოვოს ამ აზრის სხდომის ჟურნალში შეტანა.

8. სათემო თათბირს დაეკისრება:

ა) შეიტანოს თემის აღმასრულებელ კომიტეტში ან სამაზრო სადაზღვეო თათბირში—კუთვნილებისამებრ წინასწარი განხილვისათვის ყოველგვარი წინადადება და პროექტი სასოფლო საგადანაკვეთო დაზღვევის საკითხების შესახებ;

ბ) განიხილოს საკითხები იმ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ, რითაც შეიძლება ბრძოლა გაეწიოს და წინასწარ თავიდან აცილებულ იქნეს დაზღვევით გათვალისწინებული შემთხვევები,

გ) ხელი შეუწყოს ხანძრის მქრობელ მოხალისეთა ორგანიზაციების განვითარებას და აგრეთვე იმ კოოპერატიულ ამხანაგობათა მოწყობის საქმეს, რომელთა მიზანია ცეცხლის მძლე შენობების აგება;

დ) შეადგინოს მოხსენებანი სამაზრო სადასაზღვეო თათბირებისათვის დამზღვევ რწმუნებულების მიერ შეტანილ წინადადების შესახებ;

ე) მოისმინოს და განიხილოს ადგილობრივი დამზღვევი საგენტოს საინფორმაციო მოხსენებანი და ანგარიშები;

ვ) გააცნოს მოსახლეობას, განცხადებების გამოკვრით და სოფლის ყრილობებზე ახსნა - განმარტების საშუალებით, სახელმწიფო დაზღვევის შესახებ გაცემული ყველა განკარგულება და განახორციელოს იგი;

ზ) ხელი შეუწყოს დამზღვევ აგენტს დაკისრებული მოვალეობის ასრულებაში;

ი) მიიღოს ღონისძიება სადასაზღვეო გადასახადის თავის დროზე და უნარჩენოთ აკრეფისათვის;

კ) დაუყოვნებლივ აცნობოს დამზღვევ ორგანოებს ამა თუ იმ რაიონში სეტყვის მოსვლა და ეპიზოოტიის გაჩენა.

9. რათა გლეხობის ფართო მასები მჭიდროთ დაუკავშირდნენ სახელმწიფო დაზღვევის ორგანოებს, თვითეული სოფელი, სადაც მოსახლეობა 100 კომლზე ნაკლები არ არის, აირჩევს საერთო კრებაზე (ყრილობაზე) დამზღვევ რწმუნებულს.

შენიშვნა: ის სოფლები, სადაც მოსახლეობა 100 კომლზე ნაკლებია, დამზღვევ რწმუნებულის ასარჩევად ერთ ყრილობათ გაერთიანდებიან.

10. დამზღვევ რწმუნებულს უფლება აქვს:

ა) მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო დაზღვევის წარმომადგენლებთან ერთად დასაზღვევ ქონების რეგისტრაციისა და შეფასებაში, თემის საბჭოს მიერ ცალკე დამაზღვეველთა შორის შეღავათების განაწილებაში და აგრეთვე ყველა სახის სასოფლო-საგადანაკვეთო და დამატებითი სანებაყოფლო დაზღვევის ზარალის განსაზღვრაში; ხოლო დამზღვევ რწმუნებულის დაუსწრებლობა ვერ შეაჩერებს სახელმწიფო დაზღვევის წარმომადგენლის მუშაობას ზარალის გამოსარკვევად.

ბ) გაეცნოს სახელმწიფო დაზღვევის საგენტოს დოკუმენტებს, რაც ქონების რეგისტრაციასა და შეფასებას შეეხება, იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად სწორად არის გამონაგარიშებული თვითეულ დაზღვეულზე სადასაზღვეო გადასახადი, ზარალის ანაზღაურების სასყიდელი და სხვა ანგარიში.

11. აღნიშნულ უფლებათა განხორციელების დროს დამზღვევი რწმუნებული არ უნდა ჩაერიოს დამზღვევი აგენტისა და მის მიერ დანიშნულ გადასახადის ამკრეფთა საოპერაციო მუშაობაში. შენიშნულ დაუდევრობასა და უწესრიგობას დამზღვევი რწმუნებული აცნობებს თავის აღმასკომს და დამზღვევ აგენტს. ხოლო ამ უკანასკნელის უკანონო მოქმედებას იგი შეატყობინებს სახელმწიფო დაზღვევის სათანადო ორგანოებს.

12. საგადანაკვეთო დაზღვევის გეგმით მოსახლეობისათვის დაწესებული შეღავათები შეფარდებული იქნეს ამა თუ იმ რაიონის მეურნეობის ძალღონისა და სხვა პირობების მიხედვით, რასაც გავლენა აქვს მოსახლეობის გადამხდელობის უნარიანობაზე. შეღავათების შეფარდება მოხდება შემდეგი წესით:

ა) შეღავათებს ცალკე მაზრის ტერიტორიაზე გაანაწილებს სათანადო სადასაზღვეო თათბირი იმ ფარგლებში, რასაც თვითეული მაზრისათვის დააწესებს საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭო. იგივე სადასაზღვეო თათბირი შეიმუშავებს აგრეთვე ინსტრუქციას შეღავათების განაწილებისა და შეფარდების წესის შესახებ;

ბ) შეღავათებს თემის ფარგლებში გაანაწილებს სათანადო სადაზღვეო თათბირი წინა პუნქტში გათვალისწინებული ინსტრუქციის თანახმად;

გ) შეღავათებს ცალკე დამზღვეველთა შორის გაანაწილებს სათანადო დამზღვევი რწმუნებული დამზღვევ აგენტთან ერთად.

საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე—შ. ელიავა.

საქართველოს ს. ს. რ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი—ალ. სალარიძე.

1926 წ. სექტემბრის 14-ს
თბილისი—სასახლე.

რჩევა-დარიგება

გვაქვს თუ არა მიწის სარგებლობის უფლება

კითხვა

ჩვენ. გიორგი ბესელაშვილი, ივანე ბესელაშვილი და ვასო აქულაშვილი ვართ გლეხის შვილები ბორჩალოს მაზრის სოფელ ქვეშში დაბადებულნი. ამჟამად ვმსახურობთ თბილისში სხვადასხვა დაწესებულებებში და ვითვლებით ფიზიკურ მუშებად.

სოფელ ქვეშში გვქონდა ცოტა მიწა (ე. ი. ყოველ ჩვენთაგანს ოროლი დღის მამული). ვართ კავშირის წევრები და ვღებულობთ თვიურ ხელფასს—პირველი მე-9 თანრიგით—49 მანეთს, მეორე—მე-10 თანრიგით 69 მან., მესამე მე-8 თანრიგით—50 მანეთს და 50 კ., ვართ ცოლშვილიანები, ვინაიდან ჩვენ სოფელში არ იყო გატარებული მიწის რეფორმა, ამიტომ ამა წლის ივნისის დამლევს იქნა გამოწვეული მიწის მზომელი, რომელმაც თავის შეხედულობით ჩამოგვართვა მამული ვითომდა როგორც მოსამსახურეებს.

გთხოვთ ახსნა-განმარტებას, დაგვეტოვება თუ არა მამული ნახევარ-ნახევარი ნორმა როგორც ფიზიკურ მუშებს. სადაც ჩვენ არ უნდა ვცხოვრობდეთ თუ კი ჩვენ ვამუშავებთ მიწას საკუთარი შრომით და ვაქვს აგრეთვე სოფლის დადგენილება, რაც ამტკიცებს, რომ ჩვენ არ ვართ ჩამოშორებული სოფელს და ვამუშავებთ მიწას ჩვენივე შრომით.

ბესელაშვილი გიორგი, ბესელაშვილი ივანე.

პასუხი

თანახმათ მიწის კოდექსის მუხ. 67-ისა, მიწის ნახევარი ნორმა თქვენ დაგეტოვებათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი თქვენ ნამდვილად ეწევით ფიზიკურ შრომას (ეკუთვნით ფიზიკური შრომის მუშათა კატეგორიას) და ეწევით წარმოებით შრომას სახელმწიფო და კერძო საწარმოში ან დაწესებულებაში.

პარტკალენდარი

ხუთშაბათს, 30 სექტემბერს, საღ. 6 საათზე დანიშნულია საქ. კომპარტიის [illegible] საბჭოს სხდომა (ცეკას შენობა, მესამე სართული, ოთახი № 48). აუცილებელია შემდეგი ამხანაგების (საბჭოს წევრთა) დასწრება: 1) ცხაკაია მ., 2) მახარაძე ფ., 3) კალაძე რ., 4) ტოროშელიძე მ., 5) ხუმარიანი აშ., 6) ბიბინეიშვილი ბ., 7) ყურულიშვილი გ., 8) კახოიანი ას., 9) ძიგრაშვილი (კომ. ახალ. კავშ.) და 10) საყვარელიძე პ..

საქართველოს კომუნისტ. პარტიის (ბ) თბილისის **ორგანიზაციის პროპაგანდისტთა კურსების** მორიგი მეცადინეობა შესდგება დღეს, 30 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე.

ქართული ჯგუფი—აგიტ.-პროპ. მუშაკის ცენტრალურ კაბინეტში.

სომხური ჯგუფი—მე-3-ე რაიონის პარტიულ კლუბში.

რუსულ ჯგუფში მეცადინეობა არ შესდგება.

საქართველოს კომუნისტ. პარტიის (ბ) თბილისის **კომიტეტის საღრიცხვო-განმანაწილ.** განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოჩამოთვლილ ამხანაგებს სამი დღის ვადაში გამოცხადდენ თბილისის კომიტეტის საღრიცხვო-განმანაწ. განყოფილებაში ამხ. ჯანუაშვილთან: ზაქრაძე ნ. კ., გოგელია ა. რ., კაპანაძე შ., სუბოტინი ფ., გვაზავა ლავრენტი, კვაჭაძე იაგორი და ვლასოვი ნიკოლოზ.

შაბათს, 2 ოქტომბერს, საღამოს 5½ საათზე, თბილისის კომიტეტის მდივნის ამხ. **ასრიბეკოვის** კაბინეტში შესდგება ქალაქის და სოფლის კავშირის საზოგადოების **თბილისის საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა,** ქალაქის და სოფლის კავშირის საზოგადოების რაიონულ საბჭოების პრეზიდიუმების თანდასწრებით.

დღის წესრიგში: რაიონულ საბჭოების ანგარიშები და პრაქტიკულ წინადადებათა განხილვა საშეფო მუშაობათა გამოსაცოცხლებლად.

გაუბედურებული მშობლები ნესტორი და ბაბუცა, ფანჯაკიძეები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ 28 სექტემბერს გარდაიცვალა მათი ძვირფასი და საყვარელი პატარა

ეთერი

დასაფლავება ქალაქ თბილისში, კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება მალაკნის ქუჩის № 11 სახლიდან 30 სექტემბერს 3 საათზე. ღ. ნ.

ღრმად დამწუხრებულნი, გულდაწყვეტილი ბიძა საშა, მეუღლე ელეხათი, ბებია პელაგია და ბაბუა მათე ფანჯაკიძეები აუწყებენ ნაცნობ-მეგობართ და ნათესავთ პატარა

ეთერის

გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება თბილისში, კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება მალაკნის ქ. № 11 სახლიდან, 30 სექტემბერს, 3 საათზე. ღ. ჩ.

ღრმად დამწუხრებულნი: ბებია ხატალია გამსახურდიასი, ლიდია და ლავრენტი ბარკალაია, გრიშა და სონია შვილებით, კოკი და აკაკი გამსახურდიები—აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი პატარა

ეთერი ფანჯაკიძე

რომლის გამოსვენება მოხდება დღეს, ხუთშაბათს, სექტემბრის 30-ს. მალაკნის ქ. № 11, კუკიის სასაფლაოზე დღის 3 საათზე. ღ.

გულდათუთქული და თავზარდაცემული მშობლები სოფიო ტარიელის ასული და ილია როსტომის-ძე, დები ნადეჟდა, ზინა და მარგარიტა, ბებია ნინო ქავთარაძეები დასტირიან უეცრად დაკარგულს საყვარელ და მათთვის მუდამ დაუვიწყარ

ქეთინო ქავთარაძის

უეცარ გარდაცვალებას. რომლის პანაშვიდი დანიშნულია 30 სექტ. საღ. 4 ნახ. საათ. საავადმყოფოში, ხოლო პარასკევს, 1 ოქტომბერს 4 ნახ. ს. მოხდება გამოსვენება, რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოდან თბილისის რკ. გზ. სად. ქუთაისში წასასვენებლათ. ღ.

ღრმად დამწუხრებული მშობლები: დედა ოლღა ზაქარიას ასული, მამა ალექსი დავითისძე, დები: კატუშა და ფოფო, ძმები: მიხეილ და ბიქტორ, რძალი მარიამ ბითაძეები, სიძეები: ვასო ფრანჩუკი და დომენტი თარგამაძე, დეიდა ნინო მეუღლით, თედორე და შვილებით: კოლია, ქეთო, სულიკო რამიშვილები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ შაბათს, 2 ოქტომბერს გადახდილი იქნება ქ. ხაშურში წირვა და პანაშვიდი მათთვის საყვარელ და დაუვიწყარ

არჩილ ალექსისძე ბითაძის

წლის თავის აღსანიშნავად 3880

ხვალ
კინო-თეატრებში
აპოლო
სოლეი
არფასტო
მიდის ახალი სურათი

ხანუმა
(ქეთო და კოტე)

რეჟისორი ა. რ. წუწუნავა
ოპერატორი ს. პ. ზაბოზლაევი
ნ. 1831

აპოლო
არფასტო
სოლეი

სეზონის საუკეთესო სურათი
„მსწავლული უცხოელი"
გარრი პილის მონაწილეობით. ყოველდღე ანშლაგები!!!
ანონსი: 1-ლ ოქტომბრიდან „ხანუმა" (ქეთო და კოტე).

საუკეთესო სურათი
მერი პიკფორდის მონაწილეობით
„გრძელფეხებიანი ბიძია"
ანონსი: 1-ლ ოქტომბრიდან „ხანუმა" (ქეთო და კოტე).

მეორე კვირა—აუარებელ ხალხს იზიდავს!!!
„აბრეკ ზაური"
უმთავრეს როლებში: ვ. გუნია, გ. ბესტაევი, ა. თაყაიშვილი, გ. ჩეჩელაშვილი და სხვ.

სახელმწიფო ოპერა
პარასკევს, 1 ოქტომბერს
გაიმართება
თამარა წერეთლის
გამოსათხოვარი კონცერტი
მუსორგსკის კვარტეტის, მოსკოვის 4 ფულის ბალეტის და ცნობილ პიანისტ—კომპოზიტორის ბ. ა. პროზოროვსკის მონაწილეობით.
ნ. 1829 —1

ბეჭვდითი საქმის საპ. ამხან.
„ქართული წიგნი"-ს
გამგეობა აცხადებს ილია ჭავჭავაძის თხზულებებზე
თბილისის ხელისმომწერთა საყურადღებოდ,
რომ, ვისაც ჯერ არ მიუღია ხსენებული ავტორის 1 და მე-2 ტომი, შეუძლია მიიღოს ამხანაგობის კანტორიდან (ჯორჯაძის ქ- № 1) ოქტომბრის 15-დე. ამ ვადის გასვლის შემდეგ ხელისმომწერთ დაეგზავნება წიგნები ფასდადებით მათი ხარჯით, კანტორიდან კი ამ. დღიდან წიგნები აღარ გაიცემა.
მესამე (3) ტომი იბეჭდება და მალე გამოვა
3850 3—1

ქ. თბილისის მე-2 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 2 ოქტომბერს 1926 წ. დღის 12 საათზე სახლში № 16 ეტაფის ქ. **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მიხეილ მღებრიშვილის მოძრავ ქონებას: ტანისამოსის შკაფს, კამოდს და სხვადასხვა საოჯახო ნივთებს შეფასებულს 58 მანეთად, 79 კაპ. თბილისის აღმასკომის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-3-ე უბნის სახალხო სასამართლოსაგან 16 ივლისის 1926 წ. თარიღით, № 5070 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 3888

გარე-უბნის სასამართ. აღმასრულ. ქ. ოდიშარია

ამით აცხადებს, რომ ის 3 და 4-ს ოქტომბერს გაყიდის **საჯარო ვაჭრობით** ს. მარტყოფში მოძრავ ქონებას ალექსი მაკაევისას, ადამ ჩიჩიკაშვილისას და იასე ლეკიშვილისას, და ოთხს ოქტომბერს—ს. ახალსოფელში სოსიკო აზარიაშვილის თივას, ცხენს, საკერ მანქანებს, ფარდაგებს, საძოვრებს, „შიფონიერკას", ხარს და კამოდს, დასაკმაყოფილებლად მუშკოოპის სართიჭალის განყოფილების ვალისა შეფასებულს 262 მან. ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან. 3890

ლანჩხუთის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ჩხიკვიშვილი

აცხადებს, რომ რვა ოქტომბერს 1926 წ. დილის 10 საათზე, ქ. ლანჩხუთში სასამ. შენობის დარბაზში, ის გაჰყიდის **საჯარო ვაჭრობით** ლანჩხუთის ერთიან მომხმ. საზოგ. ქონებას, სახელდობრ: ერთ სართულიან სახლს, ქერაბინით დახურულს, ხუთ თვალს, აგებულს ქ. ლანჩხუთში, ელექტრ. ქ. № 23 და აწერილს ქარხნის „წითელი ოქტომბრის" ვალის დასაკმაყოფილებლათ. აწერილი ქონება შ ფასებულია ორი ათასი მანეთი და ამ თანხადან დაიწყება ვაჭრობა. ნ. 1832

ქ. თბილისის შრომის რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი ლევან არღუთინსკი

ამით აცხადებს. რომ ის 6 ოქტომბერს 1926 წ. დღის 2 საათზე სახლში № 3 კარუსელის შესახვევში საჯარო ვაჭრობით გაყიდის ისაკ ბაღდასაროვის მოძრავ ქონებას: სარკე დიდი, საწოლი, სასადილო შკაფი და სხვა სახლის მოწყობილებას შეფასებულს 300 მანეთად, ვლადიმერ ალიხაშვილის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 16 სექტემბ. 1926 წ. თარიღით, № 3612 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 3885

ამიერ-კავკასიის რკინისგზათა მმართველობა

ამით აცხადებს, რომ ამა წლის 2 ოქტომბერს, დილით 10 საათზე

თბილისის სალიკვიდაციო საწყობში

გორის ქუჩა № 3, (რკინის გზის ფარგლებში)

შესდგება

აუქციონით ვაჭრობა

შემდეგი შინაურ ნივთების გასასყიდათ: კამოდი, მაგიდები: საწერი, სასადილო, ინგლისური საწოლი, „კუშეტკა", ჭურჭლეულობის პატარა შკაფი, სკამები, ჭურჭლეულობა: სასადილო, ჩაის დასალევი და სამზარეულო (პატარა ქვაბები), ჩარჩოიანი სურათები, მატრაცები, მუთაქები და სხვა ნივთები. ნ. 1830

მოწაფეთა საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი"
(ქართულ ენაზე)
მისამართი: გაზ. „კომუნისტის"-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი № 34
0—1

ქ. ქუთაისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ვლ. კანდელაკი

ამით აცხადებს, რომ 7 ოქტომბერს დილის 10 საათზე ქ. ქუთაისში ყაზბეგის ქუჩაზე მამარდაშვილის სახლში № 19, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა: გაიყიდება სევერიანე თედორეს-ძე და ევგენია მიხეილის ასულის კუხალაშვილების მოძრავი ქონება: 1) ერთი ბუფეტის შკაფი, დაფას. 20 მან., 2) ერთი კედლის ნოხი, დაფას. 30 მან., 3) ერთი კედლის სარკე, დაფას. 20 მან. და სხვ. ალფეზ ქორქიკაშვილის ვალის დასაკმაყოფილებლად. ქონება გაიყიდება ცალ-ცალკე შეფასებული თანხიდან. ცნობების მიღება შეიძლება ჩემთან სასამართლოში. 3886

ექიმი მ. ო. ზანდუკელი
დაბრუნდა და განაახლა მიღება შინაგან და ნერვიულ ავადმყოფობის, ელექტრონით და სხივებით მკურნალობა ავადმყ. მიღება საღ. 6—7 საათამდე ლენინის ქ. (ოლღის) № 49.
73574 ტელეფ. № 4—82

ექიმი ზ. ა. ტარუმოვი
დაბრუნდა და განაახლა შინაგან და ბავშვთა სნეულების ავადმყოფთა მიღება საღ. 5—7 საათამდე. ტრიბუნალის ქ. (ყოფ. სასამართლოს) 12 ტელ 22—59. ნ. ღ.

ექიმი ი. ვ. ახმეტელი
იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს ერთი თვის განმავლობაში (20 სექტემბრიდან 20 ოქტ-დე) ქ. სიღნაღში. 3768 25—1

ექიმი ლ. ა. სარალიძე
დაბრუნდა და განაახლა შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფების მიღება დილის 9—12 ს. საღამოს 5—7 ს აბპოთა ქ. (ჩერქეზიშვილის) № 87. 25—

სასწორები
მიკროსკოპები
ტელოდოლიტები
ანალიტიკური, ხიმმერელები, ნიველირები, კიპრეგელები, არითმომეტრები და სხვადასხვა გეოდეზიური და სხ. ხელსაწყოები იყიდება. ვყიდულობ ძლიერი შტამპების პრესს და ს. ბურღავ დაზგას. ავლაბარი, რეიდიოვა, 22 ვარდისფერი მოედნიდან ნორიამდე დილის 8 ნახ. საათამდე და დღის 5 საათამდე. 3858 3—1

ექიმი-ქალი
თოფურიძე-ფანიევა
იღებს ქალთა და ბავშვთა სნეულებით დაავადებულთ. საღამოს 5-დან 7 საათამდე.
მისამართი: ლადო დუმბაძის ქ. 10 (ყოფ. ველიამინოვის ქ. ერევნის მოედნის ახლოს) ტელ. 19—12. 25—1

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო საწოლებით
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, გორანოვის ქ., № 20 548ზ5 —1

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი").
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 13—2

ექიმი
არსენ ვადაჭკორია
დაბრუნდა აგარაკიდან და ღებულობს ქალთა ავადმყოფ. და უწევს აგრეთვე სამეანო დახმარებას დღის 9—12 ს. საღამოს 4—6 საათამდე ლენინის ქ. № 35 3824 13—

პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი
დაბრუნდა თბილისში
და განაგრძობს შინაგან ავადმყოფების მიღებას საღამოს 5 საათიდან 8 ს-მდე კვირა დღის გარდა. კლ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის ქ. № 7). 3755 13—1

ექიმი შუხმანი
სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები.
მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. ქ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ.№ 89 25—

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. განყოფ. ელისაბედის ქუჩა, № 3. 25—1

ექიმი
ა. დ. კიკელია
სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.
მიღება 9—11 დილ. 6—8 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ 348 25—1

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—9

ექიმი
ე მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 12—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.
რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ კრუზენშტერნის ქ.) 25—1

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შუშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიიღება დილ. 6 ნახ.—7 ნახ. საათ., საღამოს 5-დან—8 საათამდე. ქალების მიღება 12—2 საათ. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16

კბილის ექიმი
ა. გ. სოლოღაშვილი
დაბრუნდა და იღებს ავადმყოთებს 9 2 ს. და 4 6 ს. რუსთაველის პროსპექტი № 121

ა.ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი"
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 მიღება დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან 25—1

ექიმი
ნ. პ. ფალიაშვილი
დაბრუნდა და განაახლა მიღება ყოველგვარ მედიკურ გამოკვლევების ანალიზები მიიღება მთელი დღე. პირადათ დილის 9 საათამდის და 5—7 საათამდე ბელინსკის ქ. ბაქრაძეს შესახვ. (ყოფ. აგურის) № 10. 25—1

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედ ვაჭრობის" ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—4-დე. პლეხანოვის გამზირი № [illegible] (ყოფ. მიხეილის პროსპექტი ტელ. 3—63. 25—

დაკარგვა სალექციო წიგნაკი № 31 მოცემული სახელმწ. უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტიდან შალვა სიმონიძე დობორჯგინიძის სახელზე, ჩ. გ. 3889

დაკარგვა პროფ-კავშირის წიგნაკი № 62 ოლია გვ სალიას სახელზე, ჩ. გ. 3887

დაკარგვა საბინაო დავთარი ზაქარია და ესტატე ჩაჩანიძეებმა მცხოვრე მა ხრებტოვის ქუჩაზე № 450 11 უბანი. ჩ. გ. 3884

დაკარგვა პირადობის მოწმობა და შინა-მრეწველ ხელოსანთა საზოგადოების საწევრო წიგნაკი, პირველი მოცემული მაზრ-მილიციიდან და მეორე თელავის შინა მრეწველ ხელოსანთა საზოგადოებიდან მინა ვლასასძე ძმეკოვის სახელზე, ჩ. გ. 1828

დაკარგვა სამხედრო საღრიცხვო ბარათი ლევან დიმიტრიძე ბერიანიძეს სახელზე, ჩ. გ. 3882

დაკარგვა კავშირის წიგნაკი № 10822 გიგო ნიკოლოზისძე დოლონ ძეს ახელზე, ჩ. გ. 3831

დაკარგვა კავშირის წიგნაკი № 3277 ივანე ჩიტაიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3883

სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. 68